

№3/2015

www.lawandworld.ge

სამართალი და მსოფლიო

ევროპის უნივერსიტეტის საქართველოს
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი ჟურნალი

LAW AND THE WORLD

INTERNATIONAL REFEREED
SCIENTIFIC JOURNAL OF THE LAW
SCIENTIFIC RESEARCH
INSTITUTE OF THE EUROPEAN UNIVERSITY



თბილისი
Tbilisi

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles. Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board.

აკრძალულია გამოქვეყნებული მასალის გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნებისათვის.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for commercial purposes is prohibited.

მთავარი რედაქტორი:	გურაბ ჭყონია
ტექნიკური რედაქტორი:	სოფიკო გელაშვილი
ქართული ტექსტის კორექტორი:	მანანა მაისურაძე
ინგლისური ტექსტის კორექტორი:	ანა მარჯანიძე
დიზაინი:	ლიზა ჯალაღონია
დაკაბადონება:	თამარ ქავჭავაძე

Chief Editor:	ZURAB CHKONIA
Technical Editor:	SOFIKO GELASHVILI
Proof-reader of Georgian text:	MANANA MAISURADZE
Proof-reader of English text:	ANA MARJANIDZE
Design:	LIZA JALAGONIA
Imfoser:	TAMAR KAVZHARADZE

გამომცემლობა „დანი“
Publishing LTD „Dani“
ISSN 2346-7916

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე:
The online version of the journal is available on the website:

www.lawandworld.ge
Email: info@lawandworld.ge

სარელაქციო ხოლგია

ზურაბ ჭყონია

მთავარი რედაქტორი, ასისტენტ-პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანაშრომელი

პატრიკ ტერი

კენტის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი და სამართლის მაგისტრი (ინგლისი), კელის საჯარო ადმინისტრაციის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰანს იურგენ ზახორკა

ევროპული ინსტიტუტის ლიბერტას დირექტორი (გერმანია), ადვოკატი

როზ ვოუკენსი

რიჩმონდის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰადრიხი (გერმანია)

სამართლის დოქტორი (ფრაიბურგი), იენის უნივერსიტეტის ლექტორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

გია მეფარიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

მერაბ ტურავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

გურამ ნაჭყავია

სამართლის დოქტორი, ემერიტუსი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

გიორგი გორაკია

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

როინ მიგრიული

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

შალვა ჟურდაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის გამგეობის წევრი

მერაბ გაბინაშვილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბაკურ ლილუაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ანა ჭიღიტაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მამუკა ანდგულაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი

ბაჩანა ჯიშკარიანი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

EDITORIAL BOARD

ZURAB CHKONIA

Editor-in-Chief. Chairman of the Union of Law scientists, Assistant Professor, Scientist-employee at the Law Scientific Research Institute of the European University

PATRICK C. R. TERRY

Ph.D., a Master of Laws degree (both Kent, UK) and two German law degrees, Professor of law at the University of Public Administration in Kehl (Germany)

HANS JURGEN ZAHORKA

Director LIBERTAS - European Institute GmbH (Germany), Attorney

ROB HAWKINS

Professor of University of Richmond (USA)

KETEWAN MTSCHEDLISCHWILI-HÄDRICH (Germany)

Doctor of Law (Freiburg), Lecturer of University of Jena,

a member of the Union of Law Scientists

GEORGE GORADZE

Doctor of Law. Associate Professor

GIA MEPARISHVILI

Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

MERAB TURAVA

Doctor of Law, Professor. Judge of the Constitutional Court of Georgia

GURAM NACHKEBIA

Doctor of Law, emeritus, Academician of the Academy of Sciences of Georgia, a member of the Union of Law Scientists

ROIN MIGRIALI

Doctor of Law, Associate Professor, a member of the Union of Law Scientists

SHALVA QURDADZE

Doctor of Law, Professor, a member of the board of the Union of Law Scientists

MERAB GABINASHVILI

Judge of Appeal Court, member of High Council of Georgia

BAKUR LILUASHVILI

Doctor of Law, Professor, a member of the Union of Law Scientists

ANA CHIGITASHVILI

Doctor of Law, Associate Professor

MAMUKA ANDGULADZE

Doctor of Law, Professor

BACHANA JISHKARIANI

Doctor of Law, Associate Professor

სარჩევი

Contents

- 7 EUROPEAN FUNDAMENTAL LEGAL STANDARDS —
a Challenge for Georgian Lawyers from the View of the European Union
Hans-Jürgen Zahorka
ევროპის ძირითადი სამართლებრივი სტანდარტები -
გამოწვევა ქართველი იურისტებისათვის ევროკავშირის
გადასახედიდან
ჰანს იურგენ ზახორკა
- 13 უონსტიტუცია სუბ-და ინტერდისციპლინათა „გრავიტაციულ ველში“
ბექა კანტარია
CONSTITUTION AS IN SUB-AND INTERDISCIPLINE
„GRAVITATION FIELD“
Beka Kantaria
- 41 პრეზიდენტის უონსტიტუციურ- სამართლებრივი სტატუსის არსი
პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში
ზურაბ ჯიბღაშვილი
CONCEPT OF PRESIDENT’S CONSTITUTIONAL–LEGAL STATUS IN
POST-SOCIALIST COUNTRIES
Zurab Jibgashvili
- 55 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უნივერსიტეტთა
სამართლებრივი დამოუკიდებლობის შედარებითი ანალიზი
ბიძინა სავანელი
COMPARATIVE ANALYSIS OF THE LEGAL INDEPENDENCE
OF THE UNIVERSITIES OF EU MEMBER STATES
Bidzina Savaneli
- 73 იღებობის ფორმირების ელემენტებთან მიმართებაში სქესის,
როგორც სამართალსუბიექტობის განმსაზღვრელი ელემენტის,
ახლანდელ გაუმარჯობებთან დაკავშირებით
გიორგი გ. თუმანიშვილი

სარჩევი
Contents

ON RECONSIDERING THE SEX/GENDER, AS A KEY ELEMENT
FOR DETERMINING LEGAL PERSONALITY, IN RELATION
TO THE ELEMENTS OF IDENTITY FORMATION
JUDr. George G. Tumanishvili

84 საჰაერო გადაყვან-გადაზიდვების ქონებრივი ვასუნიგებალება
სამგზავრო გადაყვან-გადაზიდვისას, ვარშავის, მონრეალის,
ვროცისა და საქართველოს სამართლის ნორმების
უნაღიზის შედგად

თამარ ვეფხვაძე

PROPERTY RESPONSIBILITY OF THE AIR-CARRIER DURING
PASSENGER CARRIAGE BASED OF THE LEGAL NORMS
OF WARSAW, MONTREAL, EUROPE AND GEORGIA

Tamar Vepkhvadze

98 სასამართლოს როლი მხარეთა შიჯიბრებიტობის ვროცესში
ლეილა არხოშაშვილი

THE COURT'S ROLE IN THE ADVERSIAL PROCESS BETWEEN
THE PARTIES

Leila Arkhoshashvili

105 სააქციო საოგადოების სამეთვალყურაო საბჭოს წევრთა
დამოუნიდაბლობა ავსტრიულ და ქართულ საოროკორაციო
სამართალში

დავით დოლიძე

INDEPENDENCE OF THE SUPERVISORY BOARD MEMBERS
OF THE JOINT STOCK COMPANY IN THE AUSTRIAN
AND GEORGIAN CORPORATE LAW

David Dolidze

115 ფულადი თანხის აღნიშვნის წანისათვის ქართულ სამოქალაქო
სამართლებრივ დივლოგაბიჩაში

ქარლო ბიიშვილი

სარჩევი
Contents

ON THE PROCEDURE OF INDICATING THE SUM OF MONEY
IN GEORGIAN CIVIL LAW DIPLOMATICS
K. R. Bzhishvili

119 მედიატორისადმი დადგენილი მოთხოვნები სამოქალაქო-
საპარტლუბრივი დავების მედიაციის პროცესში
ანა გურიელი

THE DEMANDS TOWARDS THE MEDIATOR IN THE MEDIATION
PROCESS OF THE CIVIL DISPUTES
Ana Gurieli

EUROPEAN FUNDAMENTAL LEGAL STANDARDS – a Challenge for Georgian Lawyers from the View of the European Union

Hans-Jürgen Zahorka*

Attorney (Germany,) Director LIBERTAS - European Institute GmbH (Rangendingen/Baden-Württemberg), Former Member of European Parliament, Chief Editor, European Union Foreign Affairs Journal

Georgia comes - and also has to come, in view of possible alternatives - always closer to the European Union. It has all perspectives to accede to the EU, under the condition of a further approximation of legislation to the EU, although this is not written in the new Association Agreement or in any final declarations of the Eastern Partnership. However, here the EU behaves as in all other former EU enlargement cases. This is a challenge also for all the legal professions in the country, as they have to „think also in the European dimension“, already now and in the future. As in all other countries, the legal profession and the students hereof use to think mainly or even only in the national dimension. Insofar the legal profession is one of the most conservative ones. This is not enough, in view of the finality of Georgia which clearly lies in the European Union. The legal changeover for this cannot be undertaken in one big bang, but only in a step by step technique.

* Lawyer (attorney-at-law in Germany, also pleading in other EU countries, for 21 years); now CEO of LIBERTAS - European Institute GmbH (Rangendingen/Baden-Württemberg). Former Member of European Parliament, today Chief Editor, European Union Foreign Affairs Journal (www.eufaj.eu)

This is a challenge above all for the legal education at universities, but is also a „life-long learning“ task for every practicing lawyer, be s/he attorney-at-law, prosecutor, judge, in government, administration, banks or business and of course also in university education, but even for teachers in secondary education or journalism. More and more EU standards, above all legal standards, will be relevant also for Georgia, following the way from European Neighbourhood Policy (ENP), the Eastern Partnership (EaP), the Association Agreement (AA), the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) until finally a full accession to the EU, which is visible, without any target date, as a distant objective. Experience shows that once a certain threshold of legal approximation has been adopted, the development of an exponential timeline towards the accession date can be reached.

Therefore, not only the legislation but also its implementation is of significance. For both working fields EU standards are important and should be the measure of everything, if Georgia wants to finish within the European Union.

Art. 2 of the EU Treaty (Lisbon Treaty) says about the values of the EU (**“European values“**), that the first is respect of human dignity, and then freedom, democracy, equality, the rule of law and the respect of human rights including the rights of minorities. These values are bound, according to art. 2, to pluralism, non-discrimination, tolerance, justice in the single case, solidarity and equality between women and men. This is a very general but also very clear clause equal to any national constitution.

By the mere size of the EU which has 510 millions of citizens and the media freedom there is a permanent x-raying through all Member States' circumstances by every possible media, and this makes the EU very transparent. This makes an open society, in the best sense of political philosophy. So it is also of interest for the whole EU how jurisdiction and the rule of law function in Georgia, and vice-versa. This is a great challenge for Georgian lawyers, but also Georgian media, and of course for both from the EU.

Besides the EU Treaty (abbreviated EUT) and the Treaty of Functioning of the European Union (abbreviated TFEU), both called the Lisbon Treaty,

there is also the **European Charter of Fundamental Rights** which is attached to this Treaty of Lisbon. It is also a part of the primary EU law. This is a guideline, a strong interpretation tool for every judge in the EU. The European Charter of Fundamental Rights is the most modern and most comprehensive tool of a basic rights catalogue in modern statehood, fully supporting the idea that an integration like the EU is the most innovative cooperation format for states in the world. But it is also most efficient, although there are always temporary setbacks in single areas of cooperation, like in all national systems.

There should also be made reference to the Vienna-based **Fundamental Rights Agency** and its interesting reports and surveys. This agency, however, concentrates on EU Member States only, not on countries in the waiting line, but its reports and papers constitute a clear measure to human and fundamental rights outside of the EU, too. For example, in autumn 2015 a „Handbook on European law relating to the rights of the child“¹ has been published.

The instrument of **Union Citizenship** in the EU which has to be debated periodically, all three years, in the European Parliament, and where public auditions by Internet have been held, is another example. Union Citizenship exists for EU citizens besides the national citizenship, and it encompasses rights like voting in EU and local elections wherever EU citizens live within the EU, to submit petitions to the European Parliament and the EU Ombudsman, diplomatic and consular protection in third countries, as well as the right of free movement in the EU.²

And above all the **European Court of Justice (ECJ) in Luxembourg** should be followed. Here an accent is to be laid on the **preliminary rule (art.267 Treaty for the Functioning of the European Union - TFEU)** which offers every single citizen in the EU access to the highest EU justice. This has been effectuated in many significant cases, and it has contributed to a great deal to make EU jurisdiction more perfect and consistent.

This will be introduced to Georgian lawyers step by step by the new **Association Agreement/DCFTA**

1 European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015- ISBN (web) 978-92-9239-912-2. Can be downloaded under <http://fra.europa.eu>

2 Art.18-25 TFEU

where the institutions and the common policymaking will only start now. Georgian lawyers should keep a close eye on the possibilities, legal fields and functions of the Association Agreement, which will offer them a lot of work and place for development.

Above all, experience within the EU and third countries tells us that a quantitative focus of practicing lawyers will lie in the field of freedom of goods, services, capital and the freedom of persons including anti-discrimination law.

Besides the existing challenges of the **European Convention of Human Rights**, fixing basic judicial rights in the Council of Europe Member States, and the **European Court of Human Rights**, in the framework of the Council of Europe, in Strasbourg, there is after all a serious and new field for lawyers in Georgia - the field of European Union law. Even if Georgia is (not yet) a EU Member State.

It has to be kept in mind that approximately 85% of all EU legislation has to be implemented by **local government**. Municipal administrations, their relevant ministries, but also local government umbrella organisations will have to adapt to these circumstances. Especially the lawyers in local administrations will have to find ways.

Within the EU it is self-evident that municipalities do have to know about EU law, as it has to be often implemented or applied by them. All bigger towns run an own European Affairs ns office. This meets also the frequent inclusion of cities and towns into EU model programmes, e.g. in transport, environment, renewable energy, social affairs, employment etc. But also villages and small towns are concerned e.g. by agricultural programmes (for instance agricultural ways, landscape diversity etc.). This may be a task for the regional administration, if they supervise rural development. In France, there exist for regions with very many villages sometimes an association covering EU subjects for its member municipalities.

Wherever legislation has to be undertaken, it has to be professional, clear, precise and as short as possible - and in view of any legislative inflation it has always to be asked „Do we need a law at all?“. In this context, the EU is an extraordinary test lab for legislation, with at present 28 possible examples, traditions, different ways. This is also a great opportunity for all acceding states, like Georgia,

where lawyers therefore should study also how other EU Member States deliver legislation.

“**Rule of law**“ does in most of EU Member States not mean a political tool for creating statehood, but in most cases an unpolitical formal principle.³ It was at first a battle motto for liberal citizens, fighting the nobility which had abused their powers, and fighting for an individual sphere free of the state. While at first „rule of law!“ was highly political, it should later become more formal, however under political auspices. It encompasses, among others, general rules like formal legality in a way close to perfectionism, legality of the executive (civil servants bound to the laws), judicial control of legality - this in connection with judges’ independence and impartiality, and this in several instances, as calculability and reliability. This all creates legal security. Later there were added also calculability and reliability as well as transparency. Therefore, publications of sentences, judgments and legal essays are of a pivotal value for any civilisation under the rule of law.

Also lawyers within the existing EU had to learn that the EU exists with a legal quality and legally binding effects, which go beyond the distinction of a EU Directive from a EU Regulation, two ways of EU secondary law. Some universities took very long to implement this subject. Georgian universities may do it, after all, faster, as the country may run faster through the time where EU law becomes important. In the EU, it sometimes took some decades until this became obvious. And if we become impatient, understandably, it becomes evident that also lawyers who have a European law overview will be needed.

3 see also Theodor Maunz, Deutsches Staatsrecht, München 1969; p. 67.

RESUME

The author wants to encourage all Georgian lawyers to dive into the new subject of European law. He estimates that Georgia will always come closer to the EU, until an accession. EU law is a challenge to legal education in universities but also for the practicing profession. Education in law is by tradition and in all countries a very conservative field.

In material context, he demands more knowledge about „European values“ as stated in Art. 2 EU Treaty, and of the European Charter of Fundamental Rights. Georgian lawyers should be able to quote the reports of the EU Fundamental Rights Agency, which often delivers interpretation tools also relevant for Georgia. In the forthcoming discourse about the Association Agreement and DCFTA lawyers have to become fluent in the European Court of Justice jurisdiction, and above all in the Preliminary Rule of art. 267

TFEU, which offers access to justice to all citizens or enterprises, via the national jurisdiction.

The author recommends to read the Association Agreement, which offers Georgia great opportunities, and pleads not to lose sight on the European Convention of Human Rights, as well as its court in Strasbourg/France. As most of EU law is implemented on the local level, also Georgian administration, in particular lawyers, should receive training in EU law.

European legal standards, the Rule of Law, have a very particular historical background. In the article the author enumerates some of its elements, and this not only for legislation, but also for administration. After all, EU law is the „cool“ and remaining component of any accession state legislation - a real challenge for any lawyer in these countries.

NOTES:

1. European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015- ISBN (web) 978-92-9239-912-2. Can be downloaded under <http://fra.europa.eu>
2. Art.18-25 TFEU.
3. see also Theodor Maunz, Deutsches Staatsrecht, München 1969; p. 67.

ევროპის ძირითადი სამართლებრივი სტანდარტები – გამოწვევა ქართული იურისტებისათვის ევროკავშირის გადასახედიდან

ჰანს იურგენ ზახორუა

*ადვოკატი (გერმანია), ინსტიტუტი ლიბერტას
დირექტორი, ყოფილი ევროპარლამენტის წევრი,
ევროპის კავშირის საგარეო საქმეთა ჟურნალის
მთავარი რედაქტორი*

რეზიუმე

ავტორი მოუწოდებს ყველა ქართველ იურისტს გაიღრმავოს ცოდნა ისეთ ახალ დისციპლინაში, როგორც არის ევროპის სამართალი. ის ვარაუდობს, რომ საქართველო ყოველთვის დაუახლოვდება ევროკავშირს, მასთან სრულ მიერთებამდე. ევროკავშირის სამართალი სამართლებრივი განათლების თვალსაზრისით არის გამოწვევა უნივერსიტეტებისთვის, აგრეთვე პრაქტიკოსებისთვის. სამართალმცოდნეობა ტრადიციულად ყველა ქვეყანაში წარმოადგენს მეტად კონსერვატიულ სფეროს.

მატერიალურ კონტექსტში, ის მოითხოვს უფრო მეტ ცნობიერებას „ევროპული ღირებულებებისა“, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-2 მუხლში და ადამიანის ძირითად უფლებათა ევროპულ ქარტიაში. ქართველ იურისტებს უნდა შეეძლოთ მოახდინონ ევროკავშირის ძირითად

უფლებათა სააგენტოს ანგარიშების ციტირება, სააგენტოსი, რომელიც ხშირად აყალიბებს საქართველოსთვის მნიშვნელოვან ინტერპრეტაციის საშუალებებს. ასოცირების შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის თაობაზე შეთანხმების (DCFTA) მოსალოდნელი განხილვისას იურისტებმა სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია და ასევე ეროვნული იურისდიქციის მეშვეობით სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელება მოქალაქეთა და საწარმოთა მხრიდან ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 267-ე მუხლის შესაბამისად.

ავტორი იძლევა რეკომენდაციას იურისტები კარგად გაეცნონ ასოცირების შეთანხმებას, რომელიც საქართველოს სთავაზობს მრავალრიცხოვან შესაძლებლობებს და აღიარებს, რომ მხედველობიდან არ უნდა იქნეს გამორჩენილი

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია, ისევე როგორც სტრასბურგის სასამართლო საფრანგეთში. იქიდან გამომდინარე, რომ მეტწილად ევროკავშირის სამართლის ძირითადი ნაწილი იმპლემენტირებულია ადგილობრივ დონეზე. საქართველოს მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა, კერძოდ კი იურისტებმა უნდა გაიარონ სათანადო ტრეინინგები ევროკავშირის სამართალში.

ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებს, კანონის უზენაესობას აქვთ მეტად განსაკუთრებული ისტორიული საფუძველი. სტატიაში ავტორი ჩამოთვლის რამდენიმე მის ელემენტს, არა მხოლოდ კანონმდებლობისთვის, არამედ ასევე მართლმსაჯულებისთვის. საბოლოო ჯამში ევროკავშირის სამართალი არის მიერთების გზაზე მყოფი ნებისმიერი სახელმწიფოს კანონმდებლობის „კარგი“ და განუყოფელი კომპონენტი — ნამდვილი გამოწვევა ყველა იურისტისთვის ამ სახელმწიფოში.

კონსტიტუცია სუბ-ღა ინტარდისციპლინათა „გრაჰიტაციულ ვალში“

ბექა ქანთარია

*კონსტიტუციოლოგი, სამართლის დოქტორი,
საქართველოს შსს აკადემიის პროფესორი*

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, კონსტიტუციის
თეორია, კონსტიტუციის დოგმატიკა

კონსტიტუციური აზრის ევოლუცია – გზა ანტიკურიდან თანამედროვეობამდე

კონსტიტუციის თეორია კონსტიტუციის შემეცნების ფუნ-
დამენტური საფუძველი და მისი განვითარება-სრულყოფის მნი-
შვნელოვანი წინაპირობაა. კონსტიტუციის თეორია ემსახურება
კონსტიტუციური პრაქტიკის ევოლუციას. ეს მისი საკვანძო
ამოცანა და მიზანია. კონსტიტუციის თეორიამ უნდა დასახოს
კონსტიტუციურ პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების
გადაწყვეტის გზები და მეთოდები. როგორც კონსტიტუციური
განვითარების ისტორია გვიჩვენებს, ეპოქალურად იცვლებოდა
კონსტიტუციონალიზმში მოთხოვნები და დამოკიდებულებები,
თანდათანობით იკვეთებოდა კონსტიტუციის თეორიის შემდგომი
განვითარების პერსპექტივები.

კონსტიტუციონალიზმის აზროვნებაში შეიძლება გამოიყოს
განვითარების ორი გზა: ანტიკურიდან მე-18 საუკუნემდე და
მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე. კონსტიტუციონალიზმის ან-
ტიკური და შუასაუკუნეობრივი გზა აშშ-ს კონსტიტუციის მიღებით
დასრულდა. ამერიკულმა მოდელმა კონსტიტუციონალიზმს
ახალი ამოცანები დაუსახა. პირველ რიგში, ეს ხელისუფლების
შეზღუდვის იდეაა.

კონსტიტუციონალიზმის იდეა შედარებით ძველია, ვიდრე თავად კონსტიტუცია და მისი ტექსტი. კონსტიტუციური იდეების სამშობლო ანტიკური საბერძნეთია. დიდა მის განვითარებაში არისტოტელეს დამსახურება. იგი კონსტიტუციის პირველი თეორეტიკოსი და ანალიტიკოსია¹. მისი „პოლიტიკა“ სრულყოფილი კონსტიტუციის ჩამოყალიბების მცდელობაა. ინსტიტუციონალური მექანიზმების მთავარი ამოცანა „კარგი სახელმწიფო ფორმის“ ძლიერი მხარეების მაქსიმალიზაცია და სისუსტეების მინიმალიზაციაა². არისტოტელესთვის საზოგადოების ხანგრძლივი პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი კონსტიტუციის შერეული მოდელია. შუა საუკუნეებში მისმა იდეებმა აქტუალობა კვლავ შეიძინა და თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში ახალ დისკუსიას ჩაუყარა საფუძველი.

კაცობრიობა დიდი ხანი ქმნიდა კონსტიტუციურ იდეას. არანაკლები დრო დასჭირდა ამ იდეის პოზიტიურ ფორმალიზაციას. ეს პროცესი ინგლისის სამეფოში დაიწყო და დღემდე გრძელდება. არ არსებობს დღეს მსოფლიოში სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდეს კონსტიტუცია³. იგი კაცობრიობის მონაპოვარია.

კონსტიტუციის მეცნიერება, როგორც კომპლექსური დისციპლინა

საკონსტიტუციო სამართლებრივი საკითხები სამართლის მეცნიერების ურთულეს სეგმენტს წარმოადგენს. სამართლის სხვა პრობლემებისაგან განსხვავებით, ისინი ხშირად პასუხგაუცემელია. კონსტიტუცია არც ერთ დროში არ არის იდეალური და ყოვლისმომცველი. მას არ შეუძლია პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ყველა პრობლემა ერთბაშად გადაწყვიტოს.

1 Vorländer H., 2004. Die Verfassung – Idee und Geschichte, 2., überarbeitete Auflage. S. 21.
2 Vorländer H., S. 22.
3 Grimm D., 2009. Verfassungskultur, in: Verfassung der Zukunft (Ein Lesebuch zum 60. Geburtstag des Grundgesetzes), Hg. Drigitte Zypries, S. 12.

პოლიტიკური სტაბილიზაცია და ეროვნული ერთიანობა კონსტიტუციური ნორმების კვალდაკვალ ჩვეულებითი საკონსტიტუციო სამართლითაც მიიღწევა, რაზეც ანგლო-ამერიკული ქვეყნების კონსტიტუციური პრაქტიკა მეტყველებს.

კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სამართალი საზოგადოებრივი ფენომენებია, რომელთაც შეისწავლის სოციალური მეცნიერებები⁴. ხშირად დავას იწვევს ამა თუ იმ დისციპლინის საგანი, მეთოდები და სამეცნიერო ინტერესები. უკვე დიდი ხანია, კონსტიტუციის შემსწავლელი მეცნიერებების – კონსტიტუციის თეორიისა და საკონსტიტუციო სამართლის თეორიის საგნისა და მეთოდის ირგვლივ ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობს. საკონსტიტუციო სამართალი და კონსტიტუცია მომიჯნავე დისციპლინათა საგანებია⁵. კონსტიტუცია ნორმატიული, სოციო-პოლიტიკური, კულტურული თუ ისტორიული ხასიათის დოკუმენტია. იგი ერთიანად მიმზიდველია კონსტიტუციის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგებისათვის. ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ კონსტიტუცია, როგორც მასშტაბი* – მისი ადგილი ინტერდისციპლინებში. კონსტიტუციის მრავალმხრივ ბუნებას შეისწავლის კონსტიტუციის მეცნიერების სუბდისციპლინები: კონსტიტუციის თეორია, საკონსტიტუციო სამართლის თეორია, კონსტიტუციის ისტორია, კონსტიტუციური აზროვნების ისტორია, ჩვეულებითი საკონსტიტუციო სამართლის თეორია, კონსტიტუციის ფილოსოფია, საკონსტიტუციო პოლიტიკა, შედარებითი საკონსტიტუციო სამართალი. „კონსტიტუციის სოციოლოგია“ სრულიად ახალი მოვლენაა⁶, ისევე როგორც კონსტიტუციის ეკონომიკური თეორია⁷. გარდა

4 Adamovich L., Funk B., Holzinger G., 1997, Wien. Österreichisches Staatsrecht, Band 1, Grundlagen, Springers Kurzlehrbücher der Rechtswissenschaft, S. 22.

5 Adamovich L., Funk B., Holzinger G., S. 22.

* ეს სიტყვა გამოიყენა მანფრედ რაკმა 1978 წელს გამოცემულ ნაშრომში (Rack M., 1978. Die Verfassung als Maßstab, Berlin).

6 Morlok M., 2014. Soziologie der Verfassung, Tübingen, S. 1; Zalten E., 2006. Staatslehre und Verfassungstheorie im Licht der Soziologie, in: Staats- und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Hrsg. von Philippe Mastronardi; Denis Taubert, Stuttgart.

7 Kirchgässner B., 2006. Ökonomische Theorie der Verfassung, in: Staats und Verfassungstheorie im Spannungsfeld der Disziplinen, Archiv für Rechts und

ამისა, არსებობს მეცნიერებები, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს საკონსტიტუციო სამართალსა და კონსტიტუციასთან. ესენი ინტერ-მეცნიერებებია: სახელმწიფოს ზოგადი თეორია და პოლიტიკის მეცნიერება⁸, ასევე პოლიტიკის ფილოსოფია.

რთულია გაავლო მტკიცე ზღვარი დისციპლინათა სამეცნიერო ინტერესებს შორის, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ერთ მოვლენას - ამ შემთხვევაში, კონსტიტუციას. ყველა თავისებურად აღიქვამს მას, ყველას აქვს სპეციფიკური მიდგომა მის მიმართ, ყველა განსხვავებული კუთხით შეიმეცნებს მის მრავალმხრივ ბუნებას. კონსტიტუციის შემსწავლელ მეცნიერებათა ამ „გრავეიტაციულ ველში“ თავს იყრის სუბ-და ინტერ-დისციპლინათა მთელი სისტემა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის მეცნიერება კომპლექსური მოვლენაა.

კონსტიტუცია და კონსტიტუციის თეორია

კონსტიტუციის შემსწავლელ მეცნიერებათა კომპლექსურ სისტემაში პირველ ადგილს კონსტიტუციის თეორია იკავებს. კონსტიტუციას კონსტიტუციის თეორია იკვლევს. წარმატებული საკონსტიტუციო კანონმდებლობისათვის ის „road map“-ია⁹. „კონსტიტუციის თეორია“ თანამედროვე მეცნიერებაში კარგად დამკვიდრებული ტერმინია¹⁰. გერმანიაში მისი ფუძემდებელია კარლ შმიტი¹¹, რომელმაც თავისი ეპოქალური ნაშრომი 1928 წელს გამოსცა და დასაბამი დაუდო კონსტიტუციის შემსწავლელი მეცნიერების ცალკე დისციპ-

ლინად ჩამოყალიბების პროცესს და კონსტიტუციის ირგვლივ ფართო მეცნიერულ დისკუსიას¹². იმავე წელს გამოიცა რუდოლფ სმენდის¹³ კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი. ჩამოყალიბდა ორი მიმართულება შმიტისა და სმენდის სკოლების სახელწოდებით. სმენდის სკოლას წარმოადგენენ: ერნსტ-რუდოლფ ჰუბერი, ვერნერ ვებერი, ერნს ფორშოფი, რომან შნური, ერნსტ-ვოლფგანგ ბიოკენფიორდე, ჰელმუტ ქუარიჩი, იოსეფ ისენსე. რუდოლფ სმენდის სკოლის წარმომადგენლები არიან: გერჰარდ ლაიბჰოლცი, ულრიშ შოინერი, კონრად ჰესსე, ჰორსტ ემკე, პეტერ ჰებერლე, ფრიდრიხ მიულერი, ფრიდჰელმ ჰუფენი და მარტინ მორლოკი.

არც ერთ ამ სკოლას არ მიეკუთვნება და დამოუკიდებელი სკოლები არ შეუქმნიათ ჰაინრიხ ტრიპელს, ერიშ კაუფმანს და ჰერმან ჰელლერს.

კონსტიტუციის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ძველი თაობის მეცნიერების, კარლ ლოვენშტაინის (1891-1973)¹⁴, გეორგ ჰავერკატეს (1942-2006)¹⁵ და ფერდინანდ ჰერმენსის (1906-1998)¹⁶ შრომებმა.

აღნიშნული ნაშრომები არ ავლენს ერთიან მიდგომას კონსტიტუციის თეორიის საგნის ან შემეცნების მეთოდების მიმართ. მიუხედავად მეცნიერული თვალსაზრისის განსხვავებისა, ყველა ავტორი თანხმდება, რომ კონსტიტუციის თეორია დამკვიდრდა პოლიტიკური თეორიის „გრავეიტაციულ ველში“^{17*}. ამ დროიდან დღემდე კონსტიტუციის თეორიაში სიახლეები და მიღწევები შეუქცევადია*. კონსტიტუციის

Sozialphilosophie, Tag: 12.-13. November 2004, Hrsg. *Mastronardi/Taubert*, Stuttgart.
8 *Adamovich L., Funk B., Holzinger G.*, S. 23.
9 *Jestaed M.*, Der Beitrag der modernen Verfassungstheorie zu einer gegliückten Verfassungsgebung, in: *Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Überlegungen anlässlich der Diskussion um eine Verfassungsreform in der Türkei* Hg. *Scherzberg A., Can O., Dogan I.*, Hrsg. *Deppenheuer O.*, Band 9, Münster, S. 10.
10 *Morlok M.*, 1988. Was heißt und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie? Berlin, S. 16.
11 *Schmitt C.*, 2010. Verfassungslehre, Zehnte Auflage, Berlin.

12 *მდრ. Morlok M.*, 1988. Was heißt und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie? Berlin, S. 16.
13 *Smend R.*, 1928. *Verfassung und Verfassungsrecht*, München.
14 *Loewenstein K.*, 2000. *Verfassungslehre*, Tübingen.
15 *Hawerkate G.*, *Verfassungslehre, Verfassung als Gegenseitigkeitsordnung*.
16 *Hermens F.*, 1968. *Verfassungslehre*, 2. Auflage, Westdeutscher Verlag Köln und Opladen.
17 *Jestaedt M.*, 2010. *Verfassungstheorie als Disziplin*, in: *Verfassungstheorie*, Hrsg. von *Deppenheuer O.*, und *Grabewarter Ch.*, Tübingen, S. 6.
* მაგალითად, ჰერმენსს ნაშრომის (Verfassungslehre) შესავალში აღნიშნული აქვს, რომ „კონსტიტუციის თეორია, საბოლოო ჯამში, არის პოლიტიკური ფორმის თეორია“.
* კონსტიტუციის თეორიაში პეტერ ჰებერლემ აბსოლუტურად სპეციფიკური მიმართულება ჩამოაყალიბა. მან დააფუძნა და განავითარა

თეორია ჩამოყალიბდა, როგორც სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი სპეციფიკური საგნითა და მეთოდებით. იგი გამოეყო სახელმწიფოს შემსწავლელი მეცნიერების ისეთ განშტოებას, როგორცაა სახელმწიფოს ზოგადი თეორია.

კონსტიტუციის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ თანამედროვე კონსტიტუციოლოგებს. აღსანიშნავია გერმანელი მათეას იესშტაედის¹⁸ და ოტო დეპენჰოიერის¹⁹ მიერ გამოქვეყნებული შრომები. ისინი კონსტიტუციის თეორიის საგნისა და მეთოდების მიმართ ახლებური მიდგომით გამოირჩევა. იესშტაედი თავის შრომაში – „კონსტიტუციის თეორია, როგორც დისციპლინა“ – ერთმანეთისაგან განასხვავებს კონსტიტუციის თეორიას კონსტიტუციის დოგმატიკისაგან²⁰. დეპენჰოიერის მიერ შედგენილ შრომაში წარმოდგენილი თემატიკა მკაფიოდ გამოხატავს კონსტიტუციის თეორიის თანამედროვე პრობლემატურ საკითხებს. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება (ძირითადი საფუძვლები, კონსტიტუციის ფორმის თეორია, კონსტიტუციის შინაარსის თეორია) და მოიცავს პრობლემათა ფუნდამენტურ სეგმენტს. ესენია: კონსტიტუციის ცნება და კულტურა, კონსტიტუციის თეორია და ისტორია,

კონსტიტუციის თეორია, როგორც კონსტიტუციის ცნების სტრუქტურული ანალიზი, კონსტიტუციის თეორია, როგორც კულტურული მეცნიერება, შედარებითი სამართალი, სამართლის ფილოსოფია.

- 18 Methoden(r)einheit und Disziplinenvielheit, In: Gedenkschrift *Walter R.*, 2013; *Jestaedt M.*, [Hrsg.], *Hans Kelsen und die deutsche Staatsrechtslehre*, Tübingen, 2013; Beitrag moderner Verfassungstheorie, in: Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Überlegungen anlässlich der Diskussion um eine Verfassungsreform in der Türkei, Hrsg. *Depenheuer O.*, Berlin, 2012; Die Verfassung hinter der Verfassung, Paderborn; München; Wien; Zürich, 2009; Das mag in der Theorie richtig sein...Tübingen, 2006.
- 19 Verfassungstheorie, Hrsg. *Depenheuer O.*, und *Grabenwarter Ch.*, 2010. Tübingen.
- 20 Verfassungstheorie, Hrsg. *Depenheuer O.*, und *Grabenwarter Ch.*, 2010. Tübingen; S. 13; შტრ. *Kirchhof P.*, 2014. Verfassung, Theorie und Dogmatik, in: Handbuch des Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Hrsg. *Josef Isensee und Paul Kirchhof*, Band XII, Normativität und Schutz der Verfassung, Dritte, völlig neubearbeitete und erweiterte Auflage; *Roellecke G.*, Zur Unterscheidung von Rechtsdogmatik und Theorie, am Beispiel der Konzepte *Hegels und Luhmanns*, in: *Juristen Zeitung*, 13/66 Jahrgang, 1. Juli 2011, S. 645-659.

კონსტიტუცია და სახელმწიფოებრიობა, საკონსტიტუციო კანონების წარმოშობა, საკონსტიტუციო კანონმდებლობის საზღვრები, კონსტიტუციის ფორმა, ენა და სტილი, კონსტიტუცია სამართლის იერარქიაში, დაუწერელი საკონსტიტუციო სამართალი, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, მისი ფუნქციები, სახელმწიფო და საზოგადოება, ხელისუფლების დანაწილება, სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატია, სოციალური სახელმწიფო და კონსტიტუცია, ძირითადი უფლებები, სახელმწიფოს ამოცანები, შედარებითი კონსტიტუციონალიზმი, კონსტიტუცია და პოლიტიკა და სხვა²¹.

საკონსტიტუციო სამართლის ბირთვი კონსტიტუციის თეორიაა²², როგორც საჯარო სამართლის მეცნიერების განსაკუთრებული დარგი²³. კონსტიტუციის თეორიის* სამეც-

21 *Volkman U.*, 2012. Zur heutigen Situation einer Verfassungstheorie, in: *Der Staat, Zeitschrift für Staatslehre und Verfassungsgeschichte, deutsches und europäisches öffentliches Recht*, Hrsg. *Böckenförde E., Bogdandy A., Brugger W., Grawert R., Kunisch J., Lepsius O., Möllers Ch., Ossenbühl F., Paulz W., Quaritsch H., Stollberg-Rilinger B., Volkman U., Vosskuhle A., Wahl R.*, 51. Band, Heft 1, S. 601-602.

22 *Poier K.*, 2011. Verfassungsrecht und Allgemeine Staatslehre, Prüfungsfälle und Lösungsvorschläge in systematischer Bearbeitung, 4., aktualisierte und erweiterte Auflage, Verlag Österreich, Wien, S. 15.

23 *Schmitt C.*, 1928. Verfassungslehre, VII.
* თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში ტერმინი კონსტიტუციის მოძღვრება (Verfassungslehre, „Lehre“ – „მოძღვრება“) „კონსტიტუციის თეორიის“ (Verfassungstheorie) სინონიმია და მათ შორის სხვაობა თითქმის არ არსებობს. კარლ შმიტიც, ამ დარგის ფუძემდებელი და დიდი თეორეტიკოსი, თავისი ეპოქალური მონოგრაფიის ერთერთწინასიტყვაობაში ხაზს უსვამს, რომ შინაარსობრივად ორივე ტერმინი თანხვედრაშია. ბოლო პერიოდის სახელმძღვანელოები თუ მონოგრაფიული ნაშრომები უპირატეს მნიშვნელობას „კონსტიტუციის თეორიას“ ანიჭებს, ვიდრე „კონსტიტუციის მოძღვრებას“ (მაგ. *Petersen N.*, 2004. Europäische Verfassung und europäische Legitimität, ein Beitrag zum kontraktualistischen Argument in der Verfassungstheorie, in: *Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht (ZaöRV)*, 64/2;). თუმცა, პეტერ ჰებერლე არ დალატობს მაინც ძველ ტრადიციას და საკუთარ ნაშრომებს დღემდე კონსტიტუციის მოძღვრების სახელწოდებით აქვეყნებს (Der kooperative Verfassungsstaat – aus Kultur und als Kultur, Vorstudien zu einer universalen Verfassungslehre, Berlin, 2013; Der arabische Frühling (2011) – in den Horizonten der Verfassungslehre als Kulturwissenschaft, in: *Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart*, Hrsg. *Häberle P.*, Neue Folge, Band 60, 2012; *Europäische Verfassungslehre*, Baden-Baden, 2011; *Verfassungslehre als Kulturwissenschaft*, 2., stark erw. Aufl. Berlin, 1998).

ნიერო ინტერესის სფერო სადავოა. დიდი ხნის მანძილზე პასუხგაუცემელი იყო მისი დამოუკიდებლობის, საგნის და მეთოდების საკითხი.

სახელმწიფოს ზოგადი თეორია და კონსტიტუციის თეორია მეცნიერებათა ერთ ოჯახს მიეკუთვნება²⁴. მათ შორის მჭიდრო კავშირს, ერთი მხრივ, სამეცნიერო ინტერესთა სფერო - თანამედროვე სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია და, მეორე მხრივ, შემეცნების სპეციფიკური მეთოდები განაპირობებს²⁵, რომელთა საშუალებით განხორციელდა მათი მეცნიერული შესწავლა. სახელმწიფოს ზოგად თეორიას და კონსტიტუციის თეორიას აქვთ საერთო ნიშან-თვისებები²⁶. ორივე სამართლის მეცნიერების ფუნდამენტური დარგია²⁷. თუმცა უკვე დიდი ხანია კონსტიტუციის თეორია ზოგადი სახელმწიფო თეორიისაგან ემანსიპირებულია²⁸. შეიძლება მარტივად ითქვას: ეს ორი მეცნიერება ორ საზოგადოებრივ ფენომენს იყოფს საკვლევადიხოდ: სახელმწიფოს ზოგადი თეორია - სახელმწიფოს, კონსტიტუციის თეორია - კონსტიტუციას*. დღემდე აქტუალურია

კონსტიტუციის თეორიის ირგვლივ შემდეგი კითხვები*: რა არის მისთვის სპეციფიკური? არის თუ არა კონსტიტუციის თეორია, როგორც დისციპლინათა შემოკლებული ვარიანტი ან, ასე ვთქვათ, დისციპლინათა ერთობლიობის გამომხატველი აბრევიატურა? მიეკუთვნება თუ არა იგი იურისპრუდენციის სუბ-დისციპლინას? არის თუ არა ის პოლიტიკური ფილოსოფიის ნაწილი ან ძველი მეცნიერების - სახელმწიფოს ზოგადი თეორიის იდენტური, ან რა დამოკიდებულება აქვს მას სახელმწიფოს თეორიასთან? აერთიანებს თუ არა რეალურ, არსებულ ან იდეალურ კონსტიტუციას? ახდენს თუ არა გავლენას კონსტიტუციის იმანენტურ ბუნებაზე ან კონსტიტუციის ტრანსცედენტულობაზე? არის თუ არა მისი საგანი ერთი ან ყველა კონსტიტუცია?²⁹

კონსტიტუციის თეორიის შესწავლის ობიექტი პოზიტიური კონსტიტუცია³⁰. უკვე დიდი ხანია კონსტიტუციის ნორმატიული ცნება* სამართლის მეცნიერებაში კარგად დამკვიდრდა. იგი კონკრეტული სახელმწიფოს საკონსტიტუციო სამართლის ერთიანობასა და მთლიანობას გულისხმობს³¹. ნორმატიული თვალსაზრისით, კონსტიტუციის წარმოშობა უკავშირდება მეცხრამეტე საუკუნეში მონარქიზმის დამხობას, ხალხის წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, ხელისუფლების კავშირს სამართალთან და ძირითად უფლებებთან.

24 Jestaedt M., Verfassungslehre als Disziplin, in: Verfassungstheorie, 2010. Hrsg. Depenheuer O., und Grabenwarter Ch., Tübingen, S. 8.

25 Perntaler P., 1996. Allgemeine Staatslehre und Verfassungstheorie, Zweite, völlige neubearbeitete Auflage, Wien, S. 19.

26 Morlok M., 1988. Was heißt und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie? Berlin, S. 24.

27 Morlok M., 1988. Was heißt und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie? Berlin, S. 25.

28 მეცნიერთა დიდი უმრავლესობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს ზოგადი თეორია და კონსტიტუციის თეორია ერთმანეთისაგან განსხვავდება (მაგ. Doehring K., 2004. Allgemeine Staatslehre, eine systematische Darstellung, 3., neubearbeitete Auflage, Heidelberg, S. 7).

* კონსტიტუციის თეორია ნორმატიული, პოზიტიური და რეალურ კონსტიტუციაზე ორიენტირებული. გერმანიაში კონსტიტუციას „ძირითადი კანონი“ ეწოდება, რაც ობიექტური რეალობითაა გამოწვეული. კონსტიტუციური შინაარსის მქონე სიტყვა „Verfassung“ უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობისაა, ვიდრე „ძირითადი კანონი“. პირველი მნიშვნელობით კონსტიტუცია - წესდების და დებულების სახით - ბევრ ორგანიზაციას აქვს (მაგალითად, რელიგიურ ორგანიზაციებს - Verfassung des Bundes der Baptistengemeinde in Österreich, Verfassung des Bundes Evangelikaler Gemeinden in Österreich, in: österreichisches Archiv für Recht und Religion, 2000, heft 1, 47. Jahrgang). კონსტიტუციის თეორია შეისწავლის მხოლოდ იმ კონსტიტუციას, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დადგენილი; რუდოლფ სმენდის აზრით, სახელმწიფოს კონსტიტუციას

განსხვავებული საგანი და შინაარსი აქვს, ვიდრე სხვა კავშირებისა და გაერთიანებების კონსტიტუციებს (Smend R., 1928. Verfassung und Verfassungsrecht, München und Leipzig, S. 86).

* უნდა ითქვას, რომ ყველა ამ კითხვაზე წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში პასუხის გაცემა რთულია. საკითხის დასმა და მისი სრულყოფილი შესწავლა მოითხოვს მეტ მეცნიერულ დაკვირვებასა და დასაბუთებას. ამიტომ განზრახული მაქვს კონსტიტუციის თეორიას, როგორც დისციპლინას და მეცნიერებას, ცალკე ნაშრომი მივუძღვნა, რომელსაც უახლოეს მომავალში იხილავს მკითხველი სხვა გამოცემებში.

29 Jestaedt M., Beitrag moderner Verfassungstheorie, in: Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Hrsg. Depenheuer O., S. 11.

30 Perntaler P., S. 26.

* საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია, ასევე საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლი აღიარებს, რომ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანის უფლებები არაა გარანტირებული და ხელისუფლება დანაწილებული, კონსტიტუცია არ აქვს.

31 Perntaler P., S. 26.

კონსტიტუციის თეორიის საგანი ყველა დროში არ ყოფილა ერთგვაროვანი. როგორც შემოთ ითქვა, კონსტიტუციური პროცესებისა და საკონსტიტუციო-თეორიული საკითხების მიმართ მიდგომები ცვალებადი იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ კონსტიტუციის თეორიის ძველ და ახალ ამოცანებზე, შემცვლების ადრინდელ და თანამედროვე მეთოდებზე. საფრანგეთის რევოლუციამდე კონსტიტუციის თეორიის ფუნდამენტური საკითხი საზოგადოებრივი ხელშეკრულება იყო³². მეოცე საუკუნის დასაწყისში მისი კვლევის მთავარი ქვაკუთხედი სუვერენიტეტი და ხალხის საკანონმდებლო ძალაუფლებაა.

კონსტიტუციის თეორია დღეს მრავალი ამოცანის წინაშე დგას. ერთ-ერთი კონსტიტუციის განმარტებაა. ის შეისწავლის მისი ინტერპრეტაციის ცალკეულ თავისებურებას³³. ინტერპრეტატორებს უსახავს გზებს და მეთოდებს და ადგენს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მათ წინაშე³⁴. სამართლის ნორმა ხშირად ბუნდოვანია. როგორც ყველა სამართალი, ისე საკონსტიტუციო სამართალიც მჭირდოდა დაკავშირებული ენასთან და მისი ნორმების შინაარსის დადგენა ზოგჯერ სირთულეებს წარმოშობს პრაქტიკაში. პოზიტიურ საკონსტიტუციო კანონმდებლობას არ შეუძლია ერთმნიშვნელოვნად ყველა ამ პრობლემაზე პასუხის გაცემა. ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი თეორიული გზა ნორმის ინტერპრეტაცია³⁵, როგორც მეთოდური დის-

ციპლინა³⁶.

კონსტიტუციის თეორიაში გამოყოფენ მის სამ მიმართულებას. **პირველი:** ის, როგორც პოლიტიკური მეცნიერების ნაწილი, ახდენს მსოფლიოს სხვადასხვა კონსტიტუციების კლასიფიკაციას და მათ შედარებას. აქ მთავარი აქცენტი კეთდება მმართველობის ფორმებზე³⁷. **მეორე:** კონსტიტუციის თეორია, კონსტიტუციის სინამდვილიდან გამომდინარე, ახდენს კონკრეტული კონსტიტუციის სამართლებრივ, სახელმწიფო-თეორიულ და პოლიტიკურ ანალიზს³⁸. **მესამე:** კონსტიტუციის თეორია აკვირდება კონსტიტუციის იდეალურ ტიპებს და აფასებს მათი გამოყენების ეფექტიანობის და შედეგის ხარისხს.

კონსტიტუციონალისტიკაში კონსტიტუციის თეორიის შემდეგ მახასიათებლებს გამოყოფენ:

- კონსტიტუციის თეორია, როგორც კომპლექსი;
- კონსტიტუციის თეორია, როგორც მეტათეორია;
- კონსტიტუციის თეორია, როგორც ნორმატიული მეცნიერება;
- კონსტიტუციის თეორია, როგორც რეალობაზე ორიენტირებული მეცნიერება;
- კონსტიტუციის თეორია, როგორც რეალური ფენომენი³⁹.

კონსტიტუციის თეორიის ცნება კომპლექსურია. ის ახდენს კონსტიტუციური საკითხების სამართლებრივ-თეორიულ და სამართლებრივ-შედარებით ანალიზს, სამეცნიერო-თეორიულ განმარტებას, ემპირიულ და ნორმატიულ დამუშავებას⁴⁰. კონსტიტუციის თეორია, როგორც მეტათეორია, კონსტიტუციის დოგმატიკის თეორია⁴¹ („თეორიის თეორია“).

32 *Haverkate G.*, 1992. *Verfassungslehre, Verfassung als Gegenseitigkeitsordnung*, München, S. 9.

33 *Häberle P.*, 1980. *Die Verfassung des Pluralismus, Studien zur Verfassungstheorie der offenen Gesellschaft*, Athenäum, S. 94.

34 *Häberle P.*, 1980. *Die Verfassung des Pluralismus, Studien zur Verfassungstheorie der offenen Gesellschaft*, Athenäum, S. 94.

35 *Adamovich L., Funk B., Holzinger G.*, 2011. S. 24; *Michaela Wittinger*, *Verfassungen, international Verträge und das Recht der Europäischen Union im Wandel*, in: *Verfassung - Völlkerrecht – Kulturgüterschutz*, Festschrift für Wilfried Fiedler zum 70. Geburtstag. Hrsg. *Wittinger M.*, u. a. Berlin; *Borowski M.*, *Subjekte der Verfassungsinterpretation*, in: *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Hrsg. *Josef Isensee und Kirchhof P.*, Band XII, 2014; *Zeh W.*, *Parlamentsrecht und Verfassungsinterpretation*, in: *Verfassung: Zwischen Recht und Politik*, Festschrift zum 70. Geburtstag für *Hans-Peter Schneider*, Hrsg. *Hufen F.*, 1. Auflage, Baden-Baden, 2008; *Württemberg Th.*, *Auslegung Verfassungsrecht – realistisch betrachtet*, in: *Verfassung – Philosophie – Kirche*, Festschrift für *Alexander Hollerbach* zum 70.

Geburtstag, Hrsg. *Bohnert J.*, u. a. Berlin, 2001; *Starck Ch.*, *Maximen der Verfassungsinterpretation*, in: *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, Hrsg. *Isensee J.*, und *Kirchhof P.*, Band XII, 2014; *Forschoff E.*, *Zur Problematik der Verfassungenauslegung*, Stuttgart, 1961; *Gamper A.*, *Regeln der Verfassungsinterpretation*, Hrsg. *Raschauer B.*, Wien, 2012; *Gero Kellermann*, *Verfassungsinterpretation*, 2011.

36 *Herdegen M.*, 2004. *Verfassungsinterpretation als methodische Disziplin*, in: *Juristen Zeitung*, 13/59 Jahrgang, 2. Juli.

37 *Pernthaler P.*, S. 27.

38 *Pernthaler P.*, S. 28.

39 *Morlok M.*, 1988. *Was heißt und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie?* Berlin, S. 50.

40 *Morlok M.*, S. 50.

41 *Morlok M.*, S. 54.

კონსტიტუციის თეორია განიხილება, როგორც კონსტიტუციური ნორმების შესახებ სამეცნიერო დისციპლინა და რეფლექსური თეორია⁴².

მისი ნორმატიული ბუნება სხვადასხვა ასპექტისაა. კონსტიტუციის თეორიის საგანი კონსტიტუციაა (obiectum quod)⁴³. იგი კონსტიტუციას განიხილავს, როგორც ნორმატიულ სინამდვილეს და არა როგორც ისტორიულ, სოციალურ, ან სოციო-ფსიქოლოგიურ მოვლენას. ამით კონსტიტუციის თეორია თავისუფალია, ერთი მხრივ, კონსტიტუციის ისტორიისაგან და, მეორე მხრივ, კონსტიტუციის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიისაგან⁴⁴. კონსტიტუციის თეორია „ნორმის მეცნიერებაა“, ისევე როგორც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება⁴⁵.

კონსტიტუციის თეორია პრაქტიკული დისციპლინა არაა და ის არ უკავშირდება კონსტიტუციის წარმოებისა და გამოყენების პრაქტიკას, როგორც უშუალო „მონაწილე“*, არამედ მისი „კლასიკური დამკვირვებელია“, როგორც რეფლექსური დისციპლინა⁴⁶.

კონსტიტუციის თეორია განიხილება, როგორც დისციპლინათა ჰიბრიდული ფორმატი ანუ მულტი-იურიდიული სუბ-დისციპლინა⁴⁷, რომელიც სამი ფუნდამენტური ასპექტითაა განპირობებული: კონსტიტუციის თეორია, როგორც მოძღვრება კონსტიტუციის შემეცნების შესახებ, კონსტიტუციის თეორია, როგორც კონსტიტუციის ფილოსოფია

და კონსტიტუციის თეორია, როგორც მოძღვრება კონსტიტუციის ფორმისა და სტრუქტურის შესახებ.

კონსტიტუციის თეორია, პირველ შემთხვევაში, უნდა გავიგოთ, როგორც კონსტიტუციის კონტექსტუალური თეორია⁴⁸, რომელიც საშუალებას იძლევა, დადგინდეს მისი ტექსტის მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ის კონსტიტუციის ანალიტიკური თეორიაა. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის თეორიის უმთავრესი კითხვებია: როგორ ფუნქციონირებს კონსტიტუცია? რას აკეთებს ის მატერიალური ერთიანობისათვის? რა არის კონსტიტუციის მთავარი საყრდენი და ცალკეული კონსტიტუციური პრინციპის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი? კონსტიტუციის ჰერმენევტიკული თეორია, როგორც კონსტიტუციის თეორიის მეტა-თეორია, იძლევა კონსტიტუციის შინაარსის კონტექსტუალიზაციას. ამ გაგებით, კონსტიტუციის თეორია კონსტიტუციის შემეცნების თეორიაა.

კონსტიტუციის თეორია ახდენს პოზიტიურ-სამართლებრივი ანუ რეალური კონსტიტუციის შედარებას იდეალურ კონსტიტუციასთან. აქ მთავარია შემდეგი საკითხი: არის თუ არა მოქმედი კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლები და ფუნქციონირება კავშირში სამართლიანობასა და გონივრულობასთან ან თავისუფლებასა და თანასწორობასთან, უზრუნველყოფს თუ არა ის უსაფრთხო სოციალურ მშვიდობას, ეკოლოგიურ ხანგრძლივობას ან მიმართულია თუ არა ის ეკონომიკური მომავლისკენ? სწორედ ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს კონსტიტუციის ლეგიტიმაციის ხარისხს, მის საერთო ღირებულებას⁴⁹. პოზიტიურ-სამართლებრივი (რეალური) და მეტა-პოზიტიური (იდეალური) კონსტიტუციები ერთმანეთთან კონტრასტულ მდგომარეობაში იმყოფება. მათი შედარება საშუალებას გვაძლევს, გამოვცადოთ მათი სიცოცხლისუნარიანობა. საკითხის ამგვარ განმარტებას კონსტიტუციის ფილოსოფიისკენ მივყავართ.

კონსტიტუციის თეორია განიხილება, როგორც მოძღვრება კონსტიტუციის ფორმის

42 Jestaedt M., Beitrag moderner Verfassungstheorie, in: Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Hrsg. Depenheuer O., S. 13.

43 Jestaedt M., S. 11.

44 Jestaedt M., S. 11.

45 Hesse K., 1959. Die Normative Kraft der Verfassung, Tübingen, S. 5.

* რობერტ ალექსის (გერმანელი სახელმწიფოთმცოდნე), დოგმატიკა გაგებული აქვს პროცესების, როგორც მონაწილე, ხოლო თეორია, როგორც დამკვირვებელი. დოგმატიკოსი დაინტერესებულია სწორი გადაწყვეტილებებით, ხოლო თეორეტიკოსი-ფუნქციონირებით. დოგმატიკა „დოგმებს“ ქმნის, მყარ, უდავო წესებს ან მეცნიერულ დებულებებს. დოგმატიკა არის მოძღვრება დოგმების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ (Roelleck G., 2011. Zur Unterscheidung von Rechtsdogmatik und Theorie, in: Juristen Zeitung, 13/66. Jahrgang, 1. Juli).

46 Matthias Jestaedt M., Beitrag moderner Verfassungstheorie, in: Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Hrsg. Depenheuer O., S. 13.

47 Jestaedt M., S. 18.

48 Jestaedt M., Beitrag moderner Verfassungstheorie, in: Verfassungstheorie und Verfassungsgebung, Hrsg. Depenheuer O., S. 15.

49 Jestaedt M., S. 15.

ჩამოყალიბების შესახებ, მეორენაირად მას საკონსტიტუციო სამართლის პოლიტიკასაც უწოდებენ⁵⁰.

კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სამართლის თეორია

რა კავშირი არსებობს კონსტიტუციის თეორიასა და საკონსტიტუციო სამართლის თეორიას შორის? განსხვავდება თუ არა მათი სამეცნიერო ინტერესები? არსებობს თუ არა რაიმე მეთოდოლოგიური საფუძველი ან წინაპირობა იმისათვის, რომ ორივე ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდეს? საკონსტიტუციო სამართლის თეორია მთლიანად საკონსტიტუციო სამართალს მოიცავს, ანუ მისი საგანია არსებული საკონსტიტუციო სამართალი⁵¹, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის თეორიის დაკვირვების ობიექტი საკუთრივ კონსტიტუციაა. ასევე არის მოსაზრება, რომ კონსტიტუციის თეორია საკონსტიტუციო სამართლის ზოგადი ნაწილია⁵² ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მისი მეტა-თეორიაა. ეს ის კითხვებია, რომლებიც მოითხოვს მეტ მეცნიერულ დაკვირვებას, რაც ცალკე კვლევა-ძიების საგანია.

კონსტიტუციის თეორიის განვითარების კვალდაკვალ ევოლუცია განიცადა სუბ-დარგებმა, როგორებიცაა, მაგალითად, დემოკრატიის თეორია, სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია, ძალაუფლების გამიჯვნის თეორია, კონსტიტუციის განმარტების თეორია, ადამიანის ძირითადი უფლებების თეორია და ა.შ. ევროპული ინტეგრაციის კვალდაკვალ აღმოცენდა და განვითარდა ევროპული საკონსტიტუციო სამართალი⁵³, როგორც დისციპლინა და „ევროპული საკონსტიტუციო

სამართლის თეორია“⁵⁴, როგორც მეცნიერება. ევროპული საკონსტიტუციო სამართალი მოიცავს ევროკავშირის დაწერილ და დაუწერელ სამართალს, რომელიც არეგულირებს მისი ორგანოების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, სამართლის შექმნის პროცესს და მის მიმართებას ეროვნულ-სამართლებრივ სისტემებთან⁵⁵. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აქ საქმე არ ეხება სახელმწიფოს კონსტიტუციას კლასიკური გაგებით, ვინაიდან ევროკავშირი სახელმწიფო არაა. 2004 წელს იყო მცდელობა, რომ ევროკავშირისთვის კონსტიტუცია შეექმნათ⁵⁶. ევროპის ორმა სახელმწიფომ ის უარყო. 2007 წელს ისევ განახლდა მოლაპარაკებები ძველი დოკუმენტის რეფორმირებაზე, მათ შორის სიტყვა „კონსტიტუციის“ ამოღების ჩათვლით, თუმცა ევროკონსტიტუცია საბოლოოდ მაინც არ მიიღეს.

კონსტიტუცია და კონსტიტუციის ისტორია

კონსტიტუცია და სახელმწიფო არა უნივერსალური და მარადიული, არამედ ისტორიულად არსებული, კონკრეტული მოვლენებია⁵⁷. მათი ისტორიული განვითარების ცოდნა კონსტიტუციის თეორიის შესწავლის აუცილებელი პირობაა⁵⁸.

სამართლის ყოველი დარგის პრინციპი და ინსტიტუტი მჭიდროდ უკავშირდება საკუთარ ისტორიას⁵⁹. კონსტიტუციაც განსაზღვრული ისტორიული განვითარების შედეგია⁶⁰. იგი

50 Jestaedt M., S. 17.

კავშირის საბჭომ (2007) ასეთი მიდგომა დაადასტურა და უნივერსიტეტების ავტონომიასა და უნარზე, უპასუხონ საზოგადოების მოლოდინებს, შორის კავშირზე აქცენტი გააკეთა. ამ ფარგლებში უნივერსიტეტის ავტონომია არის არა მარტო გადამწყვეტი ფაქტორი ევროპულ სივრცეში უმაღლესი განათლების მიღწევების უზრუნველსაყოფად, არამედ ევროპული კვლევების წარმატებული დასრულების საშუალება, როგორც ეს დადგენილია ევროკომისიის მწვანე მოხსენებაში: „ევროპული კვლევების სივრცე: ახალი პერსპექტივები“ (აპრილი, 2007).

ევროკავშირის ფლაგმანი ინიციატივა „ევროპის კავშირის ინოვაცია 2020 წლამდე გონიერი, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის სტრატეგიის შესახებ“ იმის აუცილებლობას ადგენს, რომ ევროპული უნივერსიტეტები ზედმეტი რეგულაციისა და მიკრომართვისაგან გათავისუფლდნენ და ისინი სრული ანგარიშვალდებულებით ჩაანაცვლონ.

2. ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მოღვაწეობა სამართლებრივი დამოუკიდებლობის დარგში

ანგარიშებში: „ფინანსურად მდგრადი უნივერსიტეტები: ევროპული უნივერსიტეტები სრული კალკულაციის გზაზე“, „ფინანსურად მდგრადი უნივერსიტეტები, „ევროპულ უნივერსიტეტებში შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია“ და „ინსტიტუციონალური მრავალფეროვნება ევროპულ უმაღლეს განათლებაში“, სხვადასხვა კუთხით გაანალიზებულია საუნივერსიტეტო ავტონომიის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესების დარგში და წარმოდგენილია თითოეული პოზიციის ემპირიული მტკიცებულება.

კვლევაში - „ფინანსურად მდგრადი უნი-

ვერსიტეტები: ევროპული უნივერსიტეტების დივერსიფიცირებული შემოსავლის ნაკადები“ დადგენილია, რომ უნივერსიტეტის უნარი, წარმოქმნას დამატებითი შემოსავალი, ეხება ინსტიტუციური ავტონომიის ხარისხს, რომელიც მას ენიჭება იმ სამართლებრივ ჩარჩოში, რომელშიც ის მუშაობს. ეს სტანდარტი შეეხო ყველა დონის საუნივერსიტეტო ავტონომიას, მათ შორის ავტონომიას ორგანიზაციულ, ფინანსურ, საკადრო და აკადემიურ სფეროებში.

მონაცემებით გამოვლინდა, რომ ფინანსური ავტონომია ყველაზე მჭიდროდ ეთანადება უნივერსიტეტების უნარს, მოიზიდოს შემოსავალი დამატებითი დაფინანსების წყაროებიდან. ეს ასევე ეხება კადრებით დაკომპლექტების ავტონომიას, განსაკუთრებით პროფესიული კადრების მოწვევას და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ხელფასის ოდენობის გაზრდას. ეს ასევე აღმოჩნდა დადებითი შემოსავლის დივერსიფიკაციისათვის. საბოლოოდ შემცირების რისკები, დამოკიდებულება რომელიმე ერთი კონკრეტული დამფინანსებელისაგან, დივერსიფიცირებული შემოსავლის სტრუქტურა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ავტონომიის შემდგომ განვითარებას, დაბოლოს, იმ რისკების შემცირების ხარჯზე, რაც უკავშირდება რომელიმე ერთ კონკრეტულ სპონსორზე გაზრდილ დამოკიდებულებას. შემოსავლების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შეუძლია, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ინსტიტუციური ავტონომიის შემდგომ განვითარებას.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამ ასევე დაადგინა, რომ ევროპის აღმოსავლეთის ზოგ უნივერსიტეტში ადრე მინიჭებული ავტონომია საგრძნობლად იყო შემცირებული. რიგ შემთხვევაში ანგარიშვალდებულების ზომების ზრდამ უნივერსიტეტის ავტონომიის ეფექტურობა შეამცირა, რის გამო ხშირად ერთმანეთს რადიკალურად დაუპირისპირდა განსხვავება რეალურ და ფორმალურ ავტონომიას შორის.

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციამ მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ ეკონომიკურ კრიზისს ხელისუფლება ბოროტად იყენებს, რაც ამცირებს უნივერსიტეტების

ბიძინა სავანელი

შესაძლებლობას, თავისუფლად მართოს საკუთარი სახსრები და, აქედან გამომდინარე, ზღუდავს მათს ავტონომიას. ასეთი ვითარება შემაშფოთებელია, რადგან მნიშვნელოვნად აფერხებს უნივერსიტეტების უნარს, საკუთარ სივრცეში წარმატებით დაძლიონ კრიზისი და დაიცვან ის სფეროები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი ინსტიტუციური და ეროვნული მისიების შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ავტონომიის ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო და აკადემიური სფეროები არ არიან თანაბარი წონისა, მაგრამ ერთმანეთსაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ. გადაწყდა, რომ, მიუხედავად მათ შორის რთული კავშირებისა, მაგალითად, ფინანსურმა ავტონომიამ არ უნდა გადაწონოს საკადრო ავტონომია.

ამასთან, მონაცემთა შეგროვების გამოცდილება აჩვენებს, რომ კანონმდებლობაში თუნდაც მცირე ცვლილებებმა შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს სურათი და შეაფერხოს მუდმივი განახლება. ევროპის ყველა უნივერსიტეტისათვის ერთიანი სამართლებრივი სტანდარტის გამოუმუშავება მიუღებელია, რადგან თითოეული ქვეყნის ისტორიული და კულტურული პარამეტრები განსხვავებულია. უბრალოდ საჭიროა ამოსავალი და ძირითადი პრინციპებისა და ზოგადი სტანდარტების გათვალისწინებით რთული სიტუაციები გამარტივდეს.

3. საუნივერსიტეტო დამოუკიდებლობის სამართლებრივი მდგომარეობა

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ძირითადი პერსონისაგან, როგორებიცაა: რექტორი, ვიცე-რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანები, ეს კვლევა აქცენტს, პირველ რიგში, უნივერსიტეტის აღმასრულებელ

ხელმძღვანელზე აკეთებს, როგორც არის „რექტორი“, რადგან ამ ტერმინს ყველაზე ხშირად იყენებენ ევროპაში.

რექტორის არჩევის ანდა დანიშვნის ოთხი ყველაზე გავრცელებული წესი არსებობს: 1. კონკრეტული საარჩევნო ორგანოს მიერ არჩეული რექტორი. ამ ორგანოს წარმოადგენს (პირდაპირ ან ირიბად) უნივერსიტეტის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი (აკადემიური პერსონალი, სხვა პერსონალი, სტუდენტები), რომელთა რაოდენობა არის შეწონილი. 2. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არჩეული რექტორი. ამ ორგანოს წარმოადგენს დემოკრატიულად არჩეული აკადემიური საკითხებით დაკავებული ჯგუფი, როგორც წესი – სენატი. 3. უნივერსიტეტის მმართველი ორგანოს მიერ არჩეული რექტორი. ამ ორგანოს წარმოადგენს სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტით დაკავებული საბჭო (board). 4. უნივერსიტეტის სენატისა და საბჭოს (board) მიერ ორსაფეხურიანი წესით არჩეული რექტორი. 5. რექტორის კანდიდატურა შეიძლება დამტკიცდეს გარე ორგანოს მიერ, მაგალითად, პრეზიდენტის, მთავრობის ან უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ (ესპანეთი, საბერძნეთი, ისლანდია, იტალია, ნიდერლანდები, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი, ლატვია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი). თუმცა ეს უბრალო ფორმლობაა.

ზოგიერთ სისტემაში არსებობს დამატებითი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ეხება, მაგალითად, კონკრეტული ტიპის აკადემიურ თანამდებობას (მაგ. სრული ან ასოცირებული პროფესორის). დამატებითი მახასიათებლები მოიცავს საერთაშორისო გამოცდილებას ან მენეჯერულ კომპეტენციებს, ან პედაგოგიურ გამოცდილებას. დანიაში რექტორი უნდა იყოს აღიარებული მეცნიერი. კვიპროსსა და ლუქსემბურგში რექტორს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს რაიმე ადმინისტრაციული თანამდებობა (მაგალითად, დეკანის). ამასთან, ასაკობრივი ცენზი არსად დადგენილი არ არის.

4. უნივერსიტეტის მეთაურის უფლებამოსილების ვადა და კომპეტენცია

უმრავლეს სისტემებში რექტორის უფლებამოსილების ვადა კანონით არის დადგენილი: ან ხანგრძლივობა ზუსტად ფიქსირებულია ან მაქსიმალური პერიოდი შეზღუდულია ოთხი (Den, CY, CZ, FR, GE, NO, PL, PT, SK), ხუთი (EE, FI, LT, LV, LU) ან ექვსი წლით (BB, NRW, SE), და ხშირად ერთხელ განახლებადია. უნგრეთში ვადა მერყეობს სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო შვეიცარიაში - ორიდან ექვს წლამდე, რისი განსაზღვრაც უნივერსიტეტის უფლებაა. ირლანდიაში უფლებამოსილების ვადა 10 წელია. ხუთ ქვეყანაში უნივერსიტეტები თავისუფლად განსაზღვრავენ ვადის ხანგრძლივობას (DK, ES, IT, HOL, GB).

რექტორის თანამდებობიდან დათხოვნის წესი არის მეტ-ნაკლებად რეგულირებული. რვა ქვეყანაში (CH, CS, DK, EE, FI, IT, HOL, GB). კანონი არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება პოსტიდან რექტორის დათხოვნას. სხვა სისტემებში, კანონის თანახმად, დათხოვნა უნდა დაადასტუროს გარე ორგანომ (GR, HU, LT, PT, SK, SW).

რამდენიმე სისტემაში რექტორის სამსახურიდან დათხოვნა უფრო დეტალურად არის რეგულირებული. ავსტრიაში დათხოვნა შეიძლება განხორციელდეს თავად უნივერსიტეტის მიერ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედარებით მძიმე გადაცდომას აქვს ადგილი ან ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, ან სახეზეა ფსიქიკური ან ფიზიკური უუნარობა, ან ნდობის დაკარგვა, რაც უნდა დადასტურდეს სასამართლო წესით. ნორვეგიაში რექტორი არის საჯარო მოსამსახურე და შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან მხოლოდ სერიოზული გადაცდომის საფუძველზე შესაბამისი კანონის დაცვით. პოლონეთში რექტორი შეიძლება დაითხოვოს საკონკურსო კომისიამ ან იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა მძიმე გადაცდომას, რისი

გადაწყვეტილებაც მიიღება სამინისტროს მიერ ეროვნული უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციისა და უმაღლესი განათლების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ.

ზოგადად, უნივერსიტეტთა უმრავლესობა არსებითად თავისუფალია შიდა აკადემიური სტრუქტურების განსაზღვრაში. ცალკეულ ქვეყნებში სტრუქტურების ჩამონათვალი კანონით არის განსაზღვრული, თუმცა ეს არ განიხილება, როგორც ინსტიტუციური ავტონომიის მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი: აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მსოფლიოს უნივერსიტეტებისათვის უცნობ და კურიოზულ მგომარეობას, რომელიც ძველი პარლამენტის მიერ მიღებულ „საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ“ რექტორის კომპეტენციის არარსებობასთან არის დაკავშირებული.

კანონის მუხლი 14, პუნქტი 2 ადგენს: „2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან.“

კანონის მუხლი 15, პუნქტი 2 ადგენს: „2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.“

კანონის მუხლები 17-21 ადგენს: აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევისა და ცალკე - უფლებამოსილების წესებს, მაშინ, როდესაც კანონის მუხლი 22 რექტორის მხოლოდ არჩევისა და დათხოვნის წესებს ითავლისწინებს.

ამრიგად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს - უნივერსიტეტის რექტორს - დამოუკიდებელი უფლებამოსილება არ გააჩნია. და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა, რექტორის უფლებამოსილებას ცალკე და ზუსტად განსაზღვრავს.¹

5. უნივერსიტეტის მიერ იურიდიული პირების დაფუძნების პარამეტრები

უნივერსიტეტთა უმრავლესობა თავი-სუფალია, შექმნას დამოუკიდებელი იურიდიული პირები. შესაძლებლობა, რომ შეიქმნას დამოუკიდებელი იურიდიული პირები, უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს განახორციელონ თავიანთი სტრატეგიები, გამონახონ მოქნილი და ადეკვატური გზა მათი მთავარი მისიების განსახორციელებლად.

ქვეყნებში: კვიპროსი, საბერძნეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი და შვეიცარია დაშვებულია, უნივერსიტეტებში შეიქმნას არასამეწარმეო იურიდიული პირები. სხვა ქვეყნებში (DAN, BB, CZ, EE, ES, FI, FR, HE, HU, IE, IT, LT, LU, LV, NL, NO, NRW, GB) უნივერსიტეტებს შეუძლიათ შექმნან ორივე - არაკომერციული და არასამეწარმეო - იურიდიული პირები. დანიაში უნივერსიტეტებს შეუძლიათ, შექმნან სრულ საკუთრებაში არსებული შემლუდული პასუხისმგებლობის კომპანიები, რომელთაც, თავის მხრივ, შემდეგ შეუძლიათ შექმნან შვილობილი კომპანიები, როგორებიცაა: spin-off კომპანიები, მეცნიერების პარკები ან სტუდენტური საერთო საცხოვრებლები. არის შემლუდებებიც. პოლონეთის და ისლანდიის უნივერსიტეტებში დაშვებულია მხოლოდ

ისეთი იურიდიული პირების შექმნა, რომელთა საქმიანობის სფერო დაკავშირებული იქნება უნივერსიტეტის მისიასთან. შვედეთში მხოლოდ იმ უნივერსიტეტებს აქვთ ჩარტერული კომპანიების დაარსების უფლებამოსილება, რომლებიც სპეციალურადაა ჩამოთვლილი კანონში.

6. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები და მართვის სტრუქტურები

არსებობს ორი ძირითადი ტიპის მმართველობის სტრუქტურა: ორმაგი და უნიტარული.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებს აქვთ ორმაგი მმართველი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს აკადემიურ სენატს და საბჭოს. საბჭო, რომელიც მოიცავს დაახლოებით 25 წევრს, არის დამოუკიდებელი სტრუქტურა და თითქმის ყოველთვის შეიცავს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტურ წარმომადგენლობასაც. ამასთან შეიმჩნევა ტენდენცია, რომ საბჭოში უმრავლესობა გარეგანი დამოუკიდებელი წევრებით დაკომპლექტდეს.

ისლანდიაში სენატი ნიშნავს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს უნივერსიტეტის საბჭოში; სხვა შემთხვევაში ის მხოლოდ საკონსულტაციო როლს ასრულებს. გერმანიაში სენატი ძირითადად მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, ხოლო საბჭო არის სათათბირო, რომელიც მხოლოდ დაწესებულების განვითარების გეგმას ადასტურებს. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში საბჭო ირჩევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს და გადაწყვეტს განვითარების გეგმას, ხოლო სენატს აქვს უფლება, არჩევნების შედეგები დაადასტუროს. ავსტრიაში რექტორატი თანა-არსებობს სენატსა და საბჭოსთან და აქვს თანაბრი უფლებები, რომელთა შედეგად ავსტრიის უნივერსიტეტებში სამი მმართველი ორგანო არსებობს.

ორმაგი ტიპის მმართველობის სტრუ-

1 სანიშნოდ იხ., Report on joint EUA - REGIO/JRC Smart Specialisation Platform expert workshop: The role of universities in Smart Specialisation Strategies, EUA PUBLICATIONS, 2014. [The European University President - Boston College, ttps://ejournals.bc.edu/ojs/index.php/.../6115](https://ejournals.bc.edu/ojs/index.php/.../6115).

ქტურაში პასუხისმგებლობა ორიენტირებულია ისეთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე, როგორებიცაა: დებულებები, სტრატეგიული გეგმები, რექტორის და ვიცე-რექტორების არჩევა, ბიუჯეტის განსაზღვრა. სენატს ევალება ისეთი აკადემიური საკითხების რეგულირება, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამები, თანამშრომლობის ხარისხი და კვალიფიკაციის ამაღლება.

ესპანეთში უნივერსიტეტების მართვის ორგანოების შემადგენლობა ფართოა. სენატი შეიძლება შეიცავდეს 300-მდე წევრს, მათ შორის, პროფესორებს, უმცროს აკადემიური პერსონალს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს. უნივერსიტეტები თავად განსაზღვრავენ სენატის ზუსტ შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონით პროფესორები უნდა შეადგენდნენ უმრავლესობას. სენატი, როგორც წესი, წყვეტს უნივერსიტეტის სტრატეგიას და ირჩევს რექტორს. როგორც სენატის შემადგენლობა, ისე უნივერსიტეტების საბჭოები, არიან აღმასრულებელი ორგანოები, რომელნიც ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ. იგი ასევე სთავაზობს ბიუჯეტს.

შვეიცარიაში პროფესორები (მათ შორის დეკანები) მოქმედებენ, როგორც სენატის სათათბირო ორგანო. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი აყენებენ რექტორისა და ვიცე-რექტორების კანდიდატურებს. უნივერსიტეტის საბჭო არის მთავარი აღმასრულებელი ორგანო. ის, როგორც წესი, ბორდის ტიპის სტრუქტურაა და მოიცავს მხოლოდ გარეგან წევრებს. ის იღებს ყველა ძირითად გადაწყვეტილებას, როგორებიცაა, მაგალითად, ფინანსური საკითხები, სტრატეგიული დაგეგმვა, ანგარიშგება და დაკომპლექტების წესი.

იტალიაში მართვის ორგანოების სტრუქტურა განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, მაგრამ, ფაქტობრივად, განსხვავდება ცალკეულ უნივერსიტეტებში. მაგალითად, გარეგანი წევრები შედიან ფორუმში. სენატი შედგება ყველა დეკანის, დისციპლინების (მაგ., დეპარტამენტების) არჩეული აკადემიური წარმომადგენლებისაგან. სენატში სტუდენტების 15%-ია წარმოდგენილი. საბჭო შედგება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

და სხვადასხვა კატეგორიის აკადემიური პერსონალის (სრული პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და მკვლევრები) წარმომადგენლებისაგან. ზოგიერთ უნივერსიტეტში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ადგილობრივი ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების წევრები არიან წარმოდგენილი.

სენატის ტიპის სტრუქტურა არსებობს ესტონეთში, საბერძნეთში, ირლანდიაში, ლატვიასა და პოლონეთში. საბჭოს ტიპის სტრუქტურა არსებობს დანიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ნორვეგიაში, პორტუგალიასა და შვედეთში.

7. უნივერსიტეტის გარე წევრების მართვის ორგანოები

გარე სამეთვალყურო წევრების დანიშვნის შემდეგი ოთხი ძირითადი მოდელი არსებობს:

1. უნივერსიტეტებს შეუძლიათ თვითონ დანიშნონ გარე წევრები (დანია, ესტონეთი, ფინეთი, პორტუგალია და გაერთიანებული სამეფო).
2. გარე წევრებს შესთავაზებს უნივერსიტეტები, მაგრამ დანიშნავს გარე ორგანო (ნორვეგია, სლოვაკეთი და შვედეთი).
3. ზოგიერთი წევრი ინიშნება უნივერსიტეტის და ზოგიერთი გარე ორგანოს მიერ (ავსტრია, კვიპროსი, საფრანგეთი, ისლანდია, ლიტვა).
4. დანიშნავს მხოლოდ გარე ორგანო (უნგრეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი და შვეიცარია). არსებობს სხვა ვარიანტებიც. ჩეხეთის რესპუბლიკაში საგარეო წევრებს ნიშნავს მინისტრი რექტორთან კონსულტაციების შემდეგ. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში გარე წევრებს ნიშნავს სპეციალური საარჩევნო კომიტეტი, რომელიც შედგება უნივერსიტეტის და სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებისაგან.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ამ დარგში ზოგიერთ უნივერსიტეტში განხორციელდა ცვლილებანი, მაგრამ არა-არსებითი.

8. უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომია

სახელმწიფო დაფინანსების განაწილება

სამინისტროსა და უნივერსიტეტებს შორის გრძელვადიან კონტრაქტებზე უფრო და უფრო მეტი ქვეყანა გადადის იქ, სადაც მათი უფლებებისა და მოვალეობების გამო რესურსები და სტუდენტთა რაოდენობა ამის საშუალებას იძლევა. ყოველწლიური კორექტირება არ არის აღქმადი ტენდენცია, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, სადაც საჯარო დაფინანსების მეშვეობით ბლოკ-გრანტების ნაცვლად ბიუჯეტის ხაზები მოქმედებს. ის მოიცავს რამდენიმე კატეგორიის ხარჯებს, როგორებიცაა: სწავლების, საოპერაციო ხარჯები ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. თუმცა გარკვეული შეზღუდვები მაინც ვრცელდება. უნივერსიტეტებს არ შეუძლიათ გამოყონ თავიანთი ფონდები ან შეიძლება იმოქმედონ მხოლოდ მკაცრი შეზღუდვებით. ბიუჯეტი გამოიყენება მხოლოდ კვიპროსსა და საბერძნეთში. დარჩენილ 25 სისტემაში ძირითადი უნივერსიტეტები ბლოკ-გრანტებს სახელმწიფო დაფინანსების სახით იღებენ, სადაც ისინი შეიძლება კიდევ დაიყონ, მათ შორის შიდა ღირებულების ნივთებად ან საქმიანობად.

არანაირი შეზღუდვა არ არსებობს ბლოკ-გრანტის შიდა გამოყოფისათვის შემდეგ ქვეყნებში: ბრანდენბურგი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ესპანეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. ქვეყნებში: საფრანგეთი, უნგრეთი, ისლანდია, ლატვია, ლიტვა, პორტუგალია, სლოვაკეთი და შვედეთი საგრანტო ბლოკი დაყოფილია ფართო კატეგორიებად, როგორებიცაა, მაგალითად, სწავლება და კვლევა (ისლანდია, შვედეთი), სწავლება, კვლევა და ინფრასტრუქტურა (ლატვია, ლიტვა), ხელფასები და საექსპლუატაციო ხარჯები (პორტუგალია), ან ინვესტიციები, ხელფასები და საექსპლუატაციო ხარჯები (საფრანგეთი).

9. უნივერსიტეტის მიერ სახელმწიფო დაფინანსების კოორდინაციის შენარჩუნება

ბევრი ქვეყნის უნივერსიტეტი თავისუფალია, რომ საჯარო დაფინანსების დადებითი სალდო მთლიანად შეინარჩუნოს. ასეთი არიან: ავსტრია, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ნიდერლანდები, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთი. ამასთან, გაერთიანებულ სამეფოსა და ესტონეთში სახელმწიფო დაფინანსება შეიძლება იყოს შესწორებული მომდევნო წელს, თუკი უნივერსიტეტში წინასწარ დაგეგმილი მიღება ან კურსდამთავრებულთა რაოდენობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, თუმცა კვიპროსის, საბერძნეთის, ირლანდიის და ლიტვის უნივერსიტეტები ვერ ინარჩუნებენ დადებით სალდოს. გარდა ამისა, შეიძლება სხვა შეზღუდვებიც დაწესდეს. ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლატვიაში, ლუქსემბურგსა და პორტუგალიაში დადებით სალდოს შენარჩუნება ითხოვს სახელმწიფო ნებართვას. პოლონეთში პროფიციტი შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ინვესტიციისათვის. ამასთან, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ნორვეგიასა და შვედეთში ჭარბი შეიძლება იყოს მაქსიმუმ პროცენტული (5% - ჩეხეთი, ნორვეგია და 10% შვედეთი).

10. უნივერსიტეტის მიერ თანხის სესხვა

უნივერსიტეტების ნაწილს შეუძლია სესხის თანხა შეზღუდვების გარეშე მოიძიონ (ავსტრია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი და ნიდერლანდები). მეორე ნაწილს სესხის თანხა შეუძლია სახელმწიფოს ნებართვით მოიძიოს (კვიპროსი, საფრანგეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი), შვედეთში მათ შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფო ბანკები. პოლონეთში უნივე-

რსიტეტებს შეუძლიათ ისეცხონ ფული და სახელმწიფო სესხი გარკვეული პირობების დაცვით მიიღონ.

ინსტიტუტების შეუძლიათ ისინი თავისუფლად გაყიდონ. უნივერსიტეტებს ასევე შეუძლიათ, მოითხოვონ, რომ სახელმწიფომ მათ წილ-სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები მათვე მიჰყიდოს.

11. უნივერსიტეტის მიერ მიწისა და შენობების მფლობელობა

უნივერსიტეტების მიერ მიწის მფლობელობის თა-ვისუფალ ყიდვა-გაყიდვასა და მშენებლობაზე უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათს ავტონომიასთან, უზრუნველყოს თავიანთი ინსტიტუციური სტრატეგიისა და აკადემიური პროფილის განხორციელება.

კვლევებმა მრავალგზის დაადასტურა, რომ ერის ტრადიციების შენარჩუნება და კულტურული ორიენტაციების რეალიზება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფილი ხდება, როდესაც უნივერსიტეტებს უფლება აქვთ, ხელსაყრელ ფასებში მფლობელობაში ან იჯარით გადასცენ თავიანთი არა-კულტურული ღირებულების ობიექტები. ასეთი უნივერსიტეტების შენობების მაღალი საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიული მნიშვნელობის შენობების მოვლა-შენახვასთან, აუცილებელს ხდის ასეთი გადაწყვეტილების მიღებას. სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს გერმანიის, ავსტრიის, ლიტვის, შვედეთის და უნგრეთის ზოგიერთმა უნივერსიტეტმა.

ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის: ავსტრია, ჩეხეთი, დანია, იტალია, ჰოლანდია, სლოვაკეთი, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი, უნივერსიტეტებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ გაყიდონ არაკულტურული ღირებულების შენობები. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ შემთხვევაში საჭიროა სახელმწიფოს წინასწარი თანხმობა. ფინეთის მთავრობამ უარი თქვა შენობების სრულ საკუთრებაზე და უნივერსიტეტებს საკუთრების 67% გადასცა, ხოლო თვითონ 33% დაიტოვა. ლატვიაში უნივერსიტეტის შენობები შეიძლება სახელმწიფო საკუთრებიდან უნივერსიტეტებს საკუთრებაში გადავიდეს, რომლის დროსაც

12. უნივერსიტეტის სტრუქტურული საფინანსო შენატანები

ამ მიმართებით სამი ძირითადი მოდელი არსებობს ევროპაში: მოსაკრებლების ოდენობას უნივერსიტეტი თავისუფლად თავად განსაზღვრავს; საფასურს საჯარო ხელისუფლება განსაზღვრავს; საჯარო ხელისუფლება და უნივერსიტეტები საფასურს ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრვენ, ამასთან, საჯარო ხელისუფლებას შეუძლია, შექმნას საფასურის ჭერი. ზოგიერთ სისტემაში საჯარო ხელისუფლება სამეცნიერო კვლევებს დამატებით აფინანსებს.

13. უნივერსიტეტის საკადრო ავტონომია

კადრების შერჩევა

ფინეთში, როგორც წესი, პროფესორის ვაკანსია საჯაროდ ცხადდება, თუმცა, ზოგჯერ ვაკანტურ თანამდებობაზე ვაკანსია საჯაროდ იმ შემთხვევაში არ ცხადდება, თუ პირს აქვს ძალზე სპეციფიკური და უნიკალური კომპეტენცია. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი ან კანცლერი გამარჯვებულს პროფესორის თანამდებობაზე ნიშნავს. რექტორის ან კანცლერის მიერ დანიშვნა „მოწვევით“ ასევე შესაძლებელია.

საფრანგეთში აკადემიური პერსონალი კომპლექტდება სიით, რომელსაც წარადგენს აკადემიკოსთა ეროვნული კომიტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან. იტალიაში უფროსი თანამშრომლების შერჩევა მოიცავს სამეცნიერო შეფასების პანელს,

რომლებიც, როგორც წესი, შედგება შიდა და ოთხი გარე წევრისაგან. გარე წევრები, როგორც წესი, პროფესორებად მუშაობენ შესაბამის სამეცნიერო სფეროში და სხვა იტალიურ უნივერსიტეტებში. შემფასებელთა პანელი კანდიდატს შეაფასებს კვლევების და პუბლიკაციების სამეცნიერო ღირებულების საფუძველზე.

ევროკავშირის 22 ქვეყანაში უნივერსიტეტები არსებითად თავისუფალია უფროსი ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავებაში. დანარჩენ ქვეყნებში არსებობს კონკურსის წესი, მაგრამ ეს არ ეხებათ შედარებით დაბალი საფეხურის თანამდებობის პირებს.

თერთმეტ ქვეყანაში (CH, CZ, DK, EE, FI, IE, LV, LT, LU, SE, GB) უნივერსიტეტიდან თანამდებობის პირთა გათავისუფლების კონკრეტული დებულებანი, გარდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დათხოვნისა, არ არსებობს.

თავი II

1. უნივერსიტეტის სისტემის დამოუკიდებლობის მაჩვენებელი

ორგანიზაციული ავტონომია

გაერთიანებული სამეფო არის ლიდერი ორგანიზაციული ავტონომიის სფეროში და უმაღლესი განათლების სისტემაში მისი რეიტინგი ყველა მაჩვენებლით 100%-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მათი ავტონომიის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტენ თავიანთი საქმიანობის ყველა ასპექტს.

კიდევ ხუთი ქვეყნის საუნივერსიტეტო სისტემა გადალახა 80%-იანი ბარიერი და ამის შედეგად მათ მაღალი ხარისხის ავტონომიას მიაღწიეს. ეს ქვეყნებია: დანია, ესტონეთი, ფინეთი, ირლანდია და გერმანია. ამ უნივერსიტეტებს თავისუფლად შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება ფაკულ-

ტეტებისა და კათედრების სტრუქტურის შესახებ, სხვადასხვა არაკომერციული და არამომგებიანი იურიდიული პირები შექმნან. სისტემის ზედა იარუსში უნივერსიტეტებს თავიანთ ორგანოებში თავისუფლად შეუძლიათ დანიშნონ გარე წევრები, მისი ორგანოები. მათგან სამ სისტემაში (DK, EE, FI), კანონი შეიცავს აღმასრულებელი ხელმძღვანელის შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპებს.

მეორე (“საშუალოზე მაღალი“) დონის სისტემები მერყეობს 61% და 80% შორის. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი და პორტუგალია. რაც შეეხება ამ უნივერსიტეტების თავისუფლების ხარისხს, მიიღონ გადაწყვეტილება ფაკულტეტებისა და კათედრების სტრუქტურისა და სხვადასხვა არაკომერციული და არამომგებიანი იურიდიული პირები შექმნის შესახებ, ასეთი მოდელი საკმაოდ მოქნილია.

ამ სისტემების უმეტესობაში გარე წევრები შედიან უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში. (მხოლოდ პოლონეთსა და ლატვიაში, რომლებიც ამ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს იკავებენ, ასეთი რამ დაუშვებელია). მიუხედავად ამისა, სისტემის მეორე ჯგუფში გარე წევრების დანიშვნის თავისუფლება მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ზედა ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის უნივერსიტეტები თავისუფალნი არიან აირჩიონ გარე წარმომადგენლები, დანარჩენ ხუთ სისტემაში მართვის ორგანოებში გარე წევრები ნაწილობრივ ინიშნებიან გარედან, ნაწილობრივ – უნივერსიტეტის მიერ.

მესამე (“საშუალოზე დაბალი“) მერყეობს 61% და 80% შორის. ეს ქვეყნებია: კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი და შვეიცარია. მათგან ორ სისტემაში (CY, FR) აღმასრულებელი ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურა ხორციელდება მხოლოდ იმ ინსტიტუციურ დონეზე. ცხრა სისტემაში რექტორის სამსახურიდან დათხოვნაში მონაწილეობს გარე სისტემა. რვა მათგანში სამინისტრო ან უმაღლესი განათლების ორგანო დაწესებულების გადაწყვეტილების

საფუძველზე გათავისუფლებას ადასტურებს (GR, HU, SE, SK) ან კანონის (BB, CZ, ES, IS) შესაბამისად. საფრანგეთში მხოლოდ გარე ორგანოს აქვს უფლება, დაითხოვოს აღმასრულებელი ლიდერი.

მეოთხე (“დაბალი”) დონე ფასდება 40% ქულით. ეს ქვეყანა ლუქსემბურგია. აღმასრულებელი ხელმძღვანელის შერჩევისა და დათხოვნის პროცედურებს ადგენს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. აღმასრულებელი ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები და ვადა დადგენილია კანონით. გარე ორგანო უშუალოდ ჩართულია გათავისუფლების პროცესში: ის გადაყენებას ადასტურებს. ლუქსემბურგში უნივერსიტეტების ბორდში ჩართული არიან არასაუნივერსიტეტო წარმომადგენლები, მაგრამ მათ დანიშნას აკონტროლებს სამინისტრო. აკადემიური ერთეულების სტრუქტურა, როგორებიცაა: ფაკულტეტები და დეპარტამენტები, მკაცრად რეგულირდება კანონით. ამასთან, უნივერსიტეტებს ლუქსემბურგში შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა არაკომერციული და არამომგებიანი იურიდიული პირები. უნივერსიტეტების ამ სისტემას არ გააჩნია მოქმედების თავისუფლება ორგანიზაციული ავტონომიის თითქმის არც ერთ სფეროში.

2. უნივერსიტეტის ფინანსური დამოუკიდებლობა

ფინანსური ავტონომიის დარგში ზედა დონეს (80%) წარმოადგენს ესტონეთი, ლუქსემბურგი და გაერთიანებული სამეფო. ამასთან, ლუქსემბურგში სიტარბის შენარჩუნება და შენობა-ნაგებობის გაყიდვა სამინისტროსგან დამტკიცებას საჭიროებს (იგივე წესი მოქმედებს ესტონეთში).

მეორე (“საშუალოზე მაღალი”) დონის ქვეყნებს 61% და 80%-ის მაჩვენებლით წარმოადგენენ: დანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ჰოლანდია, პორტუგალია, სლოვაკეთი და შვეიცარია. მათ აქვთ მსგავსი

მახასიათებლები: ყველას აქვს ერთწლიანი დაფინანსების პერიოდი. ყველა იღებს ბლოკ-გრანტს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სისტემაში გამოყოფის თავისუფლება შეზღუდულია: მაგალითად, უნგრეთის, ლატვიის, პორტუგალიის და სლოვაკეთის ბლოკ-გრანტები დაიყო ფართო კატეგორიებად, რომელთა შიგნით ფონდები, როგორც წესი, არ შეიძლება გადანაწილდეს. ირლანდიაში ბლოკ-გრანტების მცირე ნაწილი შეიძლება გადანაწილდეს სპეციალური საქმიანობისათვის.

მეორე დონე, გარდა ირლანდიისა, უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, მათ მიერ გამომუშავებული პროფიციტი შეინარჩუნოს. ლატვიასა და პორტუგალიაში ამისათვის გარე დამტკიცება აუცილებელია. არსებობს საკმაო სიტყვით უნივერსიტეტების მიერ ფულის სესხებასთან დაკავშირებით: ზოგიერთ სისტემაში (DK, NL), მათ შეუძლიათ სესხის თანხების შეუზღუდავად მიღება, სხვებს (IE, IT, SK) შეუძლიათ მხოლოდ სესხის მაქსიმალური პროცენტის მიღება, დანარჩენები (CH, HU, PT) ამის უფლებას მოკლებული არიან.

ასევე მოქმედებს ისეთი შეზღუდვები, როგორებიცაა: შეძენისა და გაყიდვების რეგისტრაცია. უნგრეთში უნივერსიტეტები სარგებლობენ ფართო ძალაუფლებით მათი უძრავი ქონების სარგებლობისა და გაქირავების სფეროში, თუმცა, ისინი ოფიციალურად არ არიან მესაკუთრენი და, შესაბამისად, მათი გაყიდვის უფლება არ აქვთ.

ექვს ქვეყანაში უნივერსიტეტებს აქვთ მნიშვნელოვანი მოქმედების თავისუფლება სტუდენტთა შენატანებთან დაკავშირებით. ეს ქვეყნებია: ირლანდია, უნგრეთი, ლატვია, ჰოლანდია, პორტუგალია და სლოვაკეთი. თუმცა უფლებამოსილებათა წრე ხელისუფლებასთან ურთიერთობაში განსხვავებულია.

ეს სისტემა, როგორც წესი, სთავაზობს სახელმწიფო დაფინანსების შედარებით მოქნილ პირობებს და საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს, შენარჩუნონ მათ მიერ წარმოებული პროფიციტი.

მესამე (“საშუალოზე დაბალ” 41% - 60%) ჯგუფში შედიან: ავსტრია, ჩეხეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, ესპანეთი, შვედეთი. ამ ჯგუფში არსებობს შედა-

რებით მაღალი ხარისხის თანხმობა საჯარო დაფინანსების პირობებთან დაკავშირებით: საჯარო დაფინანსების ციკლი გრძელდება ერთი წელი (ავსტრიისა და ნორვეგიის გარდა, სადაც ვადა უფრო ხანგრძლივია).

ფინეთში, ნორვეგიაში, ესპანეთსა და ნაწილობრივ გერმანიაში, უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, საკუთარი მიხედვლებით გაანაწილონ ბლოკ-გრანტი. უნივერსიტეტებს ავსტრიაში, ფინეთში, საფრანგეთში, ისლანდისა და ესპანეთში შეუძლიათ, შეინარჩუნონ და თავისუფლად დახარჯონ ნამატი.

სწავლის საფასურის თვალსაზრისით, მესამე დონის ქვეყნები იყოფა ორ ჯგუფად: ზედა ჯგუფში (LT, NRW, PL, SE) უნივერსიტეტები ინარჩუნებენ შეზღუდულ ზეგავლენას სტუდენტების შენატანების საფასურზე. სიტუაცია საგრძნობლად განსხვავდება ქვედა დონის სისტემებში (ჩეხეთი, საფრანგეთი, ისლანდია და ნორვეგია), სადაც საფასურის ოდენობა დგინდება გარე ორგანოს მიერ ან საერთოდ არ ამოიღება.

ამ სისტემებში უნივერსიტეტების უფლება სესხის აღებასა და შენობებზე საკუთრება გარკვეულწილად შეზღუდულია, რის გამოც ტარბი თანხების შენარჩუნებაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

მეოთხე (“დაბალ ჯგუფში” - 40%) შედის კვიპროსი, საბერძნეთი. ამ ჯგუფში მკაცრი შეზღუდვებია. უნივერსიტეტის არასასწავლო დანიშნულების შენობის გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ გარე ორგანოს ნებართვით. თანხის სესხება მთლიანად ან ნაწილობრივ იკრძალება (უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა გარე ორგანოს აქტი). ამ ქვეყნებში უნივერსიტეტებს არ აქვთ უფლება, შეინარჩუნონ ტარბი შემოსავალი. მხოლოდ საბერძნეთში შეიძლება უნივერსიტეტებში დაადგინონ საფასური სამაგისტრო პროგრამებზე.

3. უნივერსიტეტის აკადემიური დამოუკიდებლობა

საერთოდ, აკადემიური ავტონომიის საფუძველი არის აკადემიური თავისუფლება.

უპირველეს ყოვლისა, აკადემიური თავისუფლება არის სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ფორმა. მეორე-აკადემიური თავისუფლება არის სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უმაღლესი დონე, რადგან ის მოიცავს მეტყველებისა და აზროვნების თავისუფლებას. მესამე-აკადემიური თავისუფლება არის შემოქმედებითი თავისუფლების ფორმა, რადგან ის მოიცავს სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას. ამრიგად, აკადემიური თავისუფლება არის სიტყვის თავისუფლებისა და შემოქმედებითი თავისუფლების აღმატებული ჰარმონია.

აკადემიური ავტონომიის სფეროში ექვსი ქვეყანა - ესტონეთი, ფინეთი, ისლანდია, ირლანდია, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი - შედის აკადემიური ავტონომიის უმაღლესი დონის ჯგუფში. ამ ჯგუფში 100%-იანი ნიშნულით ირლანდია არის ლიდერი. ირლანდიის უნივერსიტეტებს თავისუფლად შეუძლიათ, გადაწყვიტონ ყველა საკითხი სასწავლო ავტონომიის განხრით. ნორვეგიის უნივერსიტეტებს თავისუფლად შეუძლიათ, გადაწყვიტონ მისაღები სტუდენტების ოდენობა, მაგრამ ამისათვის დამატებითი სახელმწიფო დაფინანსება არ არის აუცილებელი. სტუდენტების საერთო რაოდენობის განსაზღვრა, უმეტეს შემთხვევებში, გარე სახელისუფლებო ორგანოსთან შეთანხმებული უნდა იყოს (ესტონეთი, ფინეთი, ისლანდია და დიდი ბრიტანეთი)

მეორე (“საშუალოზე მაღალი” - 61% და 80%) დონე მოიცავს შემდეგ ქვეყნებს: ავსტრია, კვიპროსი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, შვედეთი, შვეიცარია და პოლონეთი. მათ შორის მხოლოდ ლუქსემბურგსა და პოლონეთში არის დაშვებული უნივერსიტეტების უფლება, თვითონ გადაწყვიტონ სტუდენტების საერთო რაოდენობა და შეარჩიონ სტუდენტები ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. ყველა სხვა სისტემაში არსებობს სხვადასხვა შეზღუდვა. სტუდენტების საერთო რაოდენობა ზოგიერთ ქვეყანაში უნდა იყოს დამტკიცებული გარე ორგანოს მიერ (BB, CY). სხვა ქვეყნებში სტუდენტების შერჩევის პრინციპი შეიძლება იყოს შიდა რეგულირებადი

(BB, CY, NRW, SE) ან გარეგან კონტროლს დაქვემდებარებული (DN, CH).

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ქვეყნებს შორის „საშუალოზე მაღალ“ დონზე. ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში აკრედიტაცია არ საჭიროებს რაიმე წინასწარ გარე თანხმობას, ხოლო ავსტრიაში და შვედეთში მხოლოდ მცირე გარე შეზღუდვები არსებობს. სხვა სისტემებში ორივე – საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე აკრედიტაციისათვის სამინისტროს თანხმობა სავალდებულოა (BB, OH, NRW).

მესამე („საშუალოზე დაბალი“ – 41% და 60%) დონის ქვეყნებს შორის არიან: ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვაკეთი და ესპანეთი. სამ ქვეყანაში (DK, IT, LV) უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, თვითონ დაადგინონ სასწავლო ადგილების რაოდენობა. უმაღლესი განათლების ყველა სხვა სისტემაში გადაწყვეტილება მიიღება გარე ორგანოსთან შეთანხმების შედეგად. ალტერნატიული სისტემა, რომელიც უნივერსიტეტებს უფლებას აძლევს, გადაწყვიტონ ფასიან სტუდენტთა რაოდენობა, რომლის დროსაც გარე ორგანო მხოლოდ აფიქსირებს გადაწყვეტილებას, გვხვდება უნგრეთში, ლიტვასა და სლოვაკეთში.

„საშუალოზე დაბალი“ და „საშუალოზე მაღალი“ მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს შორის სხვაობა უმეტესწილად არსებობს საწყის ეტაპზე პროგრამის აკრედიტაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებთან მიმართებით. მაშინ, როდესაც მეორე ანუ „საშუალოზე მაღალი“ მაჩვენებლების მქონე ქვეყნები მნიშვნელოვან მოქნილობას ავლენენ, მესამე, ანუ „საშუალოზე დაბალი“ მაჩვენებლების ჯგუფის ქვეყნებში უნივერსიტეტებს არა აქვთ უფლება, აირჩიონ სააგენტოები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

მაშინ, როდესაც პროგრამული აკრედიტაცია და ხარისხის უზრუნველყოფა საჭიროა „საშუალოზე მაღალი“ დონის მხოლოდ ზოგიერთ სისტემაში, პროგრამული აკრედიტაცია და ხარისხის უზრუნველყოფა პრაქტიკულად საჭიროა „საშუალოზე დაბალი“ დონის ყველა სისტემის ქვეყანაში.

წინასწარი აკრედიტაციის აუცილებლობა სავალდებულოა დაფინანსებული პროგრამებისათვის (CZ, DK, ES, HU, IT, LT, NDL, PT, SLO), ან ოპერატიული ინსტიტუციური ლიცენზირებისას (LV). დანიაში და ნიდერლანდებში მხოლოდ სადოქტორო პროგრამები დაიშვება თავისუფლად. უცხო ენაზე სწავლება ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლატვიასა და ლიტვაში არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. ლიტვის უნივერსიტეტებში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის პროგრამები, რომლებიც ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ნაწილია.

სტუდენტების საერთო რაოდენობის განსაზღვრისა და სტუდენტების შერჩევისას „საშუალოზე დაბალი“ ჯგუფის ქვეყნები „საშუალოზე მაღალი“ ჯგუფის მსგავსნი არიან. სურათი მრავალფეროვანია, სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ცალმხრივად მარეგულირებელი დამოუკიდებელი ინსტიტუციური გადაწყვეტილებებიდან დაწყებული და კანონით დადგენილი გარე ორგანოს მიერ მიღებული კრიტერიუმებით დამთავრებული. „საშუალოზე დაბალი“ დონის ქვეყნების უნივერსიტეტთა უმცირესობა შეზღუდულია ენის სწავლებისა და აკადემიური კვლევების დიზაინის არჩევანში. ამ ჯგუფის უნივერსიტეტებს არ შეუძლიათ, შეარჩიონ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მომწოდებლები. მათი პროგრამები, როგორც წესი, უნდა იყოს წინასწარ აკრედიტებული.

მეოთხე, კასეტური ჯგუფის უმაღლესი განათლების სისტემაში ავტონომიის დონე აღქმულია, როგორც დაბალი. ქვეყნების ამ ჯგუფში სერიოზული შეზღუდვები თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. როგორც წესი, საბაკალავრო პროგრამები გარე ორგანოს მიერ რეგულირდება, თუმცა უნივერსიტეტებს შეუძლიათ კრიტერიუმების დადგენის უფლება სასამართლო წესით მოიპოვონ. ამასთან, სტუდენტების შერჩევა-მიღებისას მცირე, მაგრამ გარკვეული თავისუფლება მაინც არსებობს.

აკადემიური ავტონომიის კუთხით, საფრანგეთი და საბერძნეთი „დაბალ“ ჯგუფში შედიან. ორივე ქვეყნის სისტემას არ გააჩნია მოქნილობა, რათა სტუდენტების საერთო რაოდენობა დაადგინოს. მაგალითად, საბერძნეთში ამ საკითზე უნივერსიტეტები

მართავენ მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან. სერიოზული შეზღუდვები არსებობს ასევე საგანმანათლებლო პროგრამების წარმართვასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნებში ყველა უნივერსიტეტმა წინასწარი აკრედიტაცია უნდა გაიაროს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საფრანგეთისა და საბერძნეთის უნივერსიტეტებს მთავრობის ჩარევის გარეშე შეუძლიათ აკადემიური ხარისხების შინაარსის განსაზღვრა. ორივე ქვეყნის სისტემაში სწავლების ენის არჩევა შეზღუდულია. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ეროვნულ ენებზე უნდა ისწავლებოდეს.“

4. უნივერსიტეტის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში მართვის რეფორმების სფეროში პროგრესს, როგორც წესი, დაინტერესებული მხარეები მიესალმნენ. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არაადეკვატური ცვლილებები რიგ ქვეყნებში შემოქმედების საგნად იქცა, რადგან მსხვილმა სამართლებრივმა ცვლილებებმა თავად სისტემა გახადა ბუნდოვანი. უფრო მეტი, თუმცა რიგ ქვეყანაში რეფორმაზე ორიენტირებული კანონონპროექტები მუშავდება, მაგრამ ადრე მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები შეუსრულებელი რჩება.

ხშირად კრიტიკის საგანია ფაქტები, როდესაც ხელისუფლება ნაკლები მხარდაჭერის სურვილს ავლენს ახალი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით ლიდერობის და მართვის სფეროში, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტებმა გამოიყენონ უკვე შექმნილი ინსტიტუციური ავტონომია.

5. უნივერსიტეტის საფინანსო პრობლემატიკა

უნივერსიტეტების კონფერენციებზე რეკტორთა უმრავლესობამ მწვავედ წამოჭრა ის პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს მრავალი ეროვნული უნივერსიტეტი დგას. მთავარი პრობლემები ბლოკ-გრანტების გამოყენების შეზღუდვასთან, დაფინანსების მოკლე პერიოდთან და შენობების ყიდვა-გაყიდვის შეუძლებლობასთან არის დაკავშირებული, იმ მიზნით, რათა შეინარჩუნონ პროფიციტი და ამოიღონ სწავლის საფასური. თანამშრომელთა ხელფასების საკითხის თავისუფლად განსაზღვრის შეუძლებლობა განიხილება, როგორც კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც უმაღლესი განათლების გლობალურ ბაზარზე კონკურენციის პირობებში უარყოფით შედეგებს იწვევს.

მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გავლენა უნივერსიტეტების ავტონომიაზე საყოველთაოდ აღიარეს, როგორც სერიოზული გამოწვევა. რიგ ქვეყანაში მკაცრი ეკონომიის პირობებში შემოღებულმა ახალმა წესებმა მკვეთრად შეამცირა ავტონომია. იმ სისტემებში, რომლებშიც უფასო განათლება ხელმისაწვდომია, სტუდენტთა შერჩევის შეუძლებლობა დაფინანსების შემცირების და სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ფონზე სერიოზულ გამოწვევად აღიქმება.

6. უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის ტანდენციები

ფინანსურ ავტონომიას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რათა უნივერსიტეტებმა თავიანთ სტრატეგიულ მიზნებს მიაღწიონ. ამიტომ შეზღუდვები ამ სფეროში განსაკუთრებით მიუღებელია. თითქმის ყველა ქვეყანაში უნივერსიტეტები იღებენ ძირითად სახელმწიფო დაფინანსებას ბლოკ-გრანტების მეშვეობით. მუხლობრივი ბიუჯეტი ამ დროისათვის ძალიან იშვიათია. თუმცა, იმ

სისტემების თითქმის ნახევარში, რომლებიც მიზნობრივ გრანტებს იყენებენ, გამოყოფის შიდა მოცულობა რატომღაც კანონით მაინც შეზღუდულია. ზოგიერთი უნივერსიტეტი დაფინანსებას ერთი წლის განმავლობაში იღებს, რაც გრძელვადიან დაგეგმვას ართულებს.

უნივერსიტეტთა ნახევარზე მეტ სისტემებში უნივერსიტეტებს შეუძლიათ, ფინანსური ნამეტი შეინარჩუნონ. დარჩენილი უნივერსიტეტებს ან არ შეუძლიათ დადებითი სალდო შეინახონ, ან მნიშვნელოვანწილად კონკრეტულ შემზღუდვებს ექვემდებარებიან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ უნივერსიტეტს ამჟამად ფულის სესხება შეუძლია, მაგრამ სხვადასხვა შეზღუდვა მაინც ძალაში რჩება.

სტუდენტების დამოუკიდებელი შერჩევა უნივერსიტეტების მესამედში თავისუფლად ხორციელდება. სტუდენტების დამოუკიდებელი შერჩევის თავისუფლება მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია შეზღუდული ან იმიტომ, რომ პროცესი გარე ორგანოს მიერ რეგულირდება, ან იმის გამო, რომ უფასო მიღება დაშვებულია.

ქვეყნების დაახლოებით მეოთხედში უნივერსიტეტებს შეუძლიათ, განათლების პროგრამები წინასწარი აკრედიტაციის გარეშე მიიღონ. ყველა სხვა სისტემაში ასეთი რამ წინასწარ აკრედიტაციას საჭიროებს, რადგან ითვლება, რომ პროგრამები სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. უმეტეს ქვეყნებში უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, დახურონ პროგრამა. მხოლოდ მცირე რაოდენობის სისტემაშია საჭირო საჯარო ხელისუფლების თანხმობა.

ამ მიმართებით მომავალი რეფორმების ჩატარება აუცილებელია, რათა სტუდენტთა მიღების საკუთარი კრიტერიუმების დასადგენად უნივერსიტეტებს მეტი თავისუფლება მიეცეს. ამას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმისათვის, რომ გამოინახოს სწორი ბალანსი ავტონომიასა და ანგარიშვალდებულებას შორის ინსტიტუციური ავტონომიის გაძლიერების მიმართულებით:

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საქართველოს საჯარო სამართლის პირის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ-

ბისთვის, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საფუძველი შემდეგი უმნიშვნელოვანესი გარემოება უნდა გახდეს:

- ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და ის იყო პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი მთელ კავკასიაში;
- ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელსაც გამორჩეული როლი მიუძღვის საქართველოში უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში;
- გ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის შემადგენლობაში ამჟამად მსოფლიოში ცნობილი ბევრი სამეცნიერო ინსტიტუტი შედის.²

² დეტალურად იხ. სავანელი ბ., უმაღლესი განათლების კრიზისი საქართველოში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ნ. 222, 26 ნოემბერი, 2015, გვ. 5.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.cepes.ro/services/inf_sources/on_line/bologna.pdf.
2. "The Bologna Declaration". Observatory Magna Charta, University of Bologna. Retrieved 2013-06-11.
3. <http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/conference/>.
4. "ECTS Users' Guide".
5. Eurydice Report: Focus on Higher Education in Europe 2010 (6,2 MB), Focus 2010 - Highlights (1,5 MB)
6. ბოლონიის პროცესი - თსუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი.
7. The European University Association (EUA), www.eua.be/.
8. სალამანკის შეხვედრის მიმართვა. 29-30. 03. 2001. sangu.ge/templates/Gemini/images/14intr.pdf
9. Graz Declaration 2003 Forward from Berlin... www.eua.be/COM_PUB_Graz_publication_f...
10. Treaty of Lisbon (2007). europafrica.net/2007/05/20/lisbon-summit/.
11. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სტრატეგია. პრალის დეკლარაცია. aeag.org.ge/data/file/231/07_H-UULL.pdf.
12. UNIVERSITY AUTONOMY IN EUROPE I. Exploratory Study by Thomas Estermann & Terhi Nokkala, 2009.
13. UNIVERSITY AUTONOMY IN EUROPE II. Exploratory Study by Thomas Estermann & Terhi Nokkala, 2011.
14. Financially Sustainable Universities Full Costing, 2013, www.eua.be/.../Full_Costing_Progress_and_Pra...
15. Report on joint EUA- REGIO/JRC Smart Specialisation Platform expert workshop: The role of universities in Smart Specialisation Strategies, EUA PUBLICATIONS, 2014.

COMPARATIVE ANALYSIS OF THE LEGAL INDEPENDENCE OF THE UNIVERSITIES OF EU MEMBER STATES

Bidzina Savaneli

*Dr. Ph.Dr., a Member of the Union of Law Scientists,
Researcher at the Tbilisi State University,
Member of International Scientific Council of Mediterranean
Center of Social and Educational Research, Editor in Chief
and Scientific Coordinator of Mediterranean Journal
of Social Sciences (Rome, Italy)*

RESUME

Key words:

University Autonomy, Comparative Analysis, Tbilisi State University

Based on the comparative analysis of the legal autonomy of the universities of the member States of EU, the ultimate aim of the article is the provision of a special status to the Tbilisi State University, taking into account its unique role in the development of education, science and culture in the history of Georgia.

NOTES:

1. For example: Report on joint EUA - REGIO/JRC Smart Specialisation Platform expert workshop: The role of universities in Smart Specialisation Strategies, EUA PUBLICATIONS, 2014. The European University President - Boston College, <https://ejournals.bc.edu/ojs/index.php/.../6115>. (ENG)
2. See for details - Bidzina Savaneli, The crisis of Higher Education in Georgia, „Republic of Georgia“ Journal N 222, November 26, 2015, p. 5. (GEO)

BIBLIOGRAPHY:

1. http://www.cepes.ro/services/inf_sources/on_line/bologna.pdf. (GEO)
2. “The Bologna Declaration“. Observatory Magna Charta, University of Bologna. Retrieved 2013-06-11. (ENG)
3. <http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/conference/>. (ENG)
4. “ECTS Users’ Guide“.(ENG)
5. Eurydice Report: Focus on Higher Education in Europe 2010 (6,2 MB), Focus 2010 - Highlights (1,5 MB). (ENG)
6. The **Bologna Process** – Tbilisi State University official website. (GEO)
7. The European University Association (EUA), www.eua.be/.(ENG)
8. The Salamanca meeting Statement. 29-30. 03. 2001. sangu.ge/templates/Gemini/images/14intr.pdf
9. Graz Declaration 2003 Forward from Berlin... www.eua.be/COM_PUB_Graz_publication_f.. (ENG)
10. Treaty of Lisbon (2007). europafrica.net/2007/05/20/lisbon-summit/.(ENG)
11. “Lifelong Learning“ Strategy within the Institutions of higher education of Georgia. Prague Declaration. aeag.org.ge/data/file/231/07_H-UULLL.pdf. (GEO)
12. UNIVERSITY AUTONOMY IN EUROPE I. Exploratory Study by Thomas Estermann & Terhi Nokkala, 2009. (ENG)
13. UNIVERSITY AUTONOMY IN EUROPE II. Exploratory Study by Thomas Estermann & Terhi Nokkala, 2011. (ENG)
14. Financially Sustainable Universities Full Costing, 2013, www.eua.be/.../Full_Costing_Progress_and_Pra... (ENG)
15. Report on joint EUA- REGIO/JRC Smart Specialisation Platform expert workshop: The role of universities in Smart Specialisation Strategies, EUA PUBLICATIONS, 2014. (ENG)

ილანტოხის ფორმირების ელემენტებთან მიმართებაში სქესის, როგორც სამართალსუბიექტობის განმსაზღვრელი ელემენტის, ახლებურ გააზრებასთან დაკავშირებით

გიორგი გ. თუმანიშვილი

*სამართლის დოქტორი, პროფესორი,
სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი,
მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), მკვლევარი*

საკვანძო სიტყვები:

ინტერსექსი, სქესი, გენდერი, რეგისტრაცია

წინამდებარე სტატიის მიზანია, დაიწყოს და განავითაროს მსჯელობა საკითხზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობს მსოფლიოში, მაგრამ ხშირ შემთხვევაში რჩება კანონმდებლობის მიღმა. კანონმდებლის დუმილის გარდა, ამ საკითხთან დაკავშირებით დუმს საზოგადოების ფართო ფენაც და მხოლოდ და მხოლოდ იმ კონკრეტულ პირთა ტკივილად რჩება, რომლებსაც უშუალოდ ეხება იგი. წარმოდგენილ

სტატიაში სამართლებრივი, სამედიცინო და ბიოეთიკის ტრილებში განვიხილავთ ინტერსექსსა და მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი საკითხებს.

საკითხის დასმისა და მის შესახებ მსჯელობის დაწყებამდე აუცილებელია განიმარტოს სტატიაში გამოყენებული ტერმინების შინაარსობრივი მნიშვნელობა.

სქესი — ბიოლოგიური ან ანატომიური განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის.¹ იგი განსაზღვრავს ქალსა და მამაკაცს შორის ანატომიურ და ფიზიოლოგიურ სხვაობებს და ამ სხვაობათა კავშირს რეპროდუქციის უნართან. სქესი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული². ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ნიშანთვისებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას ახალ თაობათა წარმოქმნასა და შთამომავლობისათვის მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემაში. მამრობითი და მდედრობითი გამეტებისგან³. (ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის სასქესო უჯრედი) შერწყმით მიიღება ზიგოტა⁴, რომელშიც ერთიანდება რეკომბინირებული მემკვიდრული მასალის შემცველი ორივე მშობლის ჰაპლოიდურ ქრომოსომათა ნაკრები.⁵

1 Giddens, A., & Sutton, P. (2013). *Sociology, 7th Edition / Sociology*. NY: Polity Press;

2 წერეთელი მ. გენდერი-კულტურული და სოციალური კონსტრუქტი: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის/ შხია წერეთელი; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

3 (ბერძნ. gamete ცოლი, gametes ქმარი) მდედრობითი და მამრობითი სასქესო უჯრედები, კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი, რომლებიც ერთმანეთთან შერწყმის საშუალებით წარმოქმნიან ზიგოტას. გამეტებს გააჩნიათ ქრომოსომათა ჰაპლოიდური რიცხვი. განასხვავებენ იზო და ანიზოგამეტებს (დამატებით, იხილეთ: გოგიჩაძე გ. ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები / გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე. - თბ. : [მერიდიანი], 2011. - 442გვ.;

4 (ბერძნ. zygotos შერწყმული, შეერთებული) ორი სასქესო უჯრედის (გამეტების), სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის ბირთვების შერწყმით მიღებული უჯრედი. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, იქვე, გვ 443.;

5 გამეტები შეიცავენ ქრომოსომათა ჰაპლოიდურ (განახევრებულ) ნაკრებს ე.ი. 23 ქრომოსომას, აქედან 22 აუტოსომა და სასქესო X ან Y

მცენარეთა დიდ ნაწილში და ზოგიერთ ცხოველში ორივე ტიპის გამეტები ყალიბდება ერთსა და იმავე ინდივიდში, ცხოველების უმრავლესობაში კი — სხვადასხვაში, რომლებიც, შესაბამისად, მამრობით და მდედრობით ფორმებად იყოფიან. ცალსქესიანი ინდივიდები განსხვავდებიან პირველადი და მეორეული სასქესო ნიშნებით, ქცევით. ორსქესიანი მცენარეებსა და ორსქესიანი ცხოველებში (არსებებში), შინაგანი ფაქტორების მოქმედებით გენეტიკურად ერთგვაროვანი უჯრედებისგან ყალიბდება მდედრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოები.

დაბადებისას ახალშობილებისათვის სქესის მიკუთვნება ხდება სხეულებრივი მახასიათებლების კომბინაციის* საფუძველზე (ქრომოსომები, ჰორმონები, შიდა რეპროდუქციული ორგანოები და სასქესო ორგანოები)⁶, საქართველოს სინამდვილეში კი სქესის მინიჭების პროცედურა შემოიფარგლება სასქესო ორგანოების მიხედვით სქესის მიკუთვნებით.

ტერმინი ინტერსექსი აღწერს ადამიანს, რომელსაც „ორმაგი“ ბიოლოგიური სქესი აქვს. არსებობს უამრავი გენეტიკური, ჰორმონული და ანატომიური ვარიაცია, რომლებიც ადამიანის ინტერსექსუალობას განაპირობებს. მშობლები და ექიმები ხშირად ინტერსექს ახალშობილებს რომელიმე კონკრეტულ სქესს მიაწერენ და შესაბამის ოპერაციასაც უტარებენ, რათა შესაბამისობაში მოიყვანონ ახალშობილის სხეული არჩეულ სქესთან, რაც ხშირ შემთხვევაში ახალშობილისათვის შემდგომი ფსიქოლოგიური ტრავმის საფუძველი ხდება. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ერთმანეთისგან ტერმინები

ქრომოსომას. (დამატებით: (გაჩეჩილაძე ც., ჩიკვილაძე ნ. ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. თბ., „ცოდნა“ 2000 წ.)

* ამ საკითხზე დეტალურად გვექნება საუბარი მოგვიანებით.

6 გაბუნია შ., (ვაჭარაძე ი.,(რედ.)2013. შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“. - თბ.,

ინტერსექსი და ტრანსგენდერი. ტერმინი ინტერსექსი არ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა დეფინიციით და არ არის სინონიმი სიტყვა ტრანსგენდერისა⁷.

სქესის პირველადი მახასიათებელი ელემენტები (ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური თვალსაზრისის მახასიათებლები)

როგორია პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები? დავას არ იწვევს, რომ ყოველი სუბიექტი, რომელიც ამა თუ იმ ურთიერთობაში იმყოფება გარემოსთან, პირველ რიგში, ორგანიზმს წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ეს მოცემულობა ვერ ამოწურავს არსს: ადამიანი, როგორც აქტიური სუბიექტი, განსაკუთრებით როგორც პიროვნება, მარტო ბიოლოგიურ ინდივიდს, მარტო ორგანიზმს არ შეადგენს - იგი, პირველ რიგში, სოციალური არსებაა; მაგრამ სოციალურ არსებად, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია გადაიქცეს და იმისთვის, რომ პიროვნების არსი გაიგო, პირველ რიგში, მისი ბიოლოგიური საფუძვლის, მისი ორგანიზმის ბუნება უნდა გაითვალისწინო. ის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა ადრეულ ასაკში იგებს, ისაა, რომ მათ სოციალურ სამყაროში ორი „კატეგორიის“ ადამიანები არიან: მდედრობითი სქესის და მამრობითი სქესის. აღსანიშნავია, რომ პირველი განსხვავება, რომელსაც ბავშვები ამჩნევენ, მთლიანად სოციალურია: ისინი ანატომიის გაცნობამდე გაცილებით ადრე

შეიგრძნობენ სქესობრივ განსხვავებებს. მოზრდილმა ადამიანმა ანატომიაც იცის და ისიც ესმის, რომ სქესობრივი განსხვავებები ფიზიკურ განსხვავებულობაზე მეტია, მნიშვნელოვანია ამ განსხვავებულობაზე დაფიქრება.

გენდერული იდენტიფიკაცია ერთი შეხედვით, არის ინდივიდის მიერ საკუთარ თავში ქალური ან მამაკაცური საწყისის განცდა. ის გულისხმობს საკუთარი სქესისა თუ გენდერული კუთვნილების მიღებას და გაცნობიერებას.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანთა უმრავლესობა თავის თავს მიაკუთვნებს რომელიმე სქესს და აღიქვამს ამ სქესის წარმომადგენლად: ქალად, კაცად, ორივედ ერთდროულად ან არც ერთად. ზუსტად ეს აღქმაა ის, რასაც შესაძლოა ვუწოდოთ - სქესის იდენტობა. ამა თუ იმ სქესისადმი მიკუთვნება (გაცნობიერება, გააზრება), სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ერთი შეხედვით, ბიოლოგიური სქესი განაპირობებს ამა თუ იმ სქესისადმი ფსიქოლოგიურ კუთვნილებას, მაგრამ ეს ასე არ არის. ამა თუ იმ სქესისადმი პირის სუბიექტური, ფსიქოლოგიური მიკუთვნება არ არის პირდაპირ დეტერმინირებული პირის ბიოლოგიური სქესით, როგორც (ბიოლოგიურ-ანატომიურ), ქრომოსომულ, ისე ჰორმონალურ ან სხვა დონეებზე.

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი საკითხი:

1. ახალშობილისათვის სქესის მიკუთვნებისა და ამავდროულად დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში სქესის მითითების საკითხი;
2. ბიოლოგიური სქესის ცნების ურთიერთმიმართება, პირის სუბიექტურ აღქმასთან იმ სქესის მიმართ, რომელიც წარმოადგენს ამ პირის ბიოლოგიურ სქესს.

ორივე საკითხთან მიმართებით როგორც საქართველოში, ისე მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში, სამართლებრივი რეგულირება ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ:

7 გენდერი - კაცთა და ქალთა შორის არსებული ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული განსხვავებები. (ლათ) trans - მიღმა, gender - სქესი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული გენდერი (ე.ი. კაცი ქალის სხეულში ან პირიქით), დამატებით: ბრანდერი პატრიცია. კომპასი: სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით / ავტ.: ბრანდერი პ., გომესი რ., კინი ე., და სხვ.; [მთარგმნ.: მაკა წულუკიძე, ტატა პატარაია; რედ.: პატრიცია ბრანდერი და სხვ., ქართ. გამოც. რედ.: გიორგი კენჭოშვილი]; [თბ.], 2004

1. ახალშობილის მშობლები (ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი) ახალშობილისათვის განსაზღვრავენ სქესს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სქესის განსაზღვრა პირდაპირ შეუძლებელია (ინტერსექსის შემთხვევაში);
2. სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ სქესის შეცვლის ოპერაციის გარეშე პირს არ შეუძლია შეცვალოს (სარეგისტრაციო ან სხვა დოკუმენტებში) საკუთარი კუთვნილება იმ სქესის მიმართ, რომელიც აღნიშნულია დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში;
3. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში არსებული მიდგომა სქესის რეგისტრაციასთან მიმართებით მოძველებულია და არ არის პირდაპირ რელევანტიაში მის დანიშნულებასთან.

უნდა ჰქონდეს თუ არა პირს სქესის არჩევის უფლება

როგორც წესი, ადამიანები სქესს არ ვირჩევთ, ახალშობილის დაბადებისას სამშობიაროში სამედიცინო პერსონალი ახალშობილის სქესს განასხვავებს სასქესო ორგანოების პირველადი დათვალიერებით (ფიზიოლოგიური ნიშნით) და კონკრეტულ სქესს მიაკუთვნებს. სქესის შესახებ არსებული ჩანაწერი საფუძვლად ედება ბავშვის დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში ამა თუ იმ სქესის აღნიშვნას. ინტერსექსის შემთხვევაში ასევე პირველადი დათვალიერებით (ორივე სქესისათვის დამახასიათებელი სასქესო ორგანოების არააშკარად გამოვლენის შემთხვევაში) და გამოხატული ნიშნების შემთხვევაშიც კი მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში არ არსებობს სამართლებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ სქესის გრაფაში აღნიშნული იყოს - ინტერსექსი. გამონაკლისი გვხვდებ-

ბა რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, სახელდობრ:

ავსტრალიაში პირველად 2003 წელს განხორციელდა „მესამე X-სქესის“^{*} აღნიშვნა დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში.⁸ 2003-2011 წლებში ავსტრალიის პოლიტიკა ინტერსექს პირებთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებდა პასპორტში „მესამე სქესის“ აღნიშვნას, თუ იგი დაფიქსირებული იყო პირის დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში. 2011 წელს მიდგომა შეიცვალა და შესაძლებელი გახდა პასპორტში „მესამე სქესის“ ფიქსაცია ყველა იმ პირისათვის, რომელიც დოკუმენტურად დაადასტურებდა, რომ მისი სქესი, შესაძლოა, მოექცეს ფორმულირებაში - გაურკვეველი.⁹

გერმანია პირველი ევროპული სახელმწიფოა, რომელმაც ცნო და საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა „მესამე სქესის“ (განუსაზღვრელი) რეგისტრაციის შესაძლებლობა. 2013 წლის ნოემბრიდან შესაძლებელი გახდა დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში მესამე შესაძლებელი სქესის აღნიშვნა, რაც დასაშვებია იყო იმ შემთხვევებში, როდესაც ახალშობილის სასქესო ორგანოები ორივე სქესისათვის დამახასიათებელ, გაურკვეველ* პასუხს იძლეოდა ახალშობილის ბიოლოგიური სქესის კუთვნილებასთან დაკავშირებით.¹⁰

* X სქესის აღნიშვნისათვის გამოიყენება ფორმულირება - indeterminate (განუსაზღვრელი).

8 Newsletter of the Sociology of Sexualities Section of the American Sociological Association, American Sociological Association Sexualities News, Volume 6, Issue 1, Summer 2003 <http://www.asanet.org/sectionsex/documents/SUMMER03sexnews.pdf> Retrieved 10 November 2015 ასევე, დამატებით: Ten years of 'X' passports, and no protection from discrimination, Organisation Intersex International (OII) Australia, 19 January 2013 <http://oii.org.au/21597/> Retrieved 10 November 2015.

9 „Getting a passport made easier for sex and gender diverse people“. The Hon Kevin Rudd MP. 14 September 2011. http://foreignminister.gov.au/releases/2011/kr_mr_110914b.html Retrieved 10 November 2015.

* ambiguous genitalia - გაურკვეველი (დაუდგენელი, ორივე სქესისათვის დამახასიათებელი) სასქესო ორგანოები.

10 „Third sex option on birth certificates“. DW.DE. <http://www.dw.com/en/third-sex-option-on-birth-certificates/a-17193869> Retrieved 10 November 2015.

2005 წლიდან ინდოეთში შესაძლებელი გახდა პასპორტის მისაღებად აპლიკაციის შევსებისას, მამრობითი და მდედრობითი სქესის არჩევანის გარდა, მესამე შესაძლებლის - საჭურისის მითითება.¹¹ 2015 წლის აპრილში ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ ცნო „მესამე სქესი“, როგორც სქესი, რომელიც არ წარმოადგენს მამრობით და მდედრობით სქესს. სასამართლომ აღიარა ტრანსგენდერი პირები მესამე სქესის მქონე პირებად და გააკეთა ძალიან მნიშვნელოვანი განმარტება: „ტრანსგენდერების მესამე სქესად ცნობა არ წარმოადგენს სოციალურ ან სამედიცინო საკითხს, არამედ განეკუთვნება ადამიანის უფლებათა კატეგორიას.“¹² სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ტრანსგენდერ პირებს უფლება აქვთ, განახორციელონ თვითიდენტიფიკაცია და მოითხოვონ თვითიდენტიფიცირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.¹³

ნეპალში 2007 წელს ნეპალის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც, თავის მხრივ, დაავალდებულა ხელისუფლება, შესაბამისობაში მოეყვანა საკანონმდებლო გარემო იმ მოცემულობასთან, რომ „შესაძლოა, არსებობდნენ სხვა სქესის ადამიანები, გარდა მამრობითი და მდედრობითი სქესისა. ამავე წელს განხორციელდა პირადობის მოწმობებში მესამე შესაძლებელი სქესის გრაფის (კატეგორიის) დამატება¹⁴. 2011 წელს ნეპალმა პირველმა

ჩაატარა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომელშიც პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც მამრობით, მდედრობით, ისე სხვა სქესის მქონე პირებად.¹⁵

ახალ ზელანდიაში, სადაც 2012 წლიდან შესაძლებელია პასპორტში მესამე X-სქესის აღნიშვნა, რომელშიც X აღნიშნავს განუსაზღვრელ სქესს,¹⁶ 2015 წელს ახალი ზელანდიის სტატისტიკის სამსახურმა წარმოადგინა სქესის ახალი კლასიფიკაცია. სქესის კლასიფიკატორი მოიცავს სამ შესაძლებელს: მამრობითი, მდედრობითი და განსხვავებული სქესი, სადაც განსხვავებული სქესის კლასიფიკატორი, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ქვეკატეგორიებს: სქესი ჯერ დაუდგენელია; ტრანსგენდერი მამრობითი ქალი; ტრანსგენდერი მდედრობითი მამრი; განუსაზღვრელი სქესი არ არის კლასიფიცირებული.¹⁷

ევროკავშირის ქვეყნები, სახელდობრ: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, სლოვაკია, კვიპროსი, დანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, მალტა, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი უშვებენ შესაძლებლობას, რომ ახალშობილის რეგისტრაცია განხორციელდეს მისი დაბადებიდან მცირე დაგვიანებით. დროის ამ შუალედში ტარდება დამატებითი სამედიცინო შემოწმება ახალშობილის სქესის დასადგენად.¹⁸

11 აპლიკაციაში სქესის მითითებისას მოცემული იყო სამი შესაძლებელი ვარიანტი: მამრობითი, მდედრობითი, საჭურისი (M, F, and E (for male, female, and eunuch, respectively) Third sex' finds a place on Indian passport forms, The Telegraph, March 10, 2005 http://www.telegraphindia.com/1050310/asp/nation/story_4474399.asp Retrieved 10 November 2015

12 "Transgenders are the 'third gender', rules Supreme Court". NDTV. April 15, 2014. <http://www.ndtv.com/india-news/transgenders-are-the-third-gender-rules-supreme-court-557439> . Retrieved 10 November 2015.

13 გადაწყვეტილების ტექსტი ხელმისაწვდომია აქ: <http://supremecourtindia.nic.in/outtoday/wc40012.pdf> Retrieved 10 November 2015.

14 Knight, K. (24 April 2012). "Nepal's Third Gender and the Recognition of Gender Identity". http://www.huffingtonpost.com/kyle-knight/nepal-third-gender_b_1447982.html Huffington Post. Retrieved 10 November 2015. შეადარე: Dwyer Arce . "Nepal's Third

Gender and the Recognition of Gender Identity"; Jurist.org <http://jurist.org/hotline/2012/04/bochenek-knight-gender.php> Retrieved 10 November 2015.

15 იქვე;

16 "Transgender applicants - New Zealand Passports (passports.govt.nz)". <https://www.passports.govt.nz/Transgender-applicants> Retrieved 10 November 2015.

17 "Classifications and standards – Gender identity". Statistics New Zealand. <http://www.stats.govt.nz/methods/classifications-and-standards/classification-related-stats-standards/gender-identity.aspx> Retrieved 10 November 2015.

18 European Union Agency for Fundamental Rights "The fundamental rights situation of intersex people" 04.2015 <http://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2015-focus-04-intersex.pdf> Retrieved 10 November 2015 შედარებისთვის: Agius, S. and Tobler, C. (eds.), European Commission (2012), Trans and intersex people: Discrimination on the grounds of sex, gender identity and

გიორგი ბ. თუპანიშვილი

ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დაშვებულია ე.წ. ნეიტრალური სქესის რეგისტრაცია დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში, როგორც „უცნობი სქესი“. ლატვიაში სქესის კლასიფიკატორი საერთოდ არ არის დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში, მაგრამ „არაზუსტი სქესის“ დეფინიცია არსებობს და დაშვებულია სამედიცინო დოკუმენტაციაში, რომელსაც ავსებენ ახალშობილის დაბადების შემდგომ.¹⁹

ნიდერლანდებში იმ შემთხვევაში, როდესაც ახალშობილის სქესი დაუდგენელია, დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში მიეთითება, რომ ახალშობილის სქესი დაუდგენელია. სამი თვის შემდგომ გამოიცემა დაბადების რეგისტრაციის ახალი დოკუმენტი, ხოლო ძველი კარგავს ძალას. ამ ახალ დოკუმენტში მიეთითება ახალშობილის სქესი იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ დროის განმავლობაში დადგინდა სამედიცინო შემოწმების შედეგად, ხოლო თუ სქესი ჯერ ისევ დაუდგენელია, მაშინ დოკუმენტში მიეთითება ისევ - სქესი დაუდგენელია. ივარაუდება, რომ მომავალში ინტერსექსი პირი თვითონ გადაწყვეტს, თუ რომელ სქესს მიეკუთვნება. მას შეეძლება შესაბამისი ცვლილებების განხორციელება მოითხოვოს დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში.²⁰

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განზოგადებული სტატისტიკური მონაცემებით, ერთი ინტერსექსი ახალშობილი გვხვდება 1:1500-2000 ახალშობილში. ეს ციფრი არ არის მცირე, ვინაიდან, თუნდაც საქართველოს სი-

ნამდვილეში, ეს გულისხმობს იმას, რომ საქართველოში, სულ მცირე, 1864 პირი ცხოვრობს, რომლებიც ექცევიან ინტერსექსის კლასიფიკატორში, მაგრამ მათ შესახებ არავითარი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს.²¹

საქართველოს საკანონმდებლო რეგულირებაც არ იცნობს ინტერსექსის ცნებას, უფრო მეტიც, საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზა არ იძლევა შესაძლებლობას, დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში (დაბადების მოწმობა), სქესის კლასიფიკატორში, აღნიშნონ ნებისმიერი სხვა რამ, გარდა არსებულისა (მამრობითი/მდედრობითი სქესი). ზემომოცემული განაპირობებს იმას, რომ ინტერსექსი ადამიანები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თვითონ აირჩიონ ან გამოხატონ თავიანთი კუთვნილება ამა თუ იმ სქესის მიმართ, ვინაიდან მათ მაგივრად ეს უკვე გააკეთა ვიღაცამ (სამედიცინო დაწესებულება, მშობელი, სამოქალაქო რეესტრი). არსებული საკანონმდებლო მოდელი აიძულებს ადამიანს, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიიჩნევს, რომ არსებული ჩანაწერი არ შეესაბამება მის ბიოლოგიურ ან მიკუთვნებით (გენდერულ) სქესს, ჩაიტაროს ქირურგიული ოპერაცია, ვინაიდან მხოლოდ ასეთი ოპერაციის ჩატარების შემდგომ არის შესაძლებელი იმ სამედიცინო დოკუმენტაციის მოპოვება, რომლის საფუძველზეც შესაძლოა სამოქალაქო რეესტრმა განახორციელოს შესაბამისი ცვლილება პირის სქესთან დაკავშირებით.

სქესთან მიმართებით არსებობს მრავალი გენეტიკური დეტერმინანტი, რომელთა გამოც პირი შეიძლება იყოს ინტერსექსი. წარმოდგენილ სტატიაში გენეტიკურ თავისებურებებზე არ შევჩერდები, ვინაიდან სტატიის მიზანი არ არის ამ თავისებურებების შესწავლა გენეტიკის თვალსაზრისით ქრომოსომათა ან სხვა დონეებზე.²²

gender expression, Report by the European Network of Legal Experts in the nondiscrimination field, Brussels.
19 Latvia (2012), Law on the Registration of the Civil Status Acts (Civilstāvokļa aktu reģistrācijas likums), 29 November 2012, Latvian Herald (Latvijas Vēstnesis) 197(4800), 14 December 2012, available at: ; Latvia, Cabinet of Ministers (Ministru kabineta) (2006), Regulations No. 265 On the record-keeping procedures for medical documents (Noteikumi Nr. 265 "Medicīnisko dokumentu lietvedības kārtība"), 4 April 2006, 39. pielikums, Latvian Herald.
20 თანახმად ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 1:24 მუხლისა. Dutch Civil Code <http://www.dutch-civillaw.com/legislation/dcctitle044.htm>

21 საქსტატის 2012-2015 წლის მონაცემები, საქართველოს მოსახლეობა. http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/genderuli%20statistika.pdf

22 დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს: www.lawandworld.ge

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საწყის ბიოლოგიურ სქესს ადამიანები არ ვირჩევთ და იგი დაბადებიდან გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სქესის მიმართ სავალდებულო კუთვნილება ექნება ყველას. თანასწორუფლებიანობისა და ამა თუ იმ სქესის მიმართ კუთვნილების გამოხატვა თანაბრად უნდა შეეძლოს ყველა ადამიანს, განურჩევლად იმ საწყისი მოცემულობისა, რომელიც არსებობს ბიოლოგიურ სქესთან მიმართებით.

რა სამართლებრივ მიზანს ემსახურება ადამიანთა რეგისტრაცია სხვადასხვა სქესის მიხედვით? თანამედროვე მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობა კონსტიტუციებსა თუ სხვა (გამომდინარე) ნორმატიულ აქტებში ცდილობს, განამტკიცოს სქესთა თანასწორობის იდეა თანაბარი უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფით. პირთა დაყოფა სქესის მიხედვით სახელმწიფოს ესაჭიროება დემოგრაფიული მონაცემების, სტატისტიკური მონაცემების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მაქსიმალურად ეფექტურად ჩატარების უზრუნველსაყოფად. სხვა მხრივ, სქესთა რეგისტრაცია უკავშირდება გარკვეული სამართლებრივი ნორმების ჰიპოთეზაში არსებულ დანაწესს (მაგ.: სამხედრო სავალდებულო სამსახური, დედები, ორსულობა და ა.შ.);

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს ადამიანის დაბადება-გარდაცვალების იურიდიული ფაქტის სავალდებულო რეგისტრაციის დათქმა, რაც განმტკიცებულია ამ ქვეყნების კანონმდებლობის მიერ.

რამდენად სავალდებულო უნდა იყოს დაბადების სარეგისტრაციო დოკუმენტში ახალშობილის სქესის მითითება? რა დადებით ან უარყოფით მხარეებთან არის ეს დაკავშირებული?

თანამედროვე მსოფლიო, შეიძლება ითქვას, რომ აგებულია სქესის დაყოფის პრინციპზე. სქესის დაყოფის

მიხედვით ხორციელდება თანამედროვე ადამიანისათვის სივრცეებისა თუ საგნების ხელმისაწვდომობაც, არსებულ საგნების დიდი ნაწილი პირობითად კლასიფიცირებულია: სახელთა უმრავლესობა; სათამაშოები; ტანსაცმელი, აქსესუარები; ჯგუფებში წევრობა საბავშვო ბაღში, სკოლაში, უნივერსიტეტში, ღონისძიებები, სადღესასწაულო დღეები; გამოსაცვლელი ოთახები, საპირფარეშოები, საშხაპეები და ა.შ. ასევე რეალურად უფლებრივ-ვალდებულებითი თვალსაზრისით სამართლებრივ ჭრილში: ქორწინების უფლება; სამხედრო სავალდებულო სამსახური; შრომის ხანგრძლივობა; საპენსიო ასაკი და ა.შ.

სქესის რეგისტრაციის არარსებობის შემთხვევაში, ერთი შეხედვით, შესაძლოა მივიღოთ სამართლებრივი და სოციალური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით ქაოსი. არსებული სამართლებრივი რეგულირების პირობებში კი ვღებულობთ ადამიანთა არათანაბარ უფლებას ბიოლოგიური სქესის რეგისტრაციის თვალსაზრისით, ასევე სქესის მიმართ ფსიქოლოგიური კუთვნილების გამოხატვის (სამართლებრივ ჭრილში-ასეთი სქესის რეგისტრაციის) მხრივ. რამდენად უნდა იყოს ადამიანის სქესი რეგისტრაციის საგანი ზოგადად, ამ საკითხზე დაწვრილებით სხვა კვლევაში ვისაუბრებ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ადამიანთა უფლებრივი თანასწორობისათვის არ გამოდგება საქართველოში არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი მოდელი, რომელიც უბრალოდ არაფერს ამბობს და თვალს არიდებს საკითხებს, რომლებიც თვალის არიდებით არ ქრება არსებული სივრციდან. ამ საკითხების უგულვებელყოფა იწვევს ამ ადამიანთა ტრავმირებას, იძულებას რეგისტრირებული სქესის მიმართ, დისკომფორტული ცხოვრების გაგრძელების ან სამედიცინო ოპერაციის აუცილებლობას მხოლოდ იმისთვის, რომ შეიცვალოს სარეგისტრაციო დოკუმენტებში ამ ადამიანის სქესი.

World Health Organization, Genomic Resource Centre. Gender and Genetics; <http://www.who.int/genomics/gender/en/index1.html> Retrieved 10 November 2015.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისთვის, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოსთვის, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი და საზოგადოებრივ-მენტალური ცვლილებები. უნდა შეიქმნას სქესის აღრიცხვა-რეგისტრაციის ახალი, უნივერსალური სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, როგორც სახელმწიფოს, განახორციელოს მის წინაშე მდგარი საკითხები და უზასუხოს არსებულ გამოწვევებს, ისე ადამიანებს, თანასწორნი იყვნენ, როგორც ბიოლოგიური სქესის პირველადი რეგისტრაციის ნაწილში, ისე შემდგომ ამა თუ იმ სქესის მიმართ ფსიქოლოგიური კუთვნილების გამოხატვა-რეგისტრაციის დროს.

ON RECONSIDERING THE SEX/GENDER, AS A KEY ELEMENT FOR DETERMINING LEGAL PERSONALITY, IN RELATION TO THE ELEMENTS OF IDENTITY FORMATION

JUDr. George G. Tumanishvili

*PhD in Law, Professor, Member of the Union of Law
Scientists, Masaryk University (Brno, Czech Republic)
Researcher*

RESUME

Key words:

Intersex, Sex/Gender, Registration

In the modern world acting legal certainty is not corresponding to those challenges that the idea of equality, at a glance an obvious notion for everyone, is currently facing.

The idea of equality is unrealized in the conditions, where human being faces the legal/law factuality that does not take a person into account as the subject of equal rights; and the framework of existing law/legal factuality forces the parents of an infant to obey it, and that

in most cases becomes the reason of infant's future trauma.

This article addresses those legal topics/issues confronted by human being who does not directly belong to a defined biological sex. He/she has genitals typical for both sexes and his/

her chromosomal setting does not give us possibility to define his/her biological sex.

The realization of the idea of equality is impossible in the reality where the government setting does not set equal initial law conditions for human beings.

NOTES:

1. U.S. National Library of Medicine, Medical Encyclopedia, Intersex, Updated by: Neil K. Kaneshiro, MD, MHA, Clinical Assistant Professor of Pediatrics, University of Washington School of Medicine, Seattle, WA. Also reviewed by David Zieve, MD, MHA, Bethanne Black, and the A.D.A.M. Editorial team. Update Date 8/22/2013. (ENG)
2. Giddens, A., & Sutton, P. (2013). *Sociology, 7th Edition / Sociology*. NY: Polity Press. (ENG)
3. Tsereteli M., 2006. "Gender-Cultural and Social construct" Textbook. Tbilisi, Social Science Centre, (GEO)
4. Gogichadze G., 2011. Dictionary of Biological and Medical Terms and Definitions. Tbilisi, Meridiani Press. p. 442., (GEO)
5. Gogichadze G., 2011. Dictionary of Biological and Medical Terms and Definitions. Tbilisi, Meridiani Press. p. 442., (GEO)
6. Gachechiladze T., Chikviladze N., 2000. Explanatory Dictionary of Terms - Histology, Cytology and Embryology. Tbilisi, "Tsodna Press". (GEO)
7. Gabunia S., Vacharadze I., 2013. Introduction to LGBT Journalism. (Ed.), NGO „IDENTOBA“ Tbilisi, pp 145-316, Dictionary p. 3-34. (ENG)
8. Brainder P., Gomes R., (Translated by M. Tsulukidze, T. Patariaia) Georgian Ed. G. Kenchoshvili 2004. (Ed.) Tbilisi. (GEO)
9. Newsletter of the Sociology of Sexualities Section of the American Sociological Association, American Sociological Association Sexualities News, Volume 6, Issue 1, Summer 2003 <http://www.asanet.org/sectionsex/documents/SUMMER03sexnews.pdf> Retrieved 10 November 2015; also, Ten years of 'X' passports, and no protection from discrimination, Organisation Intersex International (OII) Australia, 19 January 2013 <http://oii.org.au/21597/> Retrieved 10 November 2015. (ENG)
10. "Getting a passport made easier for sex and gender diverse people". The Hon Kevin Rudd MP. 14 September 2011. http://foreignminister.gov.au/releases/2011/kr_mr_110914b.html Retrieved 10 November 2015. (ENG)
11. "Third sex option on birth certificates". DW.DE. <http://www.dw.com/en/third-sex-option-on-birth-certificates/a-17193869> Retrieved 10 November 2015, (ENG)
12. Third sex' finds a place on Indian passport forms, The Telegraph, March 10, 2005 http://www.telegraphindia.com/1050310/asp/nation/story_4474399.asp Retrieved 10 November 2015. (ENG)

13. "Transgenders are the 'third gender', rules Supreme Court". NDTV. April 15, 2014. <http://www.ndtv.com/india-news/transgenders-are-the-third-gender-rules-supreme-court-557439> . Retrieved 10 November 2015. (ENG)
14. THE SUPREME COURT OF INDIA, JURISDICTION WRIT PETITION (CIVIL) NO.400 OF 2012 National Legal Services Authority ... Petitioner Versus Union of India and others ... Respondents WITH WRIT PETITION (CIVIL) NO.604 OF 2013 JUDGMENT <http://supremecourtfindia.nic.in/outtoday/wc40012.pdf> Retrieved 10 November 2015. (ENG)
15. Knight, Kyle (24 April 2012). "Nepal's Third Gender and the Recognition of Gender Identity". http://www.huffingtonpost.com/kyle-knight/nepal-third-gender_b_1447982.html Huffington Post. Retrieved 10 November 2015. Compare with: Dwyer Arce. "Nepal's Third Gender and the Recognition of Gender Identity"; Jurist.org <http://jurist.org/hotline/2012/04/bochenek-knight-gender.php> Retrieved 10 November 2015. (ENG)
16. Knight, Kyle (24 April 2012). "Nepal's Third Gender and the Recognition of Gender Identity". http://www.huffingtonpost.com/kyle-knight/nepal-third-gender_b_1447982.html Huffington Post. Retrieved 10 November 2015. Compare with: Dwyer Arce - «Nepal's Third Gender and the Recognition of Gender Identity»; Jurist.org <http://jurist.org/hotline/2012/04/bochenek-knight-gender.php> Retrieved 10 November 2015. (ENG)
17. New Zealand Government Information about Changing Sex / Gender Identity "Transgender applicants - New Zealand Passports (passports.govt.nz)". <https://www.passports.govt.nz/Transgender-applicants> Retrieved 10 November 2015. (ENG)
18. "Classifications and standards – Gender identity". Statistics New Zealand. <http://www.stats.govt.nz/methods/classifications-and-standards/classification-related-stats-standards/gender-identity.aspx> Retrieved 10 November 2015. (ENG)
19. European Union Agency for Fundamental Rights "The fundamental rights situation of intersex people" 04.2015 <http://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2015-focus-04-intersex.pdf> Retrieved 10 November 2015., Compare With: Agius, S. and Tobler, C. (eds.), European Commission (2012), Trans and intersex people: Discrimination on the grounds of sex, gender identity and gender expression, Report by the European Network of Legal Experts in the nondiscrimination field, Brussels. (ENG)
20. Latvia (2012), Law on the Registration of the Civil Status Acts (Civilstāvokļa aktu reģistrācijas likums), 29 November 2012, Latvian Herald (Latvijas Vēstnesis) 197(4800), 14 December 2012, available at: Latvia, Cabinet of Ministers (Ministru kabineta) (2006), Regulations No. 265 On the record-keeping procedures for medical documents (Noteikumi Nr. 265 "Medicīnisko dokumentu lietvedības kārtība"), 4 April 2006, 39. pielikums, Latvian Herald. (ENG)
21. Dutch Civil Code <http://www.dutchcivillaw.com/legislation/dcctitle044.htm>. (ENG)
22. National Statistics Office of Georgia, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/genderuli%20statistika.pdf (GEO)
23. World Health Organization, Genomic Resource Centre. Gender and Genetics; <http://www.who.int/genomics/gender/en/index1.html> Retrieved 10 November 2015. (ENG)

ბიორეპროდუქციის

საქართველო გალანგან- გალანგანის ქონებრივი პასუხისმგებლობა სამგზავრო გალანგანისას პარაპარის, მონრეალის, ევროპისა და საქართველოს სამართლის ნორმების ანალიზის შედეგად

თამარ ვეფხვაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
დოქტორანტი, სამართლის მეცნიერთა კავშირის
ნევრი, ადვოკატი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რომლის შეუსრულებლობასაც მოჰყვება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მოვალე ვალდებულია, კრედიტორს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

მ. მოსულიშვილი იურიდიულ პასუხისმგებლობას სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენლობაში განიხილავს. იგი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტის მიერ სოციალურ ნორმათა მოთხოვნების დაცვას და მათი დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პირის მიერ პირადი ან ქონებრივი ხასიათის აღმკვეთ ღონისძიებათა გატარებას. ავტორი სამართლებრივ პასუხისმგებლობას აყალიბებს, როგორც ყოველი პირის ვალდებულებას, დაიცვას სამართლებრივი ნორმები, ხოლო მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულება, განიცადოს სამართლის ნორმით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ დადგენილი პირადი და ქონებრივი ხასიათის აღმკვეთი ღონისძიებები¹.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა არის უკვე არსებული ვალდებულების დამატება ან ცვლილება ახალი ვალდებულებით სახელმწიფოებრივი იძულების სახით, გადაიხადოს განსაზღვრული ფულადი თანხა კომპენსაციის სახით, სუბიექტური (ქონებრივი ან არაქონებრივი) უფლების დარღვევისათვის².

საჭაერო გადაწყვეტილება-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შესაბამისად. უნივერსალურ საერთაშორისო სამართლის ნორმებს განეკუთვნება ვარშავის 1929 წლის კონვენცია და მონრეალის 1999 წლის კონვენცია. ამ უკანასკნელის მიღების აუცილებლობა სამოქალაქო ავიაციის განვითარებამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე კონვენცია პარალელური რეჟიმით განაგრძობს ფუნქციონირებას, რადგანაც სახელმწიფოები ეტაპობრივად აღიარებენ ახალ კონვენციას. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, იგი 1999 წლის კონვენციაში უფრო გამკაცრებულია. ამასთან, ევროპის გაერთიანების შექმნამ

განაპირობა რეგიონული სამართლის ნორმების ჩამოყალიბება. ევროკავშირის მასშტაბით გადაწყვეტილება-გადამზიდველთა ქონებრივი პასუხისმგებლობა ძირითადად მოცემულია ევროკავშირის რეგულაციებში. ისინი მოქმედებს მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია #889/2002 „სავაიციო შემთხვევისას საჭაერო გადაწყვეტილება-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ“ მიუთითებს, რომ ეს ნორმები ეფუძნებოდა ჯერ ვარშავის კონვენციას და შემდეგ უკვე - მონრეალის კონვენციას³.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივი და დელიქტური. პირველი შემთხვევა მაშინაა, თუ მხარეთა შორის არსებობს ხელშეკრულება და დაირღვევა ერთ-ერთი მხარის უფლება. დელიქტის დროს კი ზიანი ადგება პირს, რომელიც არ არის სამართალდამრღვევთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობაში ანდა ასეთ ურთიერთობაში მყოფს, მაგრამ უფლების დარღვევა ხდება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით მოწესრიგებისას⁴.

გერმანული სამართალი იცნობს წინასახელმწიფოებრივი ურთიერთობების ბრალეულობის „culpa in contrahendo“ შედეგად წარმოშობილ პასუხისმგებლობას. ასეთი წინასახელმწიფოებრივი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის წინაპირობაა ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობა, რომელიც წარმოიშობა იმისგან დამოუკიდებლად, სამომავლოდ დაიდება თუ არა ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ წინასახელმწიფოებრივი ვალდებულებით ურთიერთობებში მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები არიან მესამე პირებიც⁵.

ზიანი ინტერესის ხელყოფა, მიუხედავად იმისა, იგი ქონებრივია თუ არაქონებრივი.

1 მოსულიშვილი მ., 2002. იურიდიული პასუხისმგებლობა, კონცეფციები და მოსაზრებები. თბილისი. გვ.12-13.
 2 გაბიჩვაძე შ., 2012. საჭაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება. დისერტაცია. ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, გვ.119.

3 ევროპის კავშირი, 13.05.2002. საბჭოს რეგულაცია: სავაიციო შემთხვევისას საჭაერო გადაწყვეტილება-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ, 889/2002.
 4 Dam C., 2013. European Tort Law. Oxford University Press, United Kingdom, P.52.
 5 კროპპოლერი იან., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. გერმანიის თანამშრომლობა (GIZ), თბილისი, გვ.197-200.

გადაყვანა-გადაზიდვების დარღვევისას გამოიყენება ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომლის დასაკისრებლად აუცილებელია სახეზე გვქონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა – მართლსაწინააღმდეგობა: ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

ნორმა, რომლითაც პირველად განისაზღვრა ევროკავშირის ტერიტორიაზე გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის საკითხი, არის საბჭოს 1997 წლის 2027/97 რეგულაცია „სავაიციო შემთხვევების დროს გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ“⁶. იგი დაფუძნებულია ვარშავის სისტემის შემადგენელ ნორმებზე.

2027/97 რეგულაციით განისაზღვრა გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობის საკითხი მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანებისას, რომელიც მას მიადგა საჰაერო ხომალდზე ან ჩასხდომისა და გადმოსხდომის პროცედურების გავლის დროს. რეგულაციაში აღნიშნული იყო, რომ მგზავრზე ზიანის მიყენებისას და მისი ბარგის დაზიანებისას, გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობისა და შეთანხმების დადების საფუძველზე. გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი დაამტკიცებდა, რომ მიყენებული ზიანი ან სიკვდილი გამოიწვია მგზავრის ქმედებამ. აღსანიშნავია, რომ გადამყვან-გადამზიდველი ვალდებული იყო, სამგზავრო დოკუმენტებში მიეთითებინა პასუხისმგებლობის ფარგლების შესახებ და პასუხი ეგო ქონებრივ ზიანზე მისი მიყენებიდან 15 დღის განმავლობაში.

2002 წელს საბჭომ მიიღო 889/2002 რეგულაცია „სავაიციო შემთხვევისას საჰაერო გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ“⁷, რომლითაც ცვლილებები შევიდა 2027/97 რეგულაციაში. ახალი ნორმის ჩამოყალიბება განაპირობა მონრეალის 1999 წლის კონვენციის

მიღებამ, რომლითაც დაწესდა გადაყვანა-გადაზიდვების მოდიფიცირებული წესები. 889/2002 რეგულაციის უმთავრესი მიზანია რეგიონალურ დონეზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა მონრეალის 1999 წლის კონვენციასთან.

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განხილვისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საჰაერო ხომალდი, ისევე როგორც სხვა სატრანსპორტო საშუალება, მომეტებული საფრთხის წყაროა. ამასთან, გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობის რეგლამენტაციისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორი მთავარი საკითხის გადაწყვეტა, როგორებიცაა: საჰაერო ტრანსპორტით მოსარგებლე პირებისა და ორგანიზაციების დაცვა და გადაყვანა-გადაზიდვებში მონაწილე ავიასაწარმოებისათვის სტიმულის მიცემა, რათა მათ არ შეექმნათ სერიოზული ფინანსური სიძნელეები.

საჰაერო კოდექსის 77-ე მუხლით განსაზღვრულია პასუხისმგებლობის საკითხი მგზავრის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევაში. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება ადამიანის აბსოლუტურ უფლებათაგანია. აღსანიშნავია, რომ ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს ქონებას ცივილური გაგებით, მაგრამ მისი ხელყოფით დამდგარი ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება⁸.

გადამყვან-გადამზიდველი პასუხს აგებს იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მგზავრის გარდაცვალებით, დასახიჩრებით ან სხეულის სხვაგვარი დაზიანებით იმ შემთხვევაში, თუ უბედური შემთხვევა მოხდა აეროპორტის საზემდედველო არეში ან საჰაერო ხომალდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავიაკომპანიას ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომლის მიხედვითაც იგი ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ დამდგარ შედეგში მას ბრალი არ მიუძღვის

6 ევროპის კავშირი, 1997. საბჭოს რეგულაცია: სავაიციო შემთხვევების დროს გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ, 2027/97.

7 ევროპის კავშირი, 13.05.2002.. საბჭოს რეგულაცია: სავაიციო შემთხვევისას საჰაერო გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის შესახებ, 889/2002.

8 ჭანტურია ლ., ზოიძე, ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი. სამართალი, თბილისი, გვ. 368.

და ზიანი მისი უშუალო ზემოქმედების შედეგად არ დამდგარა.

აღნიშნული ნორმა სათავეს იღებს ვარშავის 1929 წლის კონვენციიდან, რომლის მიხედვითაც, გადამყვან-გადამზიდველი პასუხისმგებელია მგზავრის სიკვდილის, დასახიჩრების ან სხეულის სხვა დაზიანებაზე, რომელიც მიადგა მგზავრს საჰაერო ხომალდზე ან ჩასხდომისა, ან გადმოსხდომის დროს პროცედურების გავლისას. მომდევნო წლებში მიღებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ეს ფუძემდებლური პრინციპი არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა პასუხისმგებლობის ფარგლები. მაგალითად, 1929 წლის ვარშავის კონვენციით მგზავრთა მიმართ პასუხისმგებლობა შემოიფარგლებოდა 125 000 ფრანგული ოქროს ფრანკით (დაახლოებით 10 000 აშშ დოლარი), 1955 წლის ჰააგის ოქმით პასუხისმგებლობის ზღვარი გაიზარდა 250 000 ფრანგულ ფრანკამდე (დაახლოებით 20 000 აშშ დოლარი), ხოლო 1971 წლის გვატემალის ოქმით პასუხისმგებლობის ზღვარმა 1 500 000 ფრანგულ ოქროს ფრანკს (დაახლოებით 100 000 აშშ დოლარი) მიაღწია. 1999 წელს მიღებული მონრეალის კონვენცია პასუხისმგებლობის ზღვარს კიდევ უფრო ზრდის. ამ სისტემით დაწესდა პასუხისმგებლობის ორდონიანი სისტემა. პირველი დონით დადგინდა 100 000 სსუ (SDR) (დაახლოებით 135 000 აშშ დოლარი), გადამყვან-გადამზიდველის ბრალის მიუხედავად. ხოლო მეორე დონე ემყარება გადამყვან-გადამზიდველის ბრალის პრეზუმფციას და არ განიხილავს პასუხისმგებლობის შეზღუდვას.⁹

მონრეალის კონვენციაზე დაყრდნობით, მიიღეს ევროკავშირის #889/2002 რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, გადამყვან-გადამზიდველის ქონებრივი პასუხისმგებლობა მგზავრის სიკვდილის ან მისი სხეულის დაზიანების შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს, თუ ზიანი არ აღემატება 100 000 სსუ-ს. როდესაც ზიანი აღნიშნულ თანხას გადააჭარბებს, გადამყვან-გადამზიდველმა შეიძლება ამტკიცოს, რომ ზიანი არ დამდგარა მისი გაუფრთხილებლობის ან მისი ბრალეული ქმედების შედეგად. 100

000 სსუ არის ზედა ზღვარი გარდაუვალი პასუხისმგებლობისას, რომლის ფარგლებშიც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქმის განმხილველმა სასამართლომ. ამასთან, გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა დადგება ყველა შემთხვევაში, თვით ფორს-მაჟორის დროსაც 100 000 სსუ-ის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი აღემატება 100 000 სსუ-ს, გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს იმ ნაწილში, თუ დაამტკიცებს, რომ ზარალი არ გამოუწვევია გადამზიდველის, მისი თანამშრომლის ან აგენტის გაუფრთხილებლობას, უმოქმედობას ან არასწორ ქმედებას, არამედ ზიანი გამოიწვია მესამე მხარის გაუფრთხილებლობამ, უმოქმედობამ ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ.

ევროკავშირის კანონმდებლობით შემოიღეს წინასწარი გადახდის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში, საჰაერო გადამყვან-გადამზიდველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაიხადოს სასწრაფო ხარჯები ზიანის მიყენებიდან 15 დღის განმავლობაში. სიკვდილის შემთხვევაში წინასწარ გადახდილი თანხა არ უნდა იყოს 16 000 სდრ-ზე ნაკლები.

აღნიშნული ნორმა მომდინარეობს ვარშავის 1929 წლის კონვენციის 28-ე მუხლიდან. წინასწარი გადახდის დაწესება დასაშვებია მაშინ, თუ ამას ითვალისწინებს სახელმწიფო კანონმდებლობა, რათა დააკმაყოფილოს ასეთი პირების გადაუდებელი ეკონომიკური მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გადახდა არ ნიშნავს პასუხისმგებლობის აღიარებას. ამასთან, გადახდილი თანხა შეიძლება ჩაითვალოს გადამყვან-გადამზიდველის მიერ ზიანის ანაზღაურებისათვის მოგვიანებით გადახდილ მთლიან თანხაში.

საქართველოს საჰაერო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, გადამყვან-გადამზიდველი პასუხს აგებს ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მგზავრის გარდაცვალებით, დასახიჩრებით ან სხეულის სხვაგვარი დაზიანებით, თუ უბედური შემთხვევა მოხდა აეროპორტის საზედამხედველო არეში ან საჰაერო ხომალდზე.

9 გეფერიძე დ., 2009. საერთაშორისო საჰაერო სამართალი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, გვ.58-59.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სიტყვათა კომბინაციაზე „აეროპორტის საზედამხედველო არე“, რომელიც, ჩვენი აზრით, აქ არასწორად არის გამოყენებული. დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაწესება ცალსახად აეროპორტის საზედამხედველო არეში მიყენებული ზიანისას. მაგალითად, საზედამხედველო არე მოიცავს აეროვაგბალს, რომელიც აეროპორტის შემადგენლობაში შედის. აქ მგზავრი ხვდება რეგისტრაციის გავლამდე და სრულიად წარმოუდგენელია ამ არეში მგზავრის სიკვდილის ან მისი სხეულის დაზიანების დროს პასუხისმგებლობა დაეკისროს გადამყვან-გადამზიდველს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, უმჯობესია, ვისარგებლოთ მონრეალის კონვენციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვითაც მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ მგზავრი გარდაიცვალა ან დაშავდა საჰაერო ხომალდის ბორტზე ან ჩასხდომისა, ან გადმოსხდომის ნებისმიერი ოპერაციის დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 77-ე მუხლი უმჯობესია შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:

„გადამყვან-გადამზიდველი პასუხს აგებს ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მგზავრის გარდაცვალებით, დასახიჩრებით ან სხეულის სხვაგვარი დაზიანებით, თუ უბედური შემთხვევა მოხდა საჰაერო ხომალდის ბორტზე ან ჩასხდომისა, ან გადმოსხდომის დროს პროცედურების გავლისას“.

მონრეალის მე-17 მუხლის გამოყენებას შესახებ მეტად უხვი სასამართლო პრაქტიკა გვაქვს, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ მე-17 მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი იმყოფება გადამყვან-გადამზიდველის ოპერირების ზონაში ან თუ მათზე კონტროლს ახორციელებს საჰაერო გადამყვან-გადამზიდველი, ან მისი აგენტი. თუ მგზავრს ან მის ბარგს ზიანი მიადგა ფრენის გამოცხადებამდე აეროპორტის საზედამხედველო არეში, მაშინ მასზე არ ვრცელდება მონრეალის მე-17 მუხლი. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ რეისის გამოცხადების შემდეგ პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დგება, თუ მგზავრი ჩართული

იყო გადამყვან-გადამზიდვის პროცესში.¹⁰

1973 წელს ათენის აეროპორტში ორმა ტერორისტმა აიფეთქა თავი საჰაერო ხომალდში ჩასხდომისას, რიგში დგომის პროცესში. ტერორისტულმა აქტმა მგზავრების სიცოცხლე შეიწირა, ზოგიერთი კი დაშავდა. დაზარალებულებმა და მათმა წარმომადგენლებმა მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება „World Airlines“-გან. სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ ავიაკომპანია პასუხისმგებელია მგზავრების სიკვდილსა და ზიანის მიყენებაზე, რადგანაც ტერორისტული აქტი განხორციელდა უშუალოდ თვითმფრინავში ჩასხდომის პროცესში.¹¹

მოგვიანებით სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, მონრეალის კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებისას, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებანი:

- ტერორისტული აქტის მოქმედების პერიოდში რას აკეთებდნენ მგზავრები;
- რა კონტროლს და შეზღუდვებს ახორციელებდა გადამყვან-გადამზიდველი ზიანის მიყენების მომენტში;
- რა მიზნით ხდებოდა საჰაერო ხომალდში ჩასხდომა;
- ტერმინალის გასასვლელ კარებთან რა მიზნით იმყოფებოდა მგზავრი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება შეესაბამება შემთხვევათა რეგულირების თანამედროვე თეორიებს – theories of accident cost allocation¹².

განსხავებული გადაწყვეტილება მიიღეს შემდეგი შემთხვევის არსებობისას. ტერორისტული აქტის შედეგად რომის აეროპორტში დაიღუპა მგზავრი, როემლმაც გაიარა რეგისტრაცია, მაგრამ უსაფრთხოებაზე შემოწმება არ ჰქონდა გავლილი და აფეთქების

10 Tompkins G., 2010. Liability Rules Applicable to International Air Transportation as Developed by the Courts in the United States. From Warsaw 1229 to Montreal 1999. Kluwer Law International, P.25.
 11 Day V., Trans World Airlines, Second circuit, 528 F.2d 31, 1975. P.269.
 12 Gordley J., Tailor A., Mehren V., 2006. An Introduction to the Comparative Study of Private Law. Cambridge University Press, P.137.

პროცესში იმყოფებოდა აეროპორტის სა-
ზედამხედველო არეში¹³.

ჩვენ მიერ განხილული სასამართლო
პრაქტიკიდან ნათლად ჩანს საჰაერო კოდექსის
77-ე მუხლში გამოყენებული სიტყვათა
კომბინაციის – „საზედამხედველო არეს“ შე-
ცვლის გარდაუვალობა.

საჰაერო კოდექსის 77-ე მუხლის ჩვენეული
დეფინიციის ჩამოყალიბებისას, სიტყვა
„ზარალი“ – „ზიანი“ ჩავანაცვლეთ. საბჭოთა
სამართლებრივ ლიტერატურაში ეს ორი
ტერმინი ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო,
რომლის მიხედვითაც, ზიანის მიყენება ხდებოდა,
ზარალის კი – ანაზღაურება. ტერმინი „ზარალი“
არაბული წარმოშობის სიტყვაა. სულხან-საბას
განმარტებით, ლექსიკონში იგი მოცემული არ
არის, რადგანაც დასაშვებია, რომ იმ პერიოდში
იგი არ გამოიყენებოდა. მის მაგივრად გვქონდა
მისი ქართული ექვივალენტი – „ზიანი“. ქართული
ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემებით,
„ზიანი“ და „ზარალი“ ერთმანეთის სინონიმებია.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შე-
დგენისას ზუსტად ამ სიტყვის ძირეული ქართული
წარმომავლობა გაითვალისწინეს და შეჯერდნენ,
რომ უმჯობესი იქნებოდა „ზიანის“ გამოყენება
„ზარალის“ ნაცვლად¹⁴.

ევროპული ქვეყნების შიდასახელ-
მწიფოებრივ ნორმებს თუ გადავხედავთ,
მათში ტერმინი ზიანი არის გამოყენებული.
მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში
გვხვდება ტერმინი „Schaden“, რაც ზიანს
გულისხმობს. უმჯობესი იქნება, საქართველოს
საჰაერო კოდექსშიც გათვალისწინებული
იყოს ის ძირითადი მახასიათებლები,
რომლებიც საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის შედგენისას მხედველობაში მიიღეს.
ამასთან, სამართლის ენა უფრო დახვეწილი
რომ გახდეს, უმჯობესია, კანონმდებელმა
შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში დაამკ-
ვიდროს ერთი მისთვის მისაღები ტერმინი. ჩვენს
შემთხვევაში ამ ტერმინს „ზიანი“ განეკუთვნება.

საქართველოს საჰაერო კოდექსის 78-ე
მუხლის თანახმად, გადამყვან-გადამზიდველი

პასუხისმგებელია ტვირთის, ბარგის ან მგზავრის
პირადი ნივთების მთლიანად ან ნაწილობრივ
დაკარგვის, დაზიანების ან დაგვიანებით
გადაზიდვის შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს,
რომ ყველა ზომა მიიღო ზიანის თავიდან
ასაცილებლად ან მისი თავიდან აცილება
შეუძლებელი იყო.

აღნიშნული ნორმა მომდინარეობს
ვარშავის 1929 წლის კონვენციის მე-18
მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, გადამყვან-
გადამზიდველი პასუხისმგებელია ბარგისა და
ტვირთის გადატანაზე გადაზიდვის პერიოდში,
რომელიც მოიცავს დროის იმ მონაკვეთს,
როდესაც ბარგი იმყოფება გადამზიდვის
კონტროლის ქვეშ, იმის მიუხედავად, ეს
მოხდა აეროპორტში, საჰაერო ხომალდსა
თუ რომელიმე სხვა ადგილას – ხომალდის
აეროპორტის გარეთ დაფრენის შემთხვევაში.

1999 წლის მონრეალის კონვენციის მე-
17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,
გადამყვან-გადამზიდველი პასუხს აგებს
ზიანისათვის, რომელიც წარმოიქმნება
რეგისტრირებული ბარგის განადგურების,
დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მაშინ,
თუ შემთხვევა მოხდა საჰაერო ხომალდის
ბორტზე ან ნებისმიერ იმ პერიოდში, რომლის
განმავლობაშიც რეგისტრირებული ბარგი
გადამყვან-გადამზიდველის დაცვის ქვეშ
იმყოფებოდა. არარეგისტრირებულ ბარგზე
გადამყვან-გადამზიდველი პასუხისმგებელია
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიაღდა
მისი ან აგენტის მიზეზით.

889/2002 რეგულაციის შესაბამისად,
ბარგის დაგვიანებით გადატანის შემთხვევაში
გადამყვან-გადამზიდველი პასუხისმგებელია
მიყენებულ ზიანზე, თუ ვერ დაამტკიცებს,
რომ ყველა ზომა მიიღო ზიანის თავიდან
ასაცილებლად ან მისი თავიდან აცილება
შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის ფარ-
გლებს, ვარშავის 1929 წლის კონვენციით,
პასუხისმგებლობის ფარგლები კილოგრამ
ბარგსა და ტვირთზე შემოიფარგლება 250
ფრანგული ოქროს ფრანკით (დაახლოებით
20 აშშ დოლარი), ხოლო ხელბარგზე – 5000
ფრანგული ოქროს ფრანკის მაქსიმალური
ოდენობით.

13 Buonocore v. Trans World Airline, 900 F. 2d 8, 1990.

14 ზოიძე ზ., 2005. ევროპული კერძო სამართლის
რეცეპცია საქართველოში. საგამომცემლო საქმის
სასწავლო ცენტრი, თბილისი, გვ.178.

მონრეალის 1999 წლის კონვენციის 22-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ბარგის განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში, გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა ყოველი მგზავრის მიმართ განისაზღვრება 1000 სსუ.

ანალოგიური ნორმა არის დაწესებული ევროკავშირის 889/2002 რეგულაციით ბარგის დაზიანებით ჩატანის, განადგურების, დაზიანების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 1000 სასესხო სპეციალური უფლებით. აღნიშნული რეგულაცია მიღებულია მონრეალის კონვენციის შესაბამისად.

ქართული სამართლის ნორმებში არ გვხვდება ზუსტი განსაზღვრება პასუხისმგებლობის ფარგლებისა ბარგის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანებით გადატანის შემთხვევაში. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვროს პასუხისმგებლობის ფარგლები. კერძოდ, რადგან მიერთებული ვართ მონრეალის კონვენციას და ვცდილობთ ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციას, უნდა დავაწესოთ პასუხისმგებლობის ზღვარი 1000 SDR - ბარგის განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში.

მონრეალის კონვენციამ შემოიღო ბარგზე გამოცხადებული ღირებულების დაწესების უფლება, რომელიც აისახა ევროკავშირის 889/2002 რეგულაციაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრს გააჩნია ბარგისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მას შეუძლია ამის შესახებ გადამყვან-გადამზიდველს განუცხადოს. ამ შემთხვევაში ტარიფის დადგენისას მხედველობაში მიიღება როგორც ბარგის გადაზიდვის, ასევე დაზღვევის ტარიფები. დაწესებული ტარიფი უნდა იყოს რეალური და ხელმისაწვდომი მგზავრისთვის. ასეთი ბარგის გადაზიდვის წესების დარღვევისას გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა დგება გამოცხადებული ღირებულების შესაბამისად. მონრეალის კონვენციის 22-ე მუხლით ასეთ შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია, გადაუხადოს თანხა, რომელიც არ აღემატება გადახდილ თანხას, თუ ის არ დაამტკიცებს,

რომ ეს თანხა აღემატება ადგილზე მიტანით მგზავრის ნამდვილ დაინტერესებას.

ბარგის განსაკუთრებულ ღირებულებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება.¹⁵

საქმის გარემოება მდგომარეობდა შემდეგში: 2012 წლის 22 სექტემბერს მოსარჩელე მოფრინავდა ბრიუსელი-სტამბოლი-თბილისის რეისით. თვითმფრინავში ჩასხდომისას ავიაკომპანია „პეგასუსმა“ მოსარჩელეს მოსთხოვა ჩანთის ჩაბარება, რომლის გადატანასაც მოსარჩელე ხელბარგის სახით აპირებდა. აღნიშნული ჩანთის ტრანსპორტირებისათვის მოსარჩელემ გადაიხადა 200 ევრო, ხოლო ბარგშიარსებული ნივთების ღირებულება 1500 ევროს შეადგენდა. ბარგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არ ჩამოსულა, რის თაობაზეც მიმართა ავიაკომპანიას და მიიღო დაპირება, რომ ერთი თვის განმავლობაში მოძებნიდნენ მას, მაგრამ, ფაქტობრივად, ბარგი დაიკარგა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დაკარგული ნივთების ღირებულება ნამდვილად 1500 ევროს შეადგენს. აქვე დასძინა, რომ გადამზიდავი კომპანია ვალდებულია, ანაზღაუროს დაკარგული ბარგის ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბარგი სრულიად დაიკარგება. აღნიშნული განცხადება ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რადგან იგი არ შეესაბამება არც შიდასახელმწიფოებრივ და არც საერთაშორისო ნორმებს, კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსის 78-ე მუხლს, რომელიც მიუთითებს, რომ გადამყვან-გადამზიდველი პასუხისმგებელია მგზავრის ნივთების როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ დაკარგვისათვის. აქვე გადამზიდველი აღნიშნავს, რომ ავიაკომპანიამ შესთავაზა 180 აშშ დოლარი ანაზღაურება (კილოგრამზე 20 აშშ დოლარი), რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

სასამართლომ განიხილა საქმე და დაადგინა, რომ მოპასუხის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს: სასამართლო განმარტავს,

15 ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, 28.04.2015. გადაწყვეტილება: 2/8679-14.

რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მისი ოდენობაც. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოსათვის უცნობია და ვერ დამტკიცდა, თუ რა ღირებულებისა იყო ბარგი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელისათვის უცნობი იყო ბარგის შემადგენლობა - ღირებულება, შიგთავსი. ამიტომ მოპასუხეს დააკისრა კილოგრამზე 20 აშშ დოლარის გადახდა, გადამყვან-გადამზიდველის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად. ასევე, სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ხელბარგის მაქსიმალური ოდენობა 10 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს, ზიანიც უნდა განისაზღვროს როგორც 10 კილოგრამი ბარგის დაკარგვაზე დადგენილი, სულ 200 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ შემდეგი გარემოებების გამო:

1. როგორც საქმის გარემოებებიდან ჩანს, მოსარჩელემ ბარგის ტრანსპორტირებისათვის გადაიხადა 200 ევრო. ეს კი საფუძველს გვაძლევს, რომ აღნიშნული თანხა ავიაკომპანიამ მოითხოვა, როგორც ბარგის განსაკუთრებული ღირებულების გადასახადი. ბარგის განსაკუთრებულ ღირებულებას საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობაც იცნობს, რომელიც დამატებით გადაიხდევინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადამზიდავი გადასაზიდად იღებს მგზავრისათვის ღირებულ ნივთებს. ასეთი გარემოებების არსებობისას პასუხისმგებლობა დგება არა ავიაკომპანიების მიერ დაწესებული ნიხრით - ერთ კილოგრამზე 20 აშშ დოლარის გადახდით, არამედ მისი გამოცხადებული ღირებულების შესაბამისად.

2. ასევე ვერ გავიზიარებთ სასამართლოს მიერ პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრის წესს. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ავიაკომპანიამ მგზავრს ბარგი ჩააბარებინა და არ დართო ნება, იგი ხელბარგის სახით გადაეტანა. აღნიშნულ მოთხოვნას გადამყვან-გადამზიდველი ხშირ შემთხვევაში მაშინ აყენებს, როდესაც გადასაზიდა ბარგის წონა აღემატება ხელბარგით გათვალისწინებულ 10 კილოგრამს. ამიტომაც, სრულიად მისაღებია, რომ წონა უფორ მეტი ყოფილიყო და სასამართლოს არ უნდა გამოეთვალა იგი ხელბარგის მაქსიმალური ოდენობიდან. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია საბარგო ქვითარი, რომელშიც აუცილებლად მითითებული იქნებოდა ჩაბარებული ბარგის წონა. ამიტომაც სასამართლოს უნდა ესარგებლა ქვითარზე მითითებული წონით და არა ვარაუდით.

3. ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში უზუსტობანი ფიქსირდება ტერმინოლოგიასთან მიმართებით. კერძოდ, აღრეულია ტერმინები „ბარგი“ და „ტვირთი“. მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, ჩაბარებული ჩანთა მოვიხსენიოთ, როგორც ტვირთი, რადგანაც იგი არის ბარგი, ვინაიდან იგი გადაიზიდება იმავე რეისით, რომლითაც მიფრინავს მგზავრი და არის მცირე მოცულობის.

აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ნათლად მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან ევროპული სამართლის მკაცრი პასუხისმგებლობის ნორმების შიდა-სახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაციის აუცილებლობაზე, რათა არ დაინერგოს მანკიერი სასამართლო პრაქტიკა. კანონმდებლობით პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა ავიაკომპანიებს შეუზღუდავს უფლებას, თვითნებურად დააწესონ გადაყვანა-გადაზიდვის წესები და იძულებულნი გახდებიან, მოაქციონ ისინი კანონის ჩარჩოებში.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ვხვდებით საქართველოს საჰაერო კოდექსის

82-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ორი ან მეტი საჰაერო ხომალდის შეჯახებისას მისი მფლობელები პასუხსაგებენ, ბრალის არსებობის მიუხედავად, თუ შეტაკებამ გამოიწვია მგზავრის გარდაცვალება, ჯანმრთელობის მოშლა ან ხომალდზე მყოფი მესამე პირისათვის ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება გადაამზიდველს ენიჭება უფლება, ბრალეული მხარისაგან რეგრესის წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შეტაკების დროს პასუხისმგებელია იმ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომლის ბრალეული ქმედების გამოც დადგა შედეგი. თუ ზიანი მიყენებულია ორი ან მეტი მხარის მიზებით, მაშინ მიყენებული ზიანი თანაბრად ანაზღაურდება.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას. ცუდი მეტეოროლოგიური პირობების ან დაუძლეველი ძალის გარემოებების შედეგად დაგვიანებით გადაყვანა-გადაზიდვისას ავიაკომპანია თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამტკიცებს, რომ მან მიიღო ყველა ზომა დამდგარი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ევროკავშირის საბჭოს 889/2002 რეგულაციით გადაყვანა-გადაზიდვის გადადების შემთხვევაში გადაწყვეტილება გადაამზიდველი პასუხისმგებელია მიყენებულ ზიანზე, თუ ვერ დამტკიცებს, რომ მან მიიღო ყველა ზომა, რათა დამდგარი შედეგი თავიდან აეცილებინა. მგზავრის დაგვიანებით გადაყვანის შემთხვევაში გადაწყვეტილება გადაამზიდველის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება 4150 სასესხო სპეციალური უფლებით.

ევროკავშირის მიერ დადგენილი აღნიშნული ნორმა სათავეს იღებს მონრეალის 1999 წლის კონვენციიდან, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება გადაამზიდველს ეკისრება ვალდებულება გადაყვანა-გადაზიდვის დაგვიანებისას. პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გადაამზიდველი დაამტკიცებს, რომ მან, მისმა თანამშრომლებმა ან აგენტებმა მიიღეს ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად ან თუ შეუძლებელი იყო ასეთი ზომების მიღება. მონრეალის კონვენციითაც, ისევე როგორც #889/2002 რეგულაციით, გადაწყვეტი-

გადაამზიდველის პასუხისმგებლობა თითოეულ მგზავრზე 4150 სსუ-ით შემოიფარგლება.

1991 წლის 4 თებერვლის ევროპის საბჭოს #295/91 რეგულაციით „რეისის გადადებისას რეგულირების ერთიანი წესების შესახებ“ დაწესდა რეგულირების ერთიანი წესები ევროკავშირის ტერიტორიაზე¹⁶. კერძოდ, რეისის გადადების დროს ავიაკომპანია ვალდებული იყო, მგზავრისთვის გადაეხადა 150 ECU, თუ რეისის სიგრძე არ აღემატებოდა 3500 კმ-ს, ხოლო თუ აღემატებოდა – 300 ECU. პირველ შემთხვევაში ორ საათამდე შეფერხებისას კომპენსაცია ნახევრდებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში განახევრება მოქმედებდა ოთხ საათამდე შეფერხებისას.

2004 წლის #261/2004 რეგულაციით – „ევროპის პარლამენტის და საბჭოს ერთობლივი რეგულაცია: ფრენის გადადების, შეწყვეტის ან შეფერხების დროს მგზავრებზე დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის შესახებ“¹⁷ გაუქმდა 295/91 რეგულაცია და გადაწყვეტილება გადაამზიდველს დაუწესდა უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ნორმები. კერძოდ:

- რეისის მანძილი შემცირდა 1500 კილომეტრამდე და კომპენსაცია გაიზარდა 250 ევრომდე ორ საათზე მეტი ხნით შეფერხებისას;
- ევროკავშირის შიგნით გადაყვანა-გადაზიდვისას 1500 კილომეტრზე ან ევროკავშირის გარეთ 1500-3000 კილომეტრზე კომპენსაცია შეადგენს – 400 ევროს სამ საათზე მეტი შეფერხებისას;
- ხოლო უფრო მეტ მანძილზე გადაყვანა-გადაზიდვისას – 600 ევროს, ოთხ საათზე მეტი ხნით შეფერხებისას.

თუ მითითებულ დროებზე ნაკლებს მოიცავს შეფერხების დრო, მაშინ კომპენსაცია განახევრდება (მ.7).

რადგანაც საქართველო გაწევრიანდა

16 ევროპის გაერთიანება, 04.02.1991. საბჭოს რეგულაცია: რეგულირების ერთიანი წესების შესახებ რეისის გადადებისას, 295/91.

17 ევროპის კავშირი, 11.02.2004. ევროპის პარლამენტის და საბჭოს ერთობლივი რეგულაცია: ფრენის გადადების, შეწყვეტის ან შეფერხების დროს მგზავრებზე დახმარებისა და კომპენსაციის გაცემის შესახებ, 261/2004.

ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში და მიისწრაფის ევროპაში ინტეგრაციისაკენ, შესაბამისად, სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი ქართული კანონმდებლობა უნდა დაუახლოვდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სამართალთან. ამისი ნათელი მაგალითია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #122 „საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ“¹⁸. რეისის გადადებისას კომპენსაცია განისაზღვრება ზუსტად იმ ოდენობით და წესით, რომელიც მოცემულია 261/2004 რეგულაციაში, რადგანაც ბრძანებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ იგი ეფუძნება ევროკავშირის აღნიშნულ რეგულაციას.

საქმეზე Wallentin-Hermann v Alitalia ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ფრენის გადადების, შეწყვეტის ან გაუქმებისას გადამყვან-გადამზიდველი თვითმფრინავის გაუმართაობისას თავისუფლდება კომპენსაციის გადახდისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამდგარი გარემოება იმდენად საგანგებოა, რომ მიუხედავად გადამყვან-გადამზიდველის მიერ ყველა გონივრული ზომის მიღებისა, მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო¹⁹. სასამართლო პრაქტიკაში ფრენის გადადების, შეწყვეტის ან გაუქმებისას გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობის განთავისუფლების სხვა შემთხვევებიც გამოიკვეთა, როგორებიცაა: ფრინველების შევახება და უამინდობა, კერძოდ, როდესაც აეროპორტის სადისპეჩერო სამსახური გასცემს აფრენის ან დაფრენის ბრძანებას, მაგრამ თვითმფრინავის ტექნიკური მახასიათებლები ამის საშუალებას არ იძლევა.

18 საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, 17.07.20012. დირექტორის ბრძანება: საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ, 122.

19 ევროპის კავშირი, 22.12.2008. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო: Wallentin-Hermann v Alitalia, საქმე #C-549/07.

საყურადღებოა ბრძანების მე-8 მუხლის მესამე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ ქალაქს ემსახურება რამდენიმე აეროპორტი და საჰაერო გადამყვან-გადამზიდველი, სთავაზობს მგზავრს დაშვებას აეროპორტში, რომელიც განსხვავდება მგზავრის მიერ წინასწარ დაგეგმილი აეროპორტისგან, მგზავრის გადაადგილების ღირებულება ალტერნატიული აეროპორტიდან სხვა ნებისმიერ აეროპორტამდე მთლიანად ეკისრება ავიაგადამზიდველს მგზავრთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ბრძანების ამ მე-8 მუხლის მესამე პუნქტი არის ევროკავშირის 261/2004 რეგულაციის მე-8 მუხლის მესამე პუნქტის იმპლემენტაციის შედეგი. ჩვენი აზრით, საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, მიგვეთითებინა არა ქალაქზე, არამედ მთლიან რეგიონზე. თბილისში არ გვაქვს ორი საერთაშორისო აეროპორტი, სხვა რეგიონებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ამიტომაც, გადამყვან-გადამზიდველი, თუ მგზავრს ქუთაისის აეროპორტიდან შესთავაზებს ფრენას თბილისის ნაცვლად, იგი თავისთავად ვალდებული უნდა იყოს, აანაზღაუროს ტრანსპორტირების ხარჯები.

სამოქალაქო კოდექსის ნაკლოვანებას წარმოადგენს, რომ ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვებისას სამგზავრო გადაყვანაზე საუბარი არ არის, არამედ მთლიანად არსებული ნორმები ეხება მხოლოდ სატვირთო გადაზიდვას. მაშინ, როდესაც მონრეალის 1999 წლის კონვენციის პირველი მუხლი მიუთითებს, რომ კონვენციის მოქმედება ვრცელდება საჰაერო თანმიმდევრული გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელებაზე. თანამიმდევრული გადამყვან-გადამზიდველების სამართლებრივ რეჟიმს ეხება კონვენციის 36-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თუ გადაყვანა-გადაზიდვას ახორციელებს რამდენიმე თანამიმდევრული გადამყვან-გადამზიდველი, ყოველი გადამყვან-გადამზიდველი, რომელიც იღებს მგზავრს, ტვირთს ან ბარგს, ექცევა წინამდებარე კონვენციით დადგენილი წესების მოქმედების ქვეშ და განიხილება, როგორც გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების

ერთ-ერთი მხარე, თუ ეს ხელშეკრულება მისი კონტროლის ქვეშ შესრულებული გადაყვანა-გადაზიდვის ნაწილს ეხება. რადგან ჩვენ ვაღიარებთ მონრეალის 1999 წლის კონვენციას, აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში მოხდეს ერთმანეთის მიმდევარი გადაყვანა-გადაზიდვისას მგზავრთა გადაყვანის ნორმების იმპლმენტაცია.

გადამყვან-გადამზიდველთა პასუხისმგებლობის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ჰარმონიზაციის აუცილებლობას საჭიროებს, რაც, ჩვენი აზრით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რადგანაც ევროპული სამართლით დადგენილმა პასუხისმგებლობის მკაცრმა ნორმებმა მძიმე მდგომარეობაში არ ჩააყენოს საკმაოდ სუსტი ქართული ავიაცია.

PROPERTY RESPONSIBILITY OF THE AIR-CARRIER DURING PASSENGER CARRIAGE BASED OF THE LEGAL NORMS OF WARSAW, MONTREAL, EUROPE AND GEORGIA

Tamar Vepkhvadze

*Phd Student of Grigol Robakidze University,
a member of the Union of Law Scientists, barrister*

RESUME

The article deals with the carrier's liability issues tracing the comparative analysis of the legal norms of the legal norms of Warsaw, Montreal, the European Union and Georgia.

The thesis work reviews the liability issues such as: Responsibility in case of the death of a passenger, health disorders, injury or other damage to the body; Liability for total or partial loss, damage, destroy or delays in transporting baggage or passenger's belongings; Granting compensation and rendering assistance in case of the aircraft carrier's denial of boarding, a flight cancellation or long delay; Responsibility for the crash of two or more aircrafts; Issue concerning liability limitation; Advance payment mechanism.

www.lawandworld.ge

The article points out that Montreal and European Union system established strict liability rules. Order # 122 „On the adoption of rules for granting compensation and rendering assistance in case of the air carrier’s denial of boarding, a flight cancellation or long delay“ of Civil Aviation Agency can be considered as the beginning of strict liability application towards carriers. It was adopted in compliance with the regulation #261/2004 of the Council of Europe and the agreement

„On common air space“ concluded between Georgia and the European Union.

Implementation of strict liability measures in internal state law can put Georgian air companies in a hard situation due to the difficulties in compensating damages in accordance with the EU standards. As we know, the regulations elaborated by the EU are oriented towards the strong and competitive air companies, which do not include Georgian air companies.

NOTES:

1. Mosulishvili M., 2002. Legal Responsibility, conceptions and opinions. Tbilisi, PP.12-13. (GEO)
2. Gabichvadze Sh. 2012. Civil law regulation of air carriage of goods and passengers, thesis work. I. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, P.119. (GEO)
3. European Union, 13.05.2002. Council regulation: on air carrier liability in the event of accidents. (889/2002). (ENG)
4. Dam C., 2013. European Tort Law. Oxford University Press, United Kingdom, P.52. (ENG)
5. Kropholler J., 2014. Comment of German civil code. German Cooperation (GIZ), Tbilisi, PP.197-200. (GEO)
6. European Union, 1997. Council regulation: on air carrier liability in respect of the carriage of passengers and their baggage by air, 2027/97. (ENG)
7. European Union, 13.05.2002. Council regulation: on air carrier liability in the event of accidents, 889/2002. (ENG)
8. Chanturia L., Zoidze B., Ninidze T., Shengelia R., Khetsuriani J., 2001. Comment of civil code of Georgia, book three, law of obligations, general section. Law, Tbilisi, P.368. (GEO)
9. Geperidze D., 2009. International air law. Meridiai, Tbilisi, PP. 58-59. (GEO)
10. Tompkins G.N., 2010. Liability Rules Applicable to International Air Transportation as Developed by the Courts in the United States. From Warsaw 1229 to Montreal 1999. Kluwer Law International, P.25. (ENG)
11. Day v Trans World Airlines, Second circuit, 528 F.2d 31, 1975. P.269. (ENG)
12. Gordley J., Tailor A., Mehren V., 2006. An Introduction to the Comparative Study of Private Law. Cambridge University Press, P.137. (ENG)
13. Buonocore v. Trans World Airline, 900 F. 2d 8, 1990. (ENG)

14. Zoidze B., 2005. Reception of European civil law in Georgia. Training Center of Publishers, Tbilisi, P.178. (GEO)
15. Tbilisi City Court, 28.04. 2015. Decision: 28679-14. (GEO)
16. European Union, 04.02.1991. Council regulation: establishing common rules for a denied-boarding compensation system in scheduled air transport. 295/91. (ENG)
17. European Union, 11.02.2004. The European Parliament and the Council regulation: on establishing common rules on compensation and assistance to passengers in the event of denied boarding and of cancellation or long delay of flights, 261/2004. (ENG)
18. Georgian Civil Aviation Agency. 17.07.2012. Director order: on establishing common rules on compensation and assistance to passengers in the event of denied boarding and of cancellation or long delay of flights, 122. (GEO)
19. European Union. 22.12.2008. The European Court of Justice: Wallentin-Hermann v Alitalia, case #C-549/07. (ENG)

005256 3036335D

სასამართლოს როლი მხარეთა შეჯიბრებითობის პროცესში

ლელა არხოშაშვილი

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი, ადვოკატი*

საკვანძო სიტყვა:

სასამართლო, შეჯიბრებითობა, მხარეები

1997 წლის 14 ნოემბერს მიიღეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. ამ კოდექსს საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, კოდექსმა ბევრჯერ განიცადა ცვლილება. თავდაპირველად ზოგიერთი მხარე იმის გამო, რომ ახალი იყო შეჯიბრებითობის პრინციპი და არ იყო შეჩვეული, ისევ ინკვიზიციურობას და სასამართლოსაგან მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვდა მტკიცებულებათა შეგროვებაში. მაგრამ დროთა განმავლობაში დარწმუნდნენ, რომ დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპი გაცილებით უკეთესია, რადგან მხარის მიერ მოსამართლის დადანაშაულება მიკერძოებაში, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებები ეხება ადამიანის უფლებას, სასამართლოს გზით დაიცვას თავისი დარღვეული უფლებები ან კანონით გათვალისწინებული ინტერესები. „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა

დაედოს საფუძვლად მათს მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ ეს ფაქტები.“

მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის ეს დათქმა ნათლად გადმოსცემს შეჯიბრებითობის არსს, რომ მხოლოდ მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული მათი უფლებების დაცვის გარანტიები. მათ ვერავინ აიძულებს, მიმართონ სასამართლოს დარღვეული უფლებების დასაცავად ან საქმის განხილვის ეტაპზე წარმოადგინონ რაიმე სახის მტკიცებულებები. სასამართლოს არა აქვს უფლება, თვითონ დაიწყოს იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომლებსაც მოთხოვნა ან მოწინააღმდეგე მხარის უფლებები ემყარება [1-34]¹.

მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში, მაგრამ სასამართლოს შეუძლია, გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მტკიცებულებები მხარეთა შუამდგომლობით (103-ე და 203-ე მუხლი); სასამართლოზეა დამოკიდებული, რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი არ მიიღოს (104-ე მუხლი); სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს აგრეთვე ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალეირება (120-ე მუხლი), დანიშნოს ექსპერტიზა (162-ე მუხლი) და ა.შ. [2-9]².

თენგიზ ლილუაშვილს და ვალერი ხრუსტალს განმარტებული აქვთ „სასამართლოს ინიციატივა“, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოს უფლებით, შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, მხარეთა შუამდგომლობით მტკიცებულებების გამოთხოვა და ა.შ. ასე უნდა იყოს გააზრებული „სასამართლოს ინიციატივა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს ხარვეზით შეიძლება მხარეს გაუჩნდეს ეჭვი,

რომ სასამართლო პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული თეიმურაზ თოდრიას ნაშრომში „ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში“. ეხება რა მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს, ყურადღებას ამახვილებს სასამართლო პრაქტიკაზე - შესაძლებელია თუ არა, სასამართლომ გარკვეული ფაქტის დასადასტურებლად მოითხოვოს მტკიცებულების წარმოდგენა. რა თქმა უნდა, მხარეები თვითონ უთითებენ ფაქტებზე, რომელთა დადასტურებაც მათ სურთ და თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები, რაც წარმოადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის არსს, მაგრამ სასამართლოს ყოველთვის სწორად არ ესმის ეს პრინციპი. აქედან გამომდინარე, ისმის შემდეგი კითხვა: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოითხოვს მხარის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად კონკრეტულ მტკიცებულებას, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო უხეშად ერევა მტკიცების ტვირთის განაწილებაში“ [3-307]³.

სსკ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს“. რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები?

პირველ რიგში, მიზანშეწონილია შევხებით მტკიცების საგნის, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის საკითხს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტკიცების საგანს, ანუ იმ ფაქტების წრეს, რომლებსაც აქვს მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, განსაზღვრავენ თვითონ მხარეები (სსკ მე-4 მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას. იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას

1 ბოლინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია გვ. 34.
2 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., 2007. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი გვ. 9.

3 თოდრია თ., 2011. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში გვ. 307.

ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? არა, არ შეიძლება!

ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად გამოვლენა-განსაზღვრას [4-91-93]⁴.

თემურამ თოდრია თავის სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობის მართვაში სასამართლოს აქტიურობა უნდა გამოიხატოს სწორად დასმულ კითხვებში, რომლებიც უკავშირდება საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს უდავო ფაქტები და განსაზღვროს ფაქტები, რომლებიც შეადგენს მტკიცების საგანს; მან უნდა დააზუსტოს, თუ როგორ აპირებენ ამ ფაქტების დამტკიცებას მხარეები. [5-311-312]⁵.

თენგიზ ლილუაშვილი საუბრობს რა მატერიალურ შესაგებელზე, ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს როლზე, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, თავისი ინიციატივით წამოაყენოს ფაქტები („აღძრას შესაგებელი“), რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სარჩელზე უარის თქმა. გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ფაქტები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ გარიგება არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობას, დადებულია ქმედუნარო პირის მიერ. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა მისმა ინიციატივამარგამოიწვიოს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევა, მხარეთა უფლებების შელახვა. სასამართლოს ინიციატივის ფარგლების განსაზღვრის კრიტერიუმი შეიძლება იყოს ერთი: კანონისმიერი აკრძალვების დარღვევა, გარიგებათა ბათილობა კანონის ძალით და შეცილების გარეშე [6-312-313]⁶.

4 ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ზურაბ ძლიერიშვილი ზ., 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი I ნაწილი, გვ. 91-93).

5 თოდრია თ., 2010. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში თბილისი. სადისერტაციო ნაშრომი 311-312.

6 თოდრია თ., 2010. ფაქტობრივი გარემოებების

ჩვენი პოზიცია გამოხატულია 102-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ ასევე, 103-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში „მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები“, „თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.“ აღნიშნული მუხლები გამორიცხავს სასამართლოს უფლებას, თავისი შეხედულებით მოიძიოს მტკიცებულებები.

უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 8 დეკემბერს №ას-1656-1644-2011 საქმეზე გააკეთა განმარტება მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით ამომწურავადაა რეგლამენტირებული მხარის საპროცესო უფლებები და აღნიშნულია მის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის აუცილებლობის თაობაზე. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია მტკიცების სტანდარტი და დადგენილია მხარეთა შორის მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცების განაწილების წესი. კანონის დასახელებული ნორმების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც „კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კანონმდებლის მითითებანი ემყარება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგანაც შეჯიბრებით სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფარგლებში სასამართლო მხოლოდ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში ადგენს ფაქტებს და ახდენს მათს სამართლებრივ შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე კანონის საფუძველზე გათავისუფლებული

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ეს სწორედ მოდავე სუბიექტის მტკიცების ტვირთია, რომელიც ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებით დაადასტუროს სასამართლოს წინაშე ზემოაღნიშნული. სააპელაციო სასამართლო, მსგავსად პირველი ინსტანციისა თუ საკასაციო სასამართლოსი, საჩივრის წარმოებაში მიღებისას, თუ მას არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულება, ვალდებულია, მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის ფარგლებში შეამოწმოს, ხომ არ არის სახეზე მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული ისეთი წინაპირობა, რომელიც შესაბამისი მტკიცებულების წარდგენას არ მოითხოვს და დავის არსიდან გამომდინარეობს (მაგალითად, დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანი, ალიმენტი და სხვა), ასეთის არარსებობის შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლო არაა უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები და ამ გზით დაადგინოს ესა თუ ის გარემოება [7-252]⁷.

135-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება. თუმცა, აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია.

სასამართლოს ინიციატივა წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შესამოწმებლად, 137-ე მუხლის თანახმად, სწორად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს სასამართლოს უფლება, თუ მხარის შუამდგომლობა არ იქნება, თვითონ, თავისი შეხედულებით, შეამოწმოს საბუთის ნამდვილობა, რისთვისაც შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები. ასევე,

საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება ბავშვის ინტერესებს, სასამართლომ თავისი შეხედულებით უნდა გამოითხოვოს მტკიცებულებები.

სსსკ 147-ე მუხლში ჩამოთვლილია მოწმის დაკითხვის საფუძვლები მის ადგილ-სამყოფელზე, თუ ა) ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში; ბ) საქმის გარემოებათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია; გ) უნდა დაიკითხოს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოცხადება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან; 147-ე მუხლის „დ“ პუნქტი განსაზღვრავს მოწმის დაკითხვას სხვა შემთხვევებში სასამართლოს შეხედულებისამებრ. აქაც სასამართლოს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, დაკითხოს თუ არა მოწმე.

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეკიბრებითობის პრინციპსა და სასამართლოს ინიციატივასთან დაკავშირებით. შ. ქურდაძის აზრით, ზოგიერთ პროცესუალურ საკითხში სასამართლო მაინც მტკიცებულებების შეგროვების სუბიექტად რჩება (მაგალითად, თავისი ინიციატივით განჩინებით შეუძლია დანიშნოს სასამართლო ექსპერტიზა, საოჯახო საქმეებზე თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები), დანარჩენ შემთხვევებში კი მოსამართლეს მხოლოდ მხარეებისთვის მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარების აღმოჩენა შეუძლია [8]⁸.

სასამართლო აქტიურად არ უნდა ჩაერიოს მტკიცებულებათა მოძიებაში, იგი უნდა დაეხმაროს მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ ვერ შეძლებენ მტკიცებულებების მოძიებას და აღნიშნულის მოთხოვნით შუამდგომლობით მიმართავენ სასამართლოს.

სასამართლოს შეთავაზება მხარეებისათვის

7 ნაჭყეზია ა., 2011. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013 გვ. 252 საქმე № ას-1656-1644-2011 8 დეკემბერი, ქ. თბილისი www.library.court.ge სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

8 ქურდაძე შ., 2010. საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო შრომების კრებული.

დამატებითი მტკიცებულებების წარმოსადგენად, მხარეთა შუამდგომლობით მტკიცებულებათა გამოთხოვა, მტკიცებულების მიღება ან მიუღებლობა, მტკიცებულების ადგილზე დათვალიერების გადაწყვეტილების მიღება, ექსპერტიზის დანიშვნა, საოჯახო საქმეთა განხილვის დროს დასადგენ გარემოებათა წრის განსაზღვრა და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ იმ მტკიცებულებების გამოთხოვა, მხარეებს თავის დროზე რომ არ მიუთითებათ - ეს არის ის ძირითადი ჩამონათვალი, როდესაც სასამართლოს შეუძლია ინიციატივა გამოიჩინოს მტკიცების პროცესში (103-ე მ, 203-ე მ, 104-ე მ, 120-ე მ, 162-ე მ, 354-ე მ).

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარადაა დარეგულირებული სასამართლოს როლი შეჯიბრებითობის პრინციპთან მიმართებით.

ინკვიზიციურობის პრინციპის მატარებელია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია, თუ ჩათვლის საჭიროდ, „გამოიძიოს და შეაგროვოს“ მტკიცებულებები. 72-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ სასამართლო მიმართავს „საექსპერტო დაწესებულებას“, რომელიც ნიშნავს ექსპერტს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიდგომის სრულ საწინააღმდეგოს წარმოადგენს დანიის საპროცესო კანონმდებლობა, სადაც მოსამართლე პასიურია სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ეს შეეხება როგორც სისხლის სამართლის, ასევე, სამოქალაქო სამართლის საქმეებს.

კონტინენტური ევროპისა და პრეცედენტური სამართლის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში ინკვიზიციურობის

პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო ექსპერტს ნიშნავს თუ მოწმეს იწვევს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე თავისი ინიციატივით. ალსანიშნავია, რომ პრეცედენტული სამართლის სიტემაში სასამართლო არ არის შეზღუდული მტკიცებულების შესახებ წესებით, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული, მაგალითად, აშშ მტკიცებულების შესახებ ფედერალური წესების 104-ე წესში. ერთადერთი, რითაც იზღუდება სასამართლო, არის მოწმის პრივილეგიები. მსგავსი თავისუფლება ფართო ასპარეზს აძლევს სასამართლოს სამართალშემოქმედებისათვის.

საერთო სამართალი სასამართლო პროცესს უყურებს, როგორც თავისებურ ტურნირს, რომელშიც მოსამართლე არბიტრის როლს ასრულებს. თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს თავისი მტკიცებულებანი [9-25]⁹.

⁹ გაგუა ი., მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება ინგლისის სამოქალაქო საპროცესო სამართალში გვ.25 იხ. მართლმსაჯულება და კანონი #4/27.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია matsne.gov.ge
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი matsne.gov.ge

THE COURT'S ROLE IN THE ADVERSIAL PROCESS BETWEEN THE PARTIES

Leila Arkhoshashvili

*PhD candidate of the Grigol Robakidze University's
Law School, Lawyer*

RESUME

KEY WORDS:

Court, adversarial, parties

The legal proceedings are conducted based on adversarial principles. The second paragraph of the Article 4 of the Criminal Procedure Code of Georgia contradicts to the adversarial principle. This paragraph gives the right to the court to resort to measures on its own initiative under the Criminal Procedure Code of Georgia. Our position is stated in the first paragraph of the Article 102 that each party shall prove the circumstances upon which it bases its claim or response, and also in the first and second paragraphs of the Article 103 that the Parties shall submit evidence to a court. These paragraphs exclude the court's possibility to request the evidence on its own initiative. The court's initiative to check authenticity of the submitted written evidence accordingly to Article 137, we consider correct. We reckon that only in this case the court should have the right to check authenticity of documents. And, also in connection to the family matters, when a case concerns a child's interests, a court shall request the evidence on its own initiative.

In accordance to the Common law, a judge plays the role of arbitrator. The Parties shall submit the evidence.

NOTES:

1. Bolling H., Chanturia L., The methods of taking desitions in civil law, p.34. (GEO)
2. Liluashvili T., Khrustali V., 2007. The comments to the Civil Procedure Code of Georgia. (GEO)
3. Todria T., 2011. the meaning of the factual circustances in the court of Cassation, p. 307. (GEO)
4. Liluashvili T., Liluashvili G., Khrustali V., Dzierishvili Z., 2014. The Civil Procedure Law, Part I, p.p. 91-93. (GEO)
5. Todria T., 2010. The meaning of the factual circumstances in the court of Cassation, Tbilisi. The dissertation, p.p. 311-312. (GEO)
6. Todria T., 2010. The meaning of the factual circumstances in the court of Cassation, Tbilisi. The dissertation, p.p. 311-312. (GEO)
7. Nachkebia A., 2011. The determination of the civil norms in the Supreme court's practice 2000-2013. p. 252, Case № სს-1656-1644-2011 8 December, Tbilisi, www.library.court.ge, the legal digital library. (GEO)
8. Kurdadze Sh., 2010. The particularity of the execution of procedural actions in the civil proceedings, Economic Relations Tbilisi State University, Collection of scientific works. (GEO)
9. Gagua I., The distribution of the burden of proof between the parties under the Civil Procedure Law of England, p.25, Justice and Law №4/27. (GEO)

BIBLIOGRAPHY:

1. The Constitution of Georgia matsne.gov.ge. (GEO)
2. The Civil Procedure Code of Georgia matsne.gov.ge. (GEO)

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა ავსტრიულ და ქართულ საკორპორაციო სამართალში

დავით დოლიძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი.*

საკვანძო სიტყვები:

საკორპორაციო, სამეთვალყურეო, დამოუკიდებლობა

კორპორაციული მართვის ფარგლებში ხორციელდება კომპანიის მართვა და მმართველ ორგანოთა მონიტორინგი.¹ ამდენად, კორპორაციული მართვის ცნებით განსაზღვრული კონტროლის ასპექტი გულისხმობს კორპორაციათა მმართველ ორგანოთა ხელმძღვანელობითი საქმიანობის ზედამხედველობას, რომელსაც სწორედ სამეთვალყურეო ორგანო ახორციელებს.

ამკვიდრებს რა კორპორაციული მართვის ორსაფეხურიან სისტემას, „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ ავსტრიის კანონით, სააქციო საზოგადოების მმართველობაზე კონტროლს

¹ დოლიძე დ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი ქართულ სააქციო საზოგადოებაში. მართლმსაჯულება და კანონი, 2(3), გვ. 138.

სამეთვალყურეო საბჭო წარმართავს.² აქ ამ ორგანოს ძირითად ფუნქციად გამგეობის (დირექტორატის) საქმიანობის კონტროლია დაწესებული.³ ამდენად, ავსტრიის საკორპორაციო სამართალი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს სტატუსს სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია გერმანულ საკორპორაციო სამართალშიც გამგეობის საქმიანობის კონტროლსა და ზედამხედველობაში გამოიხატება. ამდენად, როგორც ვხედავთ, ავსტრიული კორპორაციული სამართალი ამ კუთხით გერმანული ანალოგის მსგავსია.

კორპორაციული მართვის სფეროში ავსტრიის ძირითადი ნორმატიული აქტი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ ავსტრიის კანონი“ **Aktiengesetz (Österreich)** 1965. აქ ასევე მოქმედებს „კორპორაციული მართვის ავსტრიული კოდექსი“. დოკუმენტის შესავალი ნაწილის თანახმად „კოდექსის ძირითად მიზანს კორპორაციული მართვის სფეროში თანამედროვე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა წარმოადგენს. ასევე კოდექსი მოქმედებს ავსტრიის საფონდო ბირჟაზე განწესებული ყველა კომპანიის, მათ შორის ავსტრიაში რეგისტრირებული ევროპის სააქციო საზოგადოებების მიმართაც. ავსტრიული კოდექსი განმარტავს შემდეგი სახის წესებს:

- ა) სავალდებულო სამართლებრივი წესები (L);
- ბ) ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედი წესები (C);
- გ) რეკომენდაციები (R).

აქვე აღსანიშნავია, რომ იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არ არიან ავსტრიის საფონდო ბირჟის წევრები, სავალდებულო წესები ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ წესების კატეგორიაში განიხილება.

ავსტრიაში აშკარაა ე.წ. „სამართლებრივი

ბმა“ კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. მაგალითად, ავსტრიის „კომერციული კოდექსის“ (UGB) **243b** პარაგრაფით კომპანიებს ევალება, სისტემატურად გამოაქვეყნონ კორპორაციული მართვის ანგარიშები, რომლებშიც ისინი ასახავენ კორპორაციული მართვის ავსტრიული კოდექსის მოწესრიგებათა გაზიარებას, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახსნიან შეუსაბამობის მიზეზებს. ავსტრიის „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მნ-ე პარაგრაფიც იძლევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისადმი წაყენებულ პერსონალურ მოთხოვნებს.

საინტერესოა საკითხი, თუ როგორ უდგება ავსტრიული დოკუმენტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აქ ცალკეა გამოყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხები და მსგავსი კონფლიქტების აცილება სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობის სტანდარტის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევა.⁴

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 44-ე მუხლი სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი ნორმაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს ვერც ერთი წევრი იმავდროულად ვერიქნება საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის წევრი. კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ საკუთარი პირადი ინტერესებით, ასევე იმ პიროვნების ან საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, რომელთანაც გააჩნიათ მჭიდრო კავშირები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ინტერესთა კონფლიქტით მიღებული გადაწყვეტილებით ზიანი მოუტანა საკუთარ კომპანიას, იგი სამსახურიდან გათავისუფლდება.

კორპორაციული მართვის კოდექსის 46-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საკუთარ თავს ინტერესთა კონფლიქტში გამოიტყრს, ვალდებულია ამის შესახებ

2 Aktiengesetz Österreich (geändert und veränderungen), Wien, 1965. §95(1).

[https://www.jusline.at/Aktiengesetz_\(AktG\).html](https://www.jusline.at/Aktiengesetz_(AktG).html)

3 დოლიძე დ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი ქართულ სააქციო საზოგადოებაში. მართლმსაჯულება და კანონი, 2(3), გვ. 140.

4 Austrian Code on Corporate Governance (amended and changes), Vienna, 2015. Chapter V. <http://www.corporate-governance.at>

დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გამოავლენს, რომ იგი ინტერესთა კონფლიქტის წინაშე დგას, აღნიშნულს საკუთარ მოადგილეს ატყობინებს.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით „საერთო კრების მიერ არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა უნდა იყოს დამოუკიდებელი თავად კომპანიისა და მისი მმართველი მენეჯმენტისაგან. თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ითვლება დამოუკიდებლად, თუ მას არ გააჩნია ნებისმიერი სახის ისეთი ბიზნეს - საქმიანი ან პერსონალური კავშირები კომპანიასთან, ან მისი მმართველობის ორგანოსთან, რომელიც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს და ზეგავლენას ახდენს წევრის საქმიანობაზე. აღნიშნული მოწესრიგების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს საკუთარ წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები და გამოაქვეყნოს ისინი კორპორაციული მართვის ანგარიშში.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის დანართი 1-ით (Annex 1) მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმთა განსაზღვრის სახელმძღვანელო პრინციპები. კერძოდ:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა მსახურობდეს საზოგადოების ან მისი შვილობილი საწარმოს მმართველ ორგანოში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს ბიზნეს-საქმიანი კავშირები კომპანიასთან, მის შვილობილ საწარმოსთან. ეს ასევე ეხება იმ კომპანიებთან ურთიერთობას, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა მოქმედებდეს, როგორც კომპანიის აუდიტორი, არ უნდა წარმოადგენდეს სააუდიტორო კომპანიის აქციონერს

ან არ უნდა იყოს მათი თანამშრომელი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში;

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სხვა იმ საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც გამგეობის წევრი ამავედროულად მიიჩნევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად;
- დაუშვებელია პირი იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს მოწესრიგება არ ეხებათ სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც კომპანიაში პირდაპირი ინვესტირების შედეგად არიან აქციონერები, ასევე პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ასეთ აქციონერთა ინტერესებს;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული (იგულისხმობა პირდაპირი შთამომავლობა, მეუღლეობა, თანაცხოვრება, ბიძები, დეიდები, დები, ძმისწულები, დისწულები) გამგეობის წევრთან.

კოდექსის 54-ე მუხლით კომპანიებში, რომელთა აქციათა 20%-ზე მეტი თავისუფალ მიმოქცევაშია, სამეთვალყურეო საბჭოში არანაკლებ ერთი წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი. ხოლო სამეთვალყურეო ორგანოს არანაკლებ ორი დამოუკიდებელი წევრი უნდა ჰყავდეთ იმ საზოგადოებებს, რომელთა აქციათა 50%-ზე მეტიც არის განთავსებული თავისუფალ მიმოქცევაში.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლები ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედი წესებია. კომპანიები კორპორაციული მართვის ანგარიშებში ასახვენ აღნიშნულ ნორმებთან შესაბამისობა- შეუსაბამობის მიზეზებს.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 55-ე მუხლი სავალდებულო ხასიათის ნორმაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით „ავსტრიის საფონდო ბირჟაზე განთავსებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ გახდება პირი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო ამავე საზოგადოების მმართველი მენეჯმენტის წევრი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშვნა ხორციელდება

კომპანიაში ხმის უფლების მქონე აქციათა 25%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთა შუამდგომლობით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე მუხლის თანახმად, არა უმეტეს, ერთ პირს აქვს უფლება, გახდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომლის მიმართაც ორწლიანი პერიოდი არ გასულა. ასევე აღსანიშნავია, რომ პირი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო მენეჯმენტის წევრი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

როგორც ვხედავთ, ავსტრიული კორპორაციული მართვის კოდექსი, მართალია, უშვებს, თუმცა ამასთანავე საკმაოდ მკაცრად უდგება კომპანიის ყოფილ მმართველთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშვნის საკითხს. აქ აუცილებელია პირის გამგეობიდან წასვლის შემდეგ ორწლიანი პერიოდის გასვლა, რათა იგი დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ავსტრიული კოდექსით, ამ საკითხის მომწესრიგებელი ნორმები სავალდებულო ხასიათის წესებად არის აღიარებული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გამგეობის გადამდგარ წევრთა სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებას ავსტრიული კორპორაციული სამართალი საკმაოდ სერიოზულად უდგება.

ავსტრიულ კორპორაციულ სამართალზე საუბრისას ბოლოს უნდა ითქვას, რომ ავსტრიულ კომპანიათაგან კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემულ პრინციპთა გაზიარების საკითხები ანგარიშების სახით მოცემულია შემდეგ უმსხვილეს ავსტრიულ სააქციო საზოგადოებათა ოფიციალურ ვებ - გვერდებზე: სს „რაიფისენ ბანკი“;⁵ სს „ვინერბერგერი“;⁶ სს „ლენცინგი“.⁷

მართალია, მსგავსად ავსტრიული მოდელი-სა, სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია ქართულ საკორპორაციო სამართალშიც დირექტორთა საქმიანობის კონტროლია.⁸ თუმცა, განსხვავებით იმავე ავსტრიისაგან,

საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედი ქართული ნორმატიული ბაზა აღნიშნული კონტროლის ეფექტურობას, ცალკე განხილვის საგანია.*

საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა გაკრიტიკებული, აღინიშნა რა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავდა რაიმე ნორმას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა.⁹ მიუხედავად ამისა, ქართულმა კორპორაციულმა სამართალმა ამ კუთხით განვითარება მაინც ვერ პოვა. არადა აუცილებელია, რომ საკორპორაციო სამართალი იმპერატიულად აწესებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის გარანტიებს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იყოს კორპორაციის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის მიუკერძოებელი და კვალიფიციური კონტროლი.¹⁰

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არათუ მხოლოდ არ გვთავაზობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს, არამედ, უფრო მეტიც, ქართული კანონი განსხვავებით იმავე ავსტრიული მოდელისაგან, საერთოდ არაფერს ამბობს იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ. ასევე, ამ კუთხით ქართული კორპორაციული სამართლის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად

5 <http://investor.rbinternational.com/index.php?id=673&L=1>
 6 <http://www.wienerberger.com/investor-relations/corporate-governance/corporate-governance-report>
 7 <http://www.lenzing.com/en/investors/downloadcenter/financial-reports.html>
 8 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (ცვლილებებითა და დამატებებით), თბილისი, 1994. 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. www.matsne.gov.ge

* იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც სააქციო საზოგადოების დირექტორი, შესაძლოა, ამავდროულად იყოს ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამ დროს უთუოდ იზადება კითხვები მსგავსი სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დირექტორთა მიმართ განსახორციელებელი კონტროლის ობიექტურობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით.

9 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი გვ. 173.
 10 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 175.

დირექტორთა დანიშვნის წესი.¹¹ დირექტორი, მისი პირადი კავშირების გათვალისწინებით, ვერ იქნება დამოუკიდებელი წევრი.

2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციებმა მიიღეს „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მისი ძირითადი მიზანი კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაა.¹² კოდექსით ბანკებს გაეწევათ ყოველწლიურად, ე.წ. „კორპორაციული მართვის ანგარიშის“ წარდგენის რეკომენდაცია, კოდექსის მოთხოვნათა გაზიარების ან მათთან შეუსაბამობის მიზეზების ახსნის შესახებ.¹³ ასეთ მიდგომას, ე.წ., „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპი ეწოდება.¹⁴ კარგი იქნება, თუ დაინერგება პრაქტიკა და მსგავსი ანგარიშები ყოველწლიურად გამოქვეყნდება ბანკების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

კოდექსი აღნიშნავს, რომ „სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილ უნდა იქნან დამოუკიდებელი წევრები და დაიცვან ადეკვატური ბალანსი სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის, რათა თავიდან აიცილონ კონკრეტული წევრის ან წევრთა მცირე ჯგუფის, ასევე რომელიმე აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას არაადეკვატურად დიდი ზეგავლენის მოხდენა“.¹⁵

განსხვავებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისაგან, აღნიშნულ კოდექსში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები. კერძოდ,

11 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (ცვლილებებითა და დამატებებით), თბილისი, 1994. 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი. www.matsne.gov.ge
12 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. გვ. 2.
13 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. გვ. 5.
14 Hopt K.J., Leyens P.C., 2004. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy. Law Working Paper 18(04), p. 4.
15 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. მე-4 მუხლის „ა“ ნაწილის მე-3 ქვეპუნქტი.

მე-2 მუხლის (ე) ნაწილის მიხედვით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის ან მისი პირველი, ან მეორე რიგის მემკვიდრე:

- 1) ბოლო 5 წლის მანძილზე იყო ბანკის, მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციის დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა;
- 2) იღებს ბანკისაგან ან მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციისაგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა და აქციონერების კუთვნილი დივიდენდისა;
- 3) გააჩნია მნიშვნელოვანი პირადი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;
- 4) არის იმ იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;
- 5) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც ბანკის ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;
- 6) ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი;
- 7) არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან წარმომადგენელი კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა კორპორაციული მართვის ქართული კოდექსის მე-4 მუხლის (ა) ნაწილის მე-6 ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი ბანკის კორპორაციულ მართვაში და პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრობით. ამისათვის საჭიროა, რომ თითოეულმა წევრმა:

- ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს ფიციური ვალდებულებები;
- ბ) თავი აარიდოს გადაწყვეტილებების მიღებას საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ინტერესთა კონფლიქტსა და გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან;

გ) დაუთმოს საკმარისი დრო და მონდომება ვალდებულებების შესრულებას;

დ) მაქსიმალურად აარიდოს თავი ბანკის ყოველდღიურ მართვაში ჩარევას.

ამდენად, აღნიშნული მუხლი აშკარად შეიცავს დებულებებს, რომელთა კეთილ-სინდისიერად დაცვაც ნამდვილად აამაღლებს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის დამოუკიდებლობის სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მაშინ, როცა მოცემულ კვლევაში ნათლად ჩანს, თუ რამხელა ყურადღება ეთმობა აღნიშნულ საკითხს იმავე ავსტრიული კორპორაციული მართვის სისტემაში. მართალია, ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოცემულია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის ქართულ კოდექსში და საბოლოო ჯამში ვხედავთ კიდევ, რომ აღნიშნული დოკუმენტი საკმაო ყურადღებას ამახვილებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობაზე და ცდილობს, კომერციულ ბანკებს შესთავაზოს მოწესრიგება, რომელიც მაკონტროლებელთა დამოუკიდებლობის დანერგვისა და მისი ხარისხის ამაღლებისკენაა მიმართული. თუმცა, აღნიშნულ გზაზე მხოლოდ კოდექსის მცდელობა არ არის საკმარისი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს აქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შეზღუდული წრის (ბანკების) მიმართ მოქმედებს, კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება აბსოლუტური ხაითის მატარებელი ვერ იქნება. ქართულ საკანონმდებლო სინამდვილეში არავითარი საკანონმდებლო ბმა არ არსებობს ამ დოკუმენტსა და ნორმატიულ კანონმდებლობას შორის. არადა მსგავსი კოდექსების რეალური მოქმედებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, აშკარა იყოს ერთგვარი სამართლებრივი კავშირი კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. როგორც ეს, მაგალითად, ავსტრიაშია, სადაც ავსტრიის კომერციული კოდექსი შეიცავს დებულებებს ავსტრიული კორპორაციული მართვის კოდექსის მოწესრიგებათა პრაქტიკაში დანერგვასთან

დაკავშირებით.¹⁶ ასეთი მოწესრიგებით კომერციული კოდექსი კორპორაციული მართვის კოდექსის დებულებათა გაზიარების სადარაჯობე დგას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია, ე.წ., „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის არა სარეკომენდაციო, არამედ საკანონმდებლო წესად დანერგვა. კორპორაციული მართვის ანგარიშების ყოველწლიურად წარდგენა კომპანიათა ვალდებულებად უნდა იქცეს. კორპორაციული მართვის ქართული მოდელი აგრეთვე საჭიროებს სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტების საკითხების მომწესრიგებელი წესების შემოღებას.

დღეისათვის საქართველოში დღის წესრიგში დგას სამეწარმეო სამართლის რეფორმა. უფრო მეტიც, აღნიშნული თვალსაზრისით ქვეყნის იუსტიციის სამინისტროში უკვე აქტიური სამუშაოებიც კი მიმდინარეობს.¹⁷ გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელ წლებში საქართველო აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან დაახლოებას, კარგი იქნება, რომ ქართული საკორპორაციო სამართლის რეფორმის გზაზე გაიზიარონ წამყვან ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომები და საკანონმდებლო დონეზე დაინერგოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები.

